60 თეთრი

# განათლების მინისტრი იტყუება?

## სქემა, რომლითაც პედაგოგები ხელფასს აიღებენ

| საათების რაოდ | დოქტორი | მაგისტრი | ბაკალავრი | პროფესიული განათლების მქონე | ზოგადი განათლების მქონე |
|---|---|---|---|---|---|
| 18 | 440 | 407 2 | 375 12 | 342 4 | 309 6 |
| 17 | 415 5556 | 384 5778 | 354 28 | 323 3778 | 292 4 |
| 16 | 391 1111 | 361 9556 | 333 44 | 304 3556 | 275 2 |
| 15 | 366 6667 | 339 3333 | 312 6 | 285 3333 | 258 |
| 14 | 342 2222 | 316 7111 | 291 76 | 266 3111 | 240 8 |
| 13 | 317 7778 | 294 0889 | 270 92 | 247 2889 | 223 6 |
| 12 | 293 3333 | 271 4667 | 250 08 | 228 2667 | 206 4 |
| 11 | 268 8889 | 248 8444 | 229 24 | 209 2444 | 189 2 |
| 10 | 244 4444 | 226 2222 | 208 4 | 190 2222 | 172 |

9

N41/3357/ 15-19 აპრილი 2016 წ ფასი 60 თეთრი
ორშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

### საქართველოში წამლების ფასები, თურქეთთან შედარებით თითქმის 300-400%-მდე ძვირი ღირს

„ყველა ლაპარაკობს, რომ „ოცნებას“ „ფარმადეპო“ და „პსპ“, ხოლო „ნაცმოძრაობას“ – „ავერსი“ და „ჯიპისი“ აფინანსებს“

რას უყვება ჯონდი ბაღათურია „ალიას“ საავტიაქო მონოპოლიებზე



7

### კულტურის მინისტრი გიორგაძე 29 მილიონიან პროექტ „Check in Georgia“-ს გაღაყვება?

„უკვე კორუფციული სქემით დაინტერესებულია სავამოძიებო უწყება... სამრომოუტერო კომპანიებთან იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი და კორუფციის ნიშნები...“

11

### აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კრიტიკული ანგარიში საქართველოზე




12

### რის გამო ჩაცხრილეს ფონიჭალაში ორი მამაკაცი



10

„პრეზიდენტი ერთპიროვნულად არ ნიშნავს არჩევნების თარიღს, ეს იყო პრემიერთან შეთანხმების შედეგი“



4

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რა მოხდა კულისებში ისეთი, რომ კვირიკაშვილ-მარგველაშვილის „საარჩევნო შეთანხმება“ დაირღვა და ერთმანეთს დაეტაკნენ?



3

# „ოცნების“ ხელისუფლება ისე გათავხედდა, სიგარეტი კიდევ უნდა გაგვიძვიროს...

ტაქსის მძღოლებს კი, თავის მანქანაში მოწევისთვისაც დააჯარიმებენ!

6

# იუნა ზაფათავა: „ამ „ოცნების“ უტვინო ბოზებმაც აიწყვეს ცხოვრება...“

„ეს ბიძინა ენდო ათ კაცს, იმ ათმა მოიყვანა ასი ახვარი, იმ ასმა მოიყვანა ათასი ახვარი და გიძირებით ჭაობში... „პაშლი ანი ვსე“... ხვალ რომ მიშა მობრუნდეს, მუხლებში ჩაუვარდებიან!“

რა გაუმხილა იუნამ „ალიას“?



13

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „NDI-ს პოლიტიკური ანეკდოტები“



9

### „ნიკორა“ ალუჩას განვადებით ყიდის?!




8

„მიმიფურთხებია ისეთი ქალისთვის, ვინც მეტყვის, რომ არაკანონიერად ვაჩენ შვილს... წადით და იკეთეთ აბორტები“-ინდირა ჯგერნაია



4

The Guardian-ის 2016 წლის საუკეთესო ტურისტულ მარშრუტებში საქართველოც მოხვდა




4

## ღარიბაშვილი კონსერვატორების სიის პირველი ნომერი იქნება? - რას ამბობენ პარტიაში



„კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი პაატა კვიჟინაძე არ ადასტურებს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „კონსერვატიული პარტიის" სიის პირველი ნომერი იქნება.

– ამ ინფორმაციას არ ვადასტურებ, არც მოლაპარაკებები ყოფილა ბატონ ღარიბაშვილთან, - აღნიშნა კვიჟინაძემ.

რაც შეეხება პარტიის ლიდერს, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ზვიად ძიძიგურმა სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

ღარიბაშვილსა და კონსერვატორებს შორის მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაცია დღეს **kvirispalitra.ge**-მ გაავრცელა.

გამოცემა ირწმუნება, რომ ირაკლი ღარიბაშვილი „კონსერვატიული პარტიის" სიის პირველი ნომერი იქნება.

ირაკლი ღარიბაშვილმა პოსტი გასული წელს, 23 დეკემბერს დატოვა. (ნიუპოსტი)

## რა ქონებას ფლობს მიხეილ სააკაშვილი?

ოდესის ოლქის გუბერნატორის, მიხეილ სააკაშვილის შემოსავალმა, 2015 წელს სახელფასო ანაზღაურების სახით, 38,6 ათასი უკრაინული გრივნა შეადგინა.

გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის მიერ შევსებული დეკლარაცია, ოდესის ოლქის ადმინისტრაციის საიტზე გამოქვეყნდა.

დოკუმენტით ირკვევა, რომ სააკაშვილი 6,92 ათასი და 500 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთებს და 97 კვ. მ საცხოვრებელ სახლს ფლობს.

რაც შეეხება გუბერნატორის ოჯახის წევრებს, მეუღლისა და შვილების მფლობელობაშია 754 კვ. მეტრი ფართის საცხოვრებელი სახლი.

როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, გუბერნატორისა და მისი ოჯახის წევრების პირად საკუთრებაში ავტომობილი არ არის.

დეკლარაციის მიხედვით, საზღვარგარეთ არსებულ საბანკო ანგარიშებზე მიხეილ სააკაშვილი 57 ათასი აშშ დოლარს, ხოლო უკრაინულ ბანკში 129,95 ათასი უკრაინულ გრივნას ფლობს.

რაც შეეხებათ ოჯახის წევრებს, საზღვარგარეთულ ანგარიშებზე მათ საკუთრებაში 48 ათას აშშ დოლარია.

ფინანსური ვალდებულებები გუბერნატორს არ გააჩნია. **(pia.ge)**

# „ქართული ოცნების" შიდა კვლევა: „ოცნება" – 33,2%, „ნაციონალური მოძრაობა" – 30,7%





„ქართული ოცნების" რეიტინგი შიდა კვლევებითაც პარტიის მესვეურებისთვის საკმად დამაფიქრებელია და დიდ წინააღმდეგობაში არ მოდის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ კვლევებთან.

„ჯიეიჩენის" მიერ მოპოვებული ექსკლუზიური ინფორმაციით, „ქართული ოცნების" შიდა კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც 1-3 აპრილს საქართველოს 10 ქალაქში ჩატარდა, პარტიების მხარდაჭერის რეიტინგი ასე გამოიყურება:

ქართული ოცნება - 33,2%;

ნაციონალური მოძრაობა - 30,7%;

თავისუფალი დემოკრატები - 7.9%;

რესპუბლიკური პარტია - 7,3%;

კვლევაში გაურკვევლად - ერთ პოლიტიკურ სუბიექტებად არიან დაჯგუფებული „პატრიოტთა ალიანსი და მრეწველთა პარტია", - 9,6% , ასევე, გაერთიანებულია ბურჯანაძის პოლიტიკური გაერთიანებისა და ეროვნული ფორუმის რეიტინგი - 11, 11%.

აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების" შიდა კვლევის მიხედვით არჩევნებში მონაწილეობას აპირებს გამოკითხულთა 73%.

გამოკითხვები ჩატარდა თბილისში, ზუგდიდში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში, ახალციხეში, გორში, მარნეულში, რუსთავსა და ოზურგეთში.

გამოკითხვის ათი პუნქტიდან ხუთში გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ" (მარნეული, რუსთავი, თბილისი, ოზურგეთი, თელავი) და ხუთში „ნაციონალურმა მოძრაობამ" (ზუგდიდი, ბათუმი, ქუთაისი, ახალციხე, გორი).

შეგახსნებთ, რომ „ქართული ოცნების" ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი სესიაშვილმა **NDI**-ის და **IRI**-ის კვლევებს ღიმილისმომგვრელი უწოდა და განაცხადა, რომ მათი კვლევები ნდობას არ იმსახურებს.

– შიდა კვლევებს ვატარებთ და მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, თვითკმაყოფილები არ ვიყოთ, ჩვენი პარტიის რეიტინგი საკმაოდ მაღალია. ვიტყოდი, რომ რამდენჯერმე უსწრებს სხვა ძალებს, - განაცხადა სესიაშვილმა, რაც 1-3 აპრილს ჩატარებული შიდა კვლევების შედეგებით არ დასტურდება.

საკითხს ეხმაურება „ქართული ოცნების" აღმასრულებელი მდივანი, რომელიც აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, პარტიის შიდა კვლევების შესახებ ინფორმაცია გასაჯაროვდეს.

– **NDI**-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგები მთლიანად არის აცდენილი რეალობას. ამას ადასტურებს, პირველ რიგში, შიდა კვლევები, რომლებსაც ვატარებთ პერიოდულად. ბოლო კვლევა ორი თვის წინ ჩავატარეთ. ჩვენსა და მეორე ადგილზე მყოფ პარტიას შორის სხვაობა არის ძალიან დიდი, რამდენჯერმე ვუსწრებთ ამ პოლიტიკურ გაერთიანებას, - აღნიშნავს კობახიძე.

ირაკლი კობახიძის ინფორმაციით, შიდა კვლევა ჩაატარა „ნაციონალურმა მოძრაობამაც", რომლითაც ასევე დადგინდა, რომ „ქართული ოცნების" რეიტინგი მეორე ადგილზე გასული პარტიის პროცენტულ მაჩვენებლებს რამდეჯერმე აღემატება.

– სამწუხაროდ, **NDI** ვერ ახერხებს რეალური შედეგების დადებას, ეს პრაქტიკა უკვე წლების განმავლობაში გრძელდება, ასე იყო 2010 წელსაც, 2012-ში და ა.შ "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" მიერ გამოქვეყნებულ კვლევის შედეგებთან მიახლოებული არასოდეს ყოფილა და ის ყოველთვის აცდენილი იყო რეალობას. 2012 წელს კვლევისა და არჩევნების შედეგებს შორის იყო კატასტროფული აცდენა. იგივე მოხდა 2012-13 წლებშიც. ბოლოს არჩევნები ჩატარდა გარდაბანში, რაც ერთგვარი ტესტი იყო „ქართული ოცნებისთვის." გარდაბნის არჩევნების შედეგების მიხედვით, შეგვიძლიათ თქვათ, რომ მეორე ადგილზე გასულ პარტიას რამდენჯერმე ვუსწრებთ", - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ. **(ghn.ge; newposts.ge)**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დავით ბერძენიშვილი: პრეზიდენტის ფუჭი, ყალბი გასროლა ვის ემუქრება, მაინც ვერ გავიგე



„რესპუბლიკური პარტიის" წევრი დავით ბერძენიშვილი არჩევნებთან დაკავშირებით პრემიერმინისტრის ახალ განკარგულებას ეხმაურება.

როგორც ბერძენიშვილი აცხადებს, რაკი პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ მას ასე უნდა და მაისში გამოსცემს აქტს, ეს ღიმილის მომგვრელია.

– პრეზიდენტის განცხადება, რომ რადგან ახლა მას უნდა და არ დათანხმდნენ, მაშინ მაისში გამოსცემს აქტს — ღიმილის მომგვრელია, რადგან თუ მაისში გამოცემულ აქტს პრემიერი არ დაეთანხმება და ხელს არ მოუწერს, ანუ თუ არ მოხდება კონტრასიგნაცია, რა სიტყვაც ახლა ძალიან პოპულარულია, მაშინ უკვე პრეზიდენტს აღარ ექნება უფლება ახალი განკარგულება მინიმუმ 6 თვის ვადაში გამოსცეს. პრეზიდენტის ფუჭი, ყალბი გასროლა ვის ემუქრება, მაინც ვერ გავიგე. პრეზიდენტის ეს განცხადება არ არის შექმნილი პოლიტიკური ვითარების ადეკვატური, — განაცხადა ბერძენიშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტი არჩევნების თარიღთან დაკავშირებით ახალ განკარგულებას მაისის დასაწყისში გამოსცემს. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, მთავრობამ ის დაარწმუნა, რომ არჩევნების 60 დღემდე ადრე გამოცხადება ქვეყანას ფინანსურად დაანგრევდა, თუმცა „აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის და თურმე შეიძლება ის უფრო ადრეც დაინიშნოს". **(kvira.ge)**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვაშაძე: ხელისუფლებას კომპრომისზე წასვლა მოუწია და ერთი თვე საარჩევნო კამპანიისთვის გვაჩუქეს

„ნაციონალური მოძრაობის" წევრი გიორგი ვაშაძე მიიჩნევს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების თარიღი საზოგადოების ზეწოლისა და წნეხის შედეგად შეიცვალა.

ვაშაძის განცხადებით, ხელისუფლებას არჩევნების ეშინია, რის გამოც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე უარის თქმა არ უნდა.

მისი თქმით, ხელისუფლებას გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოუწია და მან ოპოზიციას ერთი თვე საარჩევნო კამპანიისთვის აჩუქეს.

– ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ნიშნავს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე საარჩევნო კამპანიის ჩატარებას. გარკვეულ გამარჯვებას მივაღწიეთ და ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ ვაიძულოთ ხელისუფლება, წავიდეს დათმობებზე. ნათელია, რომ „ოცნებას" ეშინია არჩევნების და ის აუცილებლად დამარცხდება, - დასძინა ვაშაძემ.



პრემიერმინისტრი პრეზიდენტს თხოვნით მიმართავს, წინასაარჩევნო პერიოდად აღებული იყოს 3 თვე და მან არჩევნებთან დაკავშირებული განკარგულება 8 ივლისს გამოაქვეყნოს. **(info9.ge)**

## „პრეზიდენტის აქტთან დაკავშირებით დღეს პინგ-პონგის თამაში უწევთ"

„ევროპელი დემოკრატების" ლიდერ პაატა დავითაიას განცხადებით, არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით, სრული უცოდინრობაა.

დავითაიას განმარტებით, ცალსახად ჩანს, რომ არჩევნების დანიშვნის თარიღთან დაკავშირებით, არც პრემიერს და არც პრეზიდენტს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან კონსულტაციები არ გაუვლია და პოლიტიკური გადაწყვეტილება პირდაპირ მიიღეს.

– მერე მიხვდა პრეზიდენტი, რომ გარკვეული შენიშვნები და სამართლებრივი ნორმები არის და ამ ეტაპზე, ამ ხარვეზების გასწორება მიმდინარეობს პრემიერსა და პრეზიდენტს შორის. აქედან გამომდინარე, ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ გადაწყვეტილებების მიღება ვილაცის ნების ირგვლივ მიმდინარეობს. ეს არის შედეგი - პრეზიდენტის აქტთან დაკავშირებით დღეს პინგ-პონგის თამაში უწევთ, რაც ქვეყანას მძიმე მდგომარეობაში აყენებს, - განაცხადა დავითაიამ. **(pia.ge)**

## „გამოიკვეთა შემთხვევები, როცა კლინიკები ორგანოების გადანერგვის შესახებ ინფორმაციას არ გვაწვდიდნენ"



ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ მთავრობის სხდომაზე „ადამიანების ორგანოთა ექსპორტ-იმპორტის წესის" შესახებ მთავრობის დადგენილების პროექტი წარადგინა.

სერგეენკოს თქმით, კანონში შეუსაბამობა არსებობდა, რითიც სხვადასხვა კლინიკა სარგებლობდა.

– ორგანოების ტრანსპლანტაცია ერთ-ერთი მაღალი რისკის სამედიცინო საქმიანობაა. შეუსაბამობაა 2001 წლის კანონსა და 2010 წლის მთავრობის დადგენილებას შორის. კერძოდ, შეუსაბამობა არის ის, რომ კანონში ეწერა, სამედიცინო დაწესებულებას ჰქონდა ვალდებულება შეტყობინების შესახებ, ვინ არის დონორი და ვინ არის პაციენტი, ხოლო ლიცენზიებისა და ნებართვების დადგენილების შესახებ დადგენილებაში ეს ვალდებულება არ ეწერა.

გამოკვეთა შემთხვევები, როდესაც კლინიკები არ გვაწვდიდნენ ინფორმაციებს, ჩამოჰყავდათ დონორები, მიჰყავდათ პაციენტები და აკეთებდნენ გადანერგვის ოპერაციებს და მთავრობა ამის შესახებ არაფერი იცოდა, რაც მიუღებელია, დიდი რისკის გამო და ეს ცვლილება სწორედ ამას ეხება, - განაცხადა სერგეენკომ. **(pia.ge)**

## ნატომ იცოდა რუსეთი უკრაინას რასაც უზამდა და რა გააკეთა? არაფერი!



ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრე ვერშბოუ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებულ აგრესიაზე კომენტარს აკეთებს და აცხადებს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის რუსეთის ფედერაციის მხრიდან მსგავსი ქმედება მოულოდნელი არ ყოფილა. ვერშბოუმ აღნიშნული განცხადება კიევში, უსაფრთხოების ფორუმზე გააკეთა:

– ჩვენ უკვე ვიხილეთ მსგავსი სიტუაცია 2008 წელს საქართველოში და ის, რომ კრემლი არ განიხილავს სუვერენიტეტს, როგორც სერიოზულ არგუმენტს მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში, - განაცხადა ვერშბოუმ.

ვერშბოუმ ყირიმის ანექსიაზეც ისაუბრა. მისი თქმით, ალიანსი მსგავს ფაქტს არასდროს შეეგუება. (ნიუპოსტი)

## 2017 წელს მასწავლებლის საშუალო ხელფასი 800-900 ლარი იქნება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრ თამარ სანიკიძის განცხადებით, მასწავლებლის ხელფასის ზრდა 2017 წლის 1-ელი იანვრიდანდანაც იგეგმება. ამ პერიოდში მასწავლებლის საშუალო ანაზღაურება 800-900 ლარი იქნება.

ამასთან, მიდმინარე წლის 1-ელი აპრილიდან მასწავლებლების საბაზო ხელფასი 50 ლარით იზრდება.

– 2012 წელს ჩვენ ჩავიბარეთ საბაზო ხელფასი, რომელიც შედგებოდა 245 ლარით, დღეს და დღევანდელი ცვლილების შედეგად ეს საბაზო ხელფასი არის უკვე 405 ლარის ოდენობით.

2016 წლის აპრილიდან, პრაქტიკოსი მასწავლებლის საშუალო ხელფასი, რა თქმა უნდა ეს სრულ განაკვეთზეა გაანგარიშებული, არის დაახლოებით 600 ლარი, რომელიც 2012 წელს იყო 360 ლარი. უფროსი მასწავლებლის საშუალო ხელფასი არის უკვე 800 ლარი, რომელიც 2012 წელს იყო 450 ლარი, წამყვანი მასწავლებლის არის 965 ლარი, რომელიც 2012 წელს დაახლოებით 500 ლარი იყო, - აღნიშნა თამარ სანიკიძემ.

მინისტრის ინფორმაციით, სახელფასო ზრდისთვის, მიმდინარე პერიოდისთვის სახელმწიფომ დამატებით 90 მილიონი ლარი მიმართა. რაც შეეხება, 2017 წელს სახელფასო ზრდას, დამატებით 35 მილიონი ლარი იქნება საჭირო.

– ამის გაზრდის ვალდებულება მთავრობას შესაბამისი განკარგულებით აქვს აღებული, რომელიც არეგულირებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების და წინსვლის სქემას, - განაცხადა სანიკიძემ. (ipress.ge)

# რა მოხდა კულისებში ისეთი, რომ კვირიკაშვილ-მარგველაშვილის „საარჩევნო შეთანხმება“ დაირღვა და ერთმანეთს დაეტაკნენ?




ნინო სამხარაძე
599 71-14-22

თავდაუსხმელობის პაქტი ანულირებულია. პრემიერსა და პრეზიდენტს შორის კინკლაობის რინგი გახსნილია, წამმზომი – ჩართული.

**ამ ბრძოლაში მოგებული კვლავ ხელისუფლება დარჩება, წაგებული — ხალხი, რადგან მშიერ და გაღატაკებულ მოსახლეობას სულაც არ ადარდებს, ძალაუფლებას დახარბებულ პარტიებს როდის აენთებათ „მწვანე“ საარჩევნო კამპანიისთვის. რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენი ტვინის გამოლაყება, დაბოლება, მოტყუება და გადაგდების ათვლის**

**წერტილი არჩევნებამდე სამი თვით ადრე დაიწყება თუ ხუთი თვით ადრე?**

მოკლედ, პრეზიდენტი არჩევნების თარიღთან დაკავშირებით ახალ განკარგულებას მაისის დასაწყისში გამოსცემს.

**როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, მთავრობამ ის დაარწმუნა, რომ არჩევნების 60 დღემდე ადრე გამოცხადება ქვეყანას ფინანსურად დაანგრევდა თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის და თურმე შეიძლება, ის უფრო ადრეც დაინიშნოს. ანუ პრეზიდენტი ბრძანებს, რომ მთავრობამ და მისმა მეთაურმა მომატყუა და მეც დიდი კოვზით ფუნა ვჭამეო.**

კი მაგრამ, ბატონო პრეზიდენტო, მთელი „სამართლის ლომები“ თქვენთან რომ გადმოაბარგეთ, ამხელა ხელფასები დაუნიშნეთ და ჩვენი ჯიბიდან „პოლიტიკურ შაბაშებს“ უხდით, ბუმბულს არჩევენ, თუ რჩევებს გაძლევენ?! რა საჭირო იყო საგანგებო ბრიფინგის გამართვა და აცეტებული ტექსტის წაკითხვა, არჩევნებს 8 ოქტომბერს ვნიშნავ და საარჩევნო კამპანიას 8 აგვისტოს გახსნილად ვაცხადებო?! ჰეი, თქვენ, ყველას მანდ, მეტი საქმე აღარ გაქვთ?! მშიერ ხალხზე იფიქრეთ, სანამ ბარიკადები არ აუგიათ!

პრეზიდენტი ამბობს, არჩევნების თარიღი დადგენილია – ეს არის 8 ოქტომბერი და არ შეიცვლებაო, არადა სააკაშვილმა 2012 წელს საარჩევნო თარიღი რომ გამოაცხადა, ორშაბათი იყო და ემიგრანტებს არ მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა. მაშინ ივანიშვილმა ეს გარემოება გააპროტესტა, ახლა კი 8 ოქტომბერი შაბათი დღეა და ემიგრანტს არჩევნებში მონაწილეობა იგივენაირად ეზღუდება, რადგან მათი დასვენების დღე არის კვირა, რას ნიშნავს ეს?! ემიგრანტებს ხმის მიცემის შესაძლებლობას უზღუდავთ?

ახალი დაპირისპირების საბაბი პრემიერსა და პრეზიდენტის შორის ხდება დოკუმენტი, რომელიც საარჩევნო კამპანიის დაწყების თარიღს განსაზღვრავს. პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა არჩევნების თარიღთან დაკავშირებული განკარგულება პრეზიდენტს მოტივირებული შენიშვნებით უკან გაუგზავნა და განაცხადა, რომ წინასაარჩევნო პერიოდად აღებული უნდა იყოს 3 თვე და უმჯობესი იქნება, თუკი პრეზიდენტი არჩევნებთან დაკავშირებულ განკარგულებას 8 ივლისს გამოაქვეყნებს.

**მარგველაშვილი, სავარაუდოდ, მეგობარ პარტიებთან და არასამთავრობოებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, აცხადებს, რომ ის მზადაა, სარჩევნო კამპანიისთვის პრეზიდენტის სარეზერვო ფული გამოყოს და 5 თვით ადრე დაიწყოს საარჩევნო კამპანია... რაზეც უმრავლესობამ მარგველაშვილს ორკესტრირებულად დასცინა და „არასერიოზული“ განცხადება წალმა-უკუღმა უტრიალა, შენ პრეზიდენტის სარეზერვო თანხები საკუთარი ჯიბის ფული ნუ გგონიაო...**

განსაკუთრებით ყელყელა აღმოჩნდა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ირაკლი სესიაშვილი, რომელიც პრეზიდენტს ტრიკოს რეზინივით გაეჭიმა: „საკითხს გონივრულად და რაციონალურად უნდა მივუდგეთ. წინასაარჩევნო პერიოდში, რიგი შეზღუდვები წესდება, ხოლო მეორე მხრივ, პოლიტიკურ ძალებს გარკვეული ადმინისტრაციული შესაძლებლობები უფართოვდება. აბსოლუტურად გონივრულია სამი თვე. ჩვენ რესურსი ადეკვატურად უნდა გამოვიყენოთ. როცა პრეზიდენტი ამბობს, რომ მზად არის, საარჩევნო ფინანსებს შეეხიდოს, ეს ცოტა არასერიოზული განცხადებაა. პრეზიდენტს სარეზერვო ფონდის ფული საკუთარი ჯიბის ფული ნუ ჰგონია!“

**დიდი ამბავი, პრეზიდენტს სარეზერვო ფონდი საკუთარი ჯიბის ფული ეგონოს, თქვენ ხომ რას ამბობთ, ბიუჯეტი ხალხის ფული გგონიათ და თქვენს ხოშზე არ ფლანგავთ!**

**ახლა კი გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან:**

**— პრეზიდენტსა და პრემიერს შორის კინკლაობის რაუნდი გაიხსნა. რა უნდა მომხდარიყო კულისებში ისეთი, რომ შეთანხმება დაირღვა და ერთმანეთს დაეტაკნენ?**

– ქართული პოლიტიკის დეგრადაციის პირველი ნიშნები შევარდნაძის დროს გამოჩნდა, ეს ჰგავს კიბოს, რომელიც არ გაწუხებს და შემდეგ, შედის მომაკვდინებელ სტადიაში. ახლა, ზუსტად ეს დრო დაუდგა ქართულ პოლიტიკას. მოდი, თავი დავანებოთ პრეზიდენტისა და პრემიერის დაპირისპირებას და მოვლენებს თავისი სახელი დავრქვათ. რაც ხდება, ეს არის პრეზიდენტსა და ბიძინა ივანიშვილს შორის დაპირისპირება. როდესაც მოვიდა კვირიკაშვილი, მაშინ მთავარი გახლდათ, არ ყოფილიყო ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მხოლოდ გვარები შეიცვალა. რეალურად კი, მხოლოდ გვარები და მაგათი შარვლების მუცლის ზომა შეიცვალა! ისეთი შთაბეჭდილება უნდა ყოფილიყო, რომ რაღაც სიახლე მოიტანა კვირიკაშვილმა: პრემიერსა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობა დათბა, თითქოს ივანიშვილი უცებ გახდა მიმტევებელი და თითქოს ხელად დაივიწყა წყენა, მაგრამ ადამიანები ასე ადვილად არ იცვლებიან, მით უმეტეს, ამ ასაკში. ელემენტარულად საჭირო იყო საბაბი, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დამდგარიყო და საბაბად გამოდგა ეს ფაქტი, როდის დაიწყება წინასაარჩევნო კამპანია. მე მაგალითად, ვთვლი, რომ საქართველოში ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან ჩვენთან საზოგადოება ისეა პოლარიზებული, შენ ამომრჩეველს ხუთი თვე უმტკიცებ თუ ორი თვე, აზრს ვერ გადაათქმევინებ. ხელისუფლება ხედავს, რომ მრავლდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელიც არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობს, ამიტომ იყო, ვილაცებმა ხელისუფლების დავალებით რომ დაიწყეს ყვირილი, ამომრჩეველთა მონაწილეობა სავალდებულო გავხადოთო.

**„ენდიაის“ კვლევები არასოდეს გამოირჩევა ობიექტურობით, ყოველთვის ეტყობა მიკერძოებულობა, მაგრამ ეს შემთხვევა გამონაკლისია. რაც არ უნდა სუბიექტური იყოს კვლევები, ისედაც ყველაფერი ჩანს. ჩემი ახალგაზრდობის დროს ანეკდოტი იყო — სეროჟა პროკლამაციებს აკრავდა და ფურცლები ცარიელი იყო. როცა ჰკითხეს, ეს რა პროკლამაციაა, შიგნით არაფერი წერიაო, სეროჟამ თქვა, რა საჭიროა რამის დაწერა, ისედაც ყველაფერი „იასნიაო“... აი, რად გვინდა კვლევების ჩატარება, ისედაც ყველაფერი „იასნია“ და ჩანს, რა დღეშია ქვეყანა, როგორი გაღატაკებულია ხალხი. კმაყოფილია მხოლოდ ხელისუფლება, მათი კორუფციის ფაქტები ჟონავს, პრემიერისა და პრეზიდენტის კინკლაობა კი ზუსტად ასახავს ქართული პოლიტიკის დეგრადაციას. კვირიკაშვილი რომ თავის არჩევანში დამოუკიდებელი იყოს, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტს შეხვდებოდა და გამოსავალს მოძებნიდნენ, მაგრამ ივანიშვილი არ პატიობს პრეზიდენტს წყენას. ეს არის რეალობა.**

საბოლოო ჯამში, ამ კინკლაობით აღწევენ იმას, რომ ხალხის ყურადღება გადაიტანონ ახალ სკანდალზე, ნებისმიერ ხელისუფლებას ურჩევნია, იკამათონ იმაზე, როდის დაიწყონ საარჩევნო კამპანია, ვიდრე მშიერი ხალხის პრობლემაზე, რომელიც ხვალ შეიძლება ბარიკადებზე ავიდეს. ამ საზოგადოებამაც ვერ აუარა გვერდი დეგრადაციას, ყელამდე ნეხვშია ჩაფლული და ისეთი მმართველი გვყავს, რასაც ხალხი იმსახურებს! სხვათა შორის, 2016 წლის გაზაფხული ძალიან ჰგავს 2012 წლის გაზაფხულს. რა დღეშიც იყო „ნაციონალური მოძრაობა“ მაშინ, იმავე მდგომარეობაშია დღეს „ოცნება“. როგორც „ნაციონალური მოძრაობა“ ეძებდა ახალ სახეებს, ასევე ეძებს ახალ სახეებს „ოცნება“. აუჩემებიათ, ცნობადი სახეებიო... ჩემს დროს ყველაზე ცნობადი სახეები პლეხანოველი კიკა და სოლოლაკელი მარინა იყვნენ, რა არის ამ ცნობად სახეებზე გადარევა?! „ოცნებამ“ სკანდალური კადრებით დაიწყო საარჩევნო მარათონი და სკანდალური კადრებით ასრულებს მმართველობის ოთხ წელს. ეს კი არ არის კარგი სიგნალი.

## შორენა ბეგაშვილი „იღბლიან“ ბორბალში დაბრუნდა



გადაცემაში წამყვანის დაბრუნების ამსახველი ვიდეოკადრები სოციალურ ქსელში ვრცელდება.

შორენას თანაწამყვანი ვანიკო თარხნიშვილი და „იღბლიანი ბორბლის" დამსწრე აუდიტორია ოვაციებით შეხვდა. (itv.ge)

## წვიმის 64 სახელი ქართულ ენაში

ქართულ ენაში წვიმას 64 სახელი აქვს:

არაზანი — თავსხმა; ბუტუტი — თქეშივით; გერილი — მალე გადამღები; დელგმა — კოკისპირული; ზესხმა — ძლიერი წვიმა; ზოველა — დიდი წვიმა; ზღველა — თავსხმა; თოროხაპანი — თავსხმა წვიმა დილიდან; თქეში — მსხვილი წვიმა; თქორი — წვრილი წვიმა; ისხარი — ჩქარი წვიმა; კოხშინშხალი — სეტყვა ქარიშხლიანი; კოხი — მსხვილი სეტყვა; ლეზღმა — დიდი წვიმა; ლელეხი — გადაუღებელი წვიმა; ლეშტერი — სეტყვის ღვარი, ლესტერი; ლეშხი — ჟვავი, ფოთოლთაგან დადენილი

ლიჟღი; ლოშქრი — ნისლსა და წვიმას შუა; მანანა — რბილი წვიმა; მერეხი — თავსხმა; მზე პირს იბანს — თან მზეა და თან წვიმს; მსთვადი-მცხვედი — დილა-საღამოს მარგებელი წვიმა; ნავერღვენა — თავსხმა; ნამვა; ნიჟი — ცვართ უმცირესი; ჟანტი — მცირე სისველე; ჟგეთა — ძლიერი თავსხმა; ჟინჟლი — წვრილი წვიმა; ჟიჟმატი — ძალიან წვრილი; ჟუჟუნა — ნელი, ხანგრძლივი; ჟღვიპი — ნისლიან-წვიმიანი ამინდი; ჟღმურტლი — წვრილი, ნისლიანი წვიმა; რეში — დიდი წვიმა; საფურცლო — გაზაფხულის წვიმა; სეტყვა — გაყინული წვიმა; სინსლვა — წვრილი წვეთებით წვიმა ბურუსში; სირსვლა; სკარხალი — სეტყვა (სვან.); ფრუტი — ნისლოვანი თქორი; ფუნთხი — თქორივით; ქაშანი — ქარიანი თქეში; ქირსლა — წვრილთოვლნარევი; ღანილი — მცირე ხნით გადაღება; ღვართქაფი — წყალუხვი წვიმა; ღვარნაში; ღვაფი — ცვართ უმსხვილესი; ღლოფო — დიდი წვიმა; ყელობა — წვიმახშირობა; შხაპი — ჩქარი წვიმა, შხეპა; შხაპუნა — უხვი წვიმა; შხუმფლვა — წვრილი წვიმა; ჩულუმი — ქარწვიმა; ჩქაფი — თავსხმა; ცაიერადი — თავსხმა; ცვარი — მცირე წვიმა; ცრა — თქორზე წვრილი; ძანძახი — ხანგრძლივი, უსიამო; წინწკლვა — წვრილი წვიმა; ჭოროფა — გაბმული ავდარი; ჭყაპი — თოვლნარევი წვიმა; ჭყიჟორი — წვიმიანი ამინდი; ხორხოშა — მსხვილი სეტყვა, კორკოტა; ხოშკაკალა — წვრილი სეტყვა.

ქართულ ენაში სიტყვა წვიმის ვრცელ ლექსიკონს ამერიკიდან ჟურნალისტი მანუჩარ კაჭახიძე აქვეყნებს:

– მე ვერასოდეს ვუგებდი იმ ქართველ „ამერიკელებს“, აზრის უკეთ გადმოსაცემად ინგლისურს რომ მიმართავდნენ, მაშინ როცა არც ერთ ქვეყანას აქვს წვიმის 64 სახელი, - წერს მანუჩარ კაჭახიძე. (kutaisipost.ge)

## რუსული ავიაგამანადგურებლები ამერიკულ სამხედრო ხომალდს მიუახლოვდნენ



რუსული ავიაგამანადგურებლები ბალტიის ზღვაში მდგარ ამერიკულ სამხედრო ხომალდ „დონალდ კუკს" მიუახლოვდნენ.

„ბიბისის" ინფორმაციით, გამანადგურებლებმა ამერიკულ ხომალდებს ძალიან ახლოს ჩაუფრინეს. პენტაგონმა შესაბამისი განცხადება და ფოტო-ვიდეომასალაც გაავრცელა.

– შეშფოთებულები ვართ რუსული თვითმფრინავების არაპროფესიონალური და საფრთხისშემცველი მანევრების გამო, - ნათქვამია აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპული სარდლობის განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## 12 წლის ბავშვის კითხვა პუტინს: „ვის გადაარჩენდით, ერდოღანს თუ პოროშენკოს?"

რუსეთის პრეზიდენტს 12 წლის ვარი კუზნეცოვამ „პირდაპირი ხაზის" მეშვეობით ასეთი კითხვა დაუსვა: უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო და თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი რომ იხრჩობოდნენ, ვის გადაარჩენდით?

– თუ ვინმემ დახრჩობა გადაწყვიტა, გადარჩენა შეუძლებელია. თუმცა, ჩვენ, რა თქმა უნდა, მზად ვართ, დახმარების ხელი გავუწოდოთ ჩვენს ნებისმიერ პარტნიორს, თუ მას ეს სურს, - განაცხადა რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა.

ანალოგიური კითხვა აშშ-ის პრეზიდენტს ბარაკ ობამას სამხრეთ კორეაში ვიზიტისას გამართულ პრესკონფერენციაზე დაუსვეს, რაზეც მან უპასუხა:

– რა თქმა უნდა, პუტინს გადავარჩენდი რომ იხრჩობოდეს. მინდა მჯეროდეს, რომ ვინც არ უნდა იხრჩობოდეს, მის გადარჩენას შევძლებ. მე ცუდად არ ვცურავ, ჰავაიზე გავიზარდე და საკმაოდ დიდი პრაქტიკა მაქვს.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 6 წლის გოგონას შეკითხვა წაიკითხა - როგორ ფიქრობთ, წყალში რომ იხრჩობოდეთ, ბარაქ ობამა გადაგარჩენდათ?

ვლადიმერ პუტინმა დასმულ შეკითხვაზე უპასუხა, მას არ აქვს ახლო პერსონალური ურთიერთობები ბარაკ ობამასთან, მაგრამ ფიქრობს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი მას გადაარჩენდა. (ipress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „პრეზიდენტი ერთპიროვნულად არ ნიშნავს არჩევნების თარიღს, ეს იყო პრემიერთან შეთანხმების შედეგი"



მთავრობის ადმინისტრაციამ პრეზიდენტის ადმინისტრაციას არჩევნების თარიღთან დაკავშირებულ განკარგულებაზე მოტივირებული შენიშვნები დღეს გაუგზავნა. პრეზიდენტის განცხადებით, ის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ახალ განკარგულებას 2016 წლის მაისში გამოსცემს. როგორც გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, დოკუმენტი, რომელსაც მთავრობამ ხელი არ მოაწერა, შეთანხმებული იყო თავად მთავრობასთან. აღნიშნულ საკითხზე პრეზიდენტის მრჩეველმა, ფიქრია ჩიხრაძემ გადაცემა "20/30"-ის პირდაპირ ეთერში ისაუბრა:

"არჩევნებთან დაკავშირებით გარკვეული წინასწარი კონსულტაციები იყო და ამ საკითხს ხანგრძლივი წინაისტორია აქვს, სულ იყო მოთხოვნა, რომ არჩევნების თარიღი გამოცხადებულიყო ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს ცხადდებოდა ხოლმე. პრეზიდენტს ეს განწყობა იმთავითვე ჰქონდა და ეს მხოლოდ მისი განწყობა არ იყო. პრეზიდენტს ჰქონდა გარკვეული კონსულტაცია პრემიერთან ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ დროულად მომხდარიყო თარიღის გამოცხადება, ეს არა თუ ნორმალურია, ამაზე არავითარი წინასწარი ახსნა-განმარტება საჭირო არ არის.

შემდგომ იყო კომუნიკაცია ადმინისტრაციებს შორის, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის საბოლოო კონსულტაციის შედეგად გადაწყდა თარიღი, გამოცხადდა იგი, შედგა სამართლებრივი აქტი, სადაც მთავრობის პოზიცია გათვალისწინებული იყო, ამის გამო მსუბუქი საყვედურებიც მიიღო პრეზიდენტმა. ყველას შევახსენებ, რომ პრეზიდენტი ერთპიროვნულად არ ნიშნავს და არ აყალიბებს ამ თარიღთან დაკავშირებით პოზიციას, ჩვენი კონსტიტუცია განსაზღვრავს იმას, რომ პრეზიდენტი და პრემიერი კონსულტაციების შედეგად იღებენ ამ გადაწყვეტილებას.

ოფიციალური შეხვედრების თაობაზე ინფორმაცია ღია იყო, დაფარული არაფერი არ იყო. საუბრები ამასთან დაკავშირებით იყო როგორც პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის, ისე ადმინისტრაციების წარმომადგენლებს შორის და ამაში არაბუნებრივი და მოულოდნელი არაფერი არ არის.

ეს შეთანხმებული პოზიცია, რომელიც პრეზიდენტმა სამართლებრივი აქტის სახით წარუდგინა მთავრობას კონტრასიგნაციის მისაღებად, აღმოჩნდა, რომ პრემიერმა უკან დააბრუნა". – განაცხადა ჩიხრაძემ. (newpost.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ჩვენი მთავარი მტრის ხელში აღმოჩნდა ის ინფორმაცია და რაღა საიდუმლოა"



„ნაციონალური მოძრაობისთვის" ამ დრომდე არაა ცნობილი სუს-ის იმ მაღალჩინოსნის საქმის დეტალები, რომელმაც რამდენიმე თვის წინ უსაფრთხოების სამსახურიდან მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაიტანა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადავიდა. საპარლამენტო ოპოზიცია ამ ფაქტზე ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ საუბრობდა. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ბარამიძემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკომიტეტო მოსმენის დროს სააგენტოს წარმომადგენელსაც დაუსვა შეკითხვა.

„ეს ფაქტი დადასტურებულია, ვერც უარყო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა. არაფერი არ გააკეთეს საერთოდ, არანაირი რეაგირება არ არის, არავინ არ დასჯილა თუ ეს მოხდა და ეს ერთ-ერთი სერიოზული და დიდი ჩავარდნა იყო, რომელიც ამ სამსახურის არსებობის განმავლობაში მომხდარა. მე ვერც ვიხსენებ, რომ ისტორიაში ეგეთი რამე მომხდარიყოს რომელიმე ხელისუფლების დროს". – განაცხადა ბარამიძემ.

კითხვაზე, ხომ არ შეიძლება, რომ ბოლო პერიოდში ფარული ჩანაწერების გავრცელებას ეს საქმეც უკავშირდებოდეს, ბარამიძე ამბობს:

„ვერაფერს ვერ გამორიცხავ, დედამიწაზე შეიძლება მეხი ჩამოვარდეს და ბიძინა ივანიშვილის ხეს დაეცეს. ხომ არ ვიცით კონკრეტულად რა წაიღო იმ ადამიანმა? საქმეც ამაშია, რომ არანაირად არ აგებენ პასუხს, არაფერს არ ეუბნებიან საზოგადოებას, შეიძლება, რომ ყველაფერი ვერც უთხრა იმიტომ, რომ საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია შეიძლება იყოს, თუმცა ჩვენი მთავარი მტრის ხელში აღმოჩნდა ის ინფორმაცია და რაღა საიდუმლოა უკვე აღარ ვიცი, მაგრამ მაინც. მოკლედ, ამ ფაქტთან დაკავშირებით არაფერს არ ლაპარაკობენ და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ასეთი სერიოზული პრობლემის შექმნის გამო პასუხს არ აგებს არავინ". – განაცხადა ბარამიძემ. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## The Guardian-ის 2016 წლის საუკეთესო ტურისტულ მარშრუტებში საქართველოც მოხვდა



ბრიტანულმა გამოცემამ **The Guardian** 2016 წლის საუკეთესო ტურისტული მარშრუტები გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოც მოხვდა.

**The Guardian**-ის ტურისტულ მარშრუტებში მოხვდნენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: ავსტრალია, ირლანდია, ბრაზილია, ინდოეთი, ირანი, იაპონია, ნიდერლანდები, ამერიკა, იტალია საქართველო, სლოვენია, ესპანეთი და კანადა.

– საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ შეძლო და ერთ-ერთი ყველაზე რეფორმატორი ქვეყანა გახდა მსოფლიოში. აქ შეხვდებით ულამაზეს ლანდშაფტებს, ტბებსა და მდინარეებს.

საქართველო ევროპის სხვა ქვეყნებისგან ხალხმრავლობით არ გამოირჩევა. ეს ქვეყანა ცნობილია უძველესი კულტურითა და ტრადიციებით. საქართველო განთქმულია ტრადიციული კერძებითა და საუცხოო სამზარეულოთი. კავკასიის სხვა რეგიონებთან შედარებით, აქ მოგზაურობა იაფია, - წერს **The Guardian**-ი.

გამოცემამ, ასევე, ყურადღება გაამახვილა ჩვენს ქვეყანაში არსებულ სასტუმროებსა და მომსახურების სერვისზე და მოგზაურებს ურჩია, რომ აუცილებლად ეწვიონ ზღვისპირა ქალაქ ბათუმს. (okmagazine.ge)

## „მიმიფურთხებია ისეთი ქალისთვის, ვინც მეტყვის, რომ არაკანონიერად ვაჩენ შვილს... წადით და იკეთეთ აბორტები"- ინდირა ჯგერნაია



მომღერალი ინდირა ჯგერნაია მალე დედა გახდება. ეს ამბავი მას შემდეგ გავრცელდა, რაც ინდირამ საკუთარი ფოტო სოციალურ ქსელში ატვირთა. ფეხმძიმე მომღერალი „ფეისბუკის" პირად გვერდზე მიმართვას ავრცელებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მისი „კეთილმოსურნეა", მოუწოდებს, თავი დაანებონ მას და არავის საქმე არ არის კანონიერად აჩენს ის შვილს თუ – უკანონოდ.

– არასასიამოვნო ჭორებით ყველა თქვენს თავს აყენებთ შეურაცხყოფას კაციც და ქალიც. ფეხმძიმე გოგოს თუ გამამწარებთ და ნერვებს მომიშლით, დამპალი, გათახსირებული ენების გამო, სად გეწერებათ ეგ – სიკეთეში თუ ბოროტებაში? არ მეშინია, ავიტან! მიმიფურთხებია ისეთი ქალისთვის, ვინც დამიწყებს საუბარს, რომ არაკანონიერად ვაჩენ შვილს. წადით ბატონო და იკეთეთ აბორტები, შემეშვით მე! თქვენ ხომ არ აჩენთ და თქვენი საზრუნავი ხომ არაა, ვინ რა მოგთხოვათ. თავი დამანებეთ და ღმერთის გეშინოდეთ! - წერს ინდირა ჯგერნაია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 2014 წლის შემდეგ, 20 აპრილს, ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა პირველად გაიმართება




„რადიო თავისუფლება" ნატოს პრესმდივან კარმენ რომეროზე დაყრდნობით წერს, რომ განსახილველ საკითხებს შორის იქნება ომი აღმოსავლეთ უკრაინაში და მინსკის შეთანხმებების სრულად შესრულება.

სხდომაზე, რომელიც ბრიუსელში ნატოს შტაბბინაში გაიმართება, ასევე იმსჯელებენ ავღანეთში შექმნილ ვითარებასა და ტერორიზმის საფრთხეებზე.

სხდომაზე რუსეთის წარმომადგენელი ნატოში რუსეთის ელჩი იქნება.

ნატომ მოსკოვთან თანამშრომლობა 2014 წელს ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში მებრძოლი სეპარატისტების მხარდაჭერის გამო შეაჩერა. (georeg.ge)

## 16 წლის ნინო ჭყონიას დედის გულის ამაჩუყებელი წერილი



ზ.ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედის სკოლის მოსწავლის, 16 წლის ნინო ჭყონიას დედა ფატმან სახელაშვილი სოციალურ ქსელში წერილს ავრცელებს და საზოგადოებას მიმართავს:

– ექვსი გაუსაძლისი თვეა, რაც ჩემი შვილი – 16 წლის ნინო ჭყონია თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში წევს. მას თავის ტვინის სიმსივნის ოპერაცია გაუკეთეს გიორგი და ედიშერ მაღალაშვილებმა, ისინი უკვე ექვსი თვეა ძალ-ღონეს არ იშურებენ მისი სიცოცხლის გადასარჩენად.

ამ დროის განმავლობაში ნინოს გვერდით დგას 133-ე საჯარო სკოლის განსაკუთრებით კი XI კლასის მოსწავლეები, ნინოს თანაკლასელები, რომლებმაც შეუძლებელი შეძლეს და გაუჩინარი გააჩინეს. ნინოს თანაკლასელების ძალისხმევით იყო სიუჟეტი გადაცემაში „სხვა რაკურსი". საგანგებო კონცერტით გამოეხმაურა ნინოს პრობლემას ზ.ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედის სკოლა, რადგან ნინო ამ სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეა.

ჩვენი მდგომარეობა გულთან ახლოს მიიტანა არაერთმა ახლობელმა თუ შორეულმა, ნაცნობმა თუ უცნობმა, ამის გამო დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელიც ზემოთხსენებულთა შორის იგულისხმება.

მიუხედავად ასეთი ზრუნვისა, ნინო კვლავ რეანიმაციულ განყოფილებაშია, ამიტომაც იზრდება საავადმყოფოს დავალიანება, რომელიც საკმაოდ დიდ თანხას შეადგენს.

ჩვენი ამოცანაა, ამ ეტაპზე ნინო ისევ დარჩეს საავადმყოფოში სამკურნალოდ, რადგან მისი სახლში მოვლა შეუძლებელია, (იკვებება ზონდირებით და ჟანგბადდამოკიდებულია).

კიდევ ერთხელ მივმართავ ყველას, რომ გაავრცელოთ ჩემი თხოვნა, გაგვიწიოთ დახმარება, შეეწიოთ ჩემს მდგომარეობას და გადამირჩინოთ ნინო.

ანგარიშის ნომერი გახსნილია თიბისი ბანკში

**GE83TB7273536010300021**

მიმღები: ფატმან სახელაშვილი. (postalioni.com)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## სეპარატისტებმა გორში მცხოვრები 24 წლის მამაკაცი დააკავეს




ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლები ე.წ. საზღვრის დარღვევის ბრალდებით გორის მკვიდრის, 24 წლის მამაკაცის დაკავების შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ.

გამოცემა „კავკაზსკი უზელი" ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების კომიტეტის ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს, რომ ე.წ. მესაზღვრეებმა სოფელ ორჭოსანის მახლობლად 12 აპრილს საქართველოს მოქალაქე, 1992 წელს დაბადებული, ქალაქ გორის მკვიდრი მამაკაცი დააკავეს. მისი ვინაობა არ სახელდება. დე ფაქტო უშიშროების კომიტეტის ინფორმაციით, განიხილება საქმის სასამართლოსთვის გადაცემის საკითხი.

გასულ კვირას ე.წ. მესაზღვრეებმა სოფელ კირბალის მკვიდრი, 44 წლის ეროსი თაყაძე დააკავეს. (ინტერპრესნიუსი)

## გელა ღურწკაია ბრალს აღიარებს



ფარული ჩანაწერების საქმეზე ბრალდებული გელა ღურწკაია პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელებას და წარდგენილ ბრალს აღიარებს.

ამის შესახებ ე.წ. ფარული ჩანაწერების საქმეზე დაკავებული გელა ღურწკაიას ადვოკატმა მილერი წოწორიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

ადვოკატის ინფორმაციით, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, გელა ღურწკაიამ პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრები კუდის ყოფილ მაღალჩინოსანს ნიკოლოზ ხაჭაპურიძეს გამოართვა.

როგორც გელა ღურწაკაიას ადვოკატი აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი გამოძიებასთან თანამშრომლობს, თუმცა მას საქმეზე ბრალდებული ზურაბ ჯამალაშვილი არასდროს უხსენებია. (exclusivenews.ge)

## „ხელისუფლების ნდობა სრულიად გაცამტვერებულია" - გუგავა NDI-ის კვლევებზე



– ხელისუფლების რეიტინგი განადგურებულია, — ასე აფასებს **NDI**-ის კვლევებს „ლეიბორისტული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა. ამსთან, ის ფიქრობს, რომ „ლეიბორისტული პარტია" და მისი ლიდერი მაღალი რეიტინგით სარგებლობენ, რაც კვლევაში არაწორადაა ასახული.

– თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ეს რეიტინგები კოალიციის დაშლამდე ჩატარდა, დღეს ხელისუფლების ნდობა სრულიად გაცამტვერებულია. რაც შეეხება ჩვენთან მიმართებაში, ტრადიციულად **NDI**-ის შედეგები არის თავდაყირა. „ლეიბორისტული პარტია" და მისი ლიდერი სარგებლობს მაღალი რეიტინგით, - აცხადებს გუგავა. (პირველი რადიო)

## ფარულ ჩანაწერებზე ბრალდებული პირები მოსამართლემ პატიმრობაში დატოვა




ე.წ. ფარული ჩანაწერების საქმეზე ბრალდებული პირები მოსამართლე რომან ხორავამ პატიმრობაში დატოვა. მოსამართლემ არ გაითვალისწინა ბრალდებულების ადვოკატების შუამდგომლობა. ზურაბ ჯამალაშვილი, ირაკლი ფხალაძე და გელა ღურწკაია კვლავ წინასწარ პატიმრობაში რჩებიან. საქალაქო სასამართლოში სხდომა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

პროცესის დახურვის მიზეზი გახდა პროკურატურის შუამდგომლობა. კერძოდ, პროკურორმა ლაშა კოტრიკაძემ ითხოვა, დახურულიყო აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხთან დაკავშირებული სხდომა, მოტივად კი პროკურორმა პერსონალური მონაცემების გავრცელება დაასახელა. (რეპორტიორი)

## ფონიჭალაში მოკლული დედა-შვილის ახლობლებმა ქობულეთში გზა გადაკეტეს



მოკლული დედა-შვილის ოჯახის წევრებმა გურია-აჭარის დამაკავშირებელი ცენტრალური მაგისტრალის ქაქუთის მონაკვეთი გადაკეტეს.

ოჯახის წევრები საქმის დროულად გამოძიებასა და დამნაშავის დასჯას ითხოვენ.

– საქმეზე გამოძიების პასუხი 10 დღის ვადაში შეგვატყობინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პერმანენტულ აქციებს გავმართავთ. დაგვეხმარონ ამ ფაქტის გამოძიებაში, სად არის საგამოძიებო უწყებები, - აცხადებს მოკლული ნონა რომანაძის დედა, ნათელა ბერაძე.

შეგახსენებთ, რომ 22 თებერვალს ფონიჭალაში დედა-შვილი მოკლეს. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

# პროექტი „m2 ყაზბეგზე" დასრულდა და მცხოვრებთა შესახლების პროცესი დაიწყო






დეველოპერულმა კომპანია „**m2** უძრავი ქონებამ" რიგით მეოთხე საცხოვრებელი კომპლექსის, ამჯერად „ **m2** ყაზბეგზე" მშენებლობა დაასრულა.

მშენებლობა 2014 წლის დეკემბერში დაიწყო და გეგმის შესაბამისად 25 თვეში დასრულდა.

უნდა ითქვას, რომ პროექტზე თავიდანვე გაყიდვების სწრაფი ტემპი დაფიქსირდა. ამ დროისთვის კომპლექსში არსებული 295 ბინიდან 90 პროცენტი გაყიდულია, დარჩენილია მხოლოდ 28 ბინა.

შესახლების პროცესი აპრილში დაიწყო და მობინადრეებს ბინები დასრულებული რემონტით ჩაბარდებათ.

**m2** საქართველოში ხარისხიანი და კომფორტული ცხოვრების სტანდარტს ამკვიდრებს და მას ყველასთვის ხელმისაწვდომს ხდის. საცხოვრებელი კომპლექსი „ **m2** ყაზბეგზე" თბილისის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ადგილას, ყაზბეგის №25-ში, წითელი ბაღის მიმდებარედ მდებარეობს. ინფრასტრუქტურა მიწისქვეშა ავტოსადგომს, შიდა ეზოს მრავალწლიანი ნარგავებით, მოსასვენებელ და საბავშვო ზონებს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი კომპლექსი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირებულია და მთელი კომპლექსის ტერიტორიაზე პანდუსებია მოწყობილი.

კომპლექსში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაა დამონტაჟებული. გარდა ამისა, ცნობილი ფინური ბრენდის, **KONE**-ს ლიფტები ქართული ხმოვანი შეტყობინებითაა აღჭურვილი.

საცხოვრებელ კომპლექსში მოწყობილი მედიატურის დამსახურებით, პროექტზე უფრო ნათელი წარმოდგენის შექმნა გახდა შესაძლებელი – ბინებში, რომელიც მცხოვრებლებს დასრულებული რემონტით ჩაბარდებათ, იტალიური სამზარეულო, ჩაშენებული გაზქურითა და გამწოვით დახვდებათ.

„**m2** ყაზბეგზე" **m2**-ის მეორე ენერგოეფექტური საცხოვრებელი კომპლექსია, რომელიც კომუნალური გადასახადების 23 პროცენტამდე დაზოგვას უზრუნველყოფს.

**ირაკლი ბურდილაძე, „m2 უძრავი ქონების" გენერალური დირექტორი:**

– ჩვენმა კომპანიამ კიდევ ერთი, რიგით მეოთხე პროექტი დაასრულა – საცხოვრებელი კომპლექსი ყაზბეგის გამზირზე, 25 ნომერში. ეს პროექტი სრულად დააფინანსა **m2**-მა, გამოვიყენეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის **(IFC)** კრედიტიც, რომელიც უკვე გასტუმრებულია. ამ პროექტის საინვესტიციო ღირებულება 23 მილიონი აშშ დოლარი გახლავთ. ცხადია, მობინადრეებს ბინებს დასრულებული რემონტით, სამზარეულოთი, სამზარეულოს ტექნიკით ვაბარებთ. პროექტის მშენებლობა 2014 წლის იანვარში დავიწყეთ და ტრადიციულად, ვადების სრული დაცვით ჩავაბარეთ. ამ პროექტზე თავიდანვე გაყიდვების რეკორდულად მაღალი ტემპი დაფიქსირდა. დამატებითი კომფორტისთვის „**m2** ყაზბეგზე" კომპლექსის მოვლას უზრუნველყოფს – 24-საათიანი დაცვა, სადარბაზოების დასუფთავება და გამწვანების მოვლის მომსახურება. ყველა ამ მომსახურების საფასურს ახალმოსახლეთთავის კომპანია ერთი წლის განმავლობაში დაფარავს.

***დარინა ქამადაძე***

## ირაკლი სესიაშვილი - თუ ტერორიზმის საფრთხეები გაიზრდება, პრეტენზიების ადრესატი საკონსტიტუციო სასამართლო იქნება

– საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, მომეტებული რისკია, როცა სახლში პურის დანა გვაქვს, პოლიციელი ტაბელური იარაღით დადის, ხოლო ჯარისკაცს ავტომატი ჰკიდია , - ასე ეხმაურება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო კანონის ნორმები, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ფარული მოსმენის სისტემაზე პირდაპირი მიერთების საშუალებას აძლევს.

სესიაშვილი პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო პაკეტის ერთ-ერთი ავტორი და ინიციატორია და როგორც განმარტავს, აღნიშნული მოდელით უკანონო მიყურადების საშუალება მაქსიმალურად აღკვეთილია.

– საკონსტიტუციო სასამართლო იმის მიუხედავად, რომ არის გარკვეული რეგულაცია და არსებობს იმის პრეზუმფცია, რომ სამართალდამცავი ორგანოები ამ საშუალებებს ბოროტად არ გამოიყენებენ, მაინც თვლის, რომ არსებობს მაღალი რისკი, საგამოძიებო ორგანომ ადამიანების პირადი ინფორმაცია სხვა მიზნებისთვის გამოიყენოს. ფაქტობრივად საკონსტიტუციო სასამართლო გვეუბნება, რომ არსებობს ყველა შესაბამისი დამცავი საშუალებები, თუმცა არსებობს რისკი. მოსახლეობამ რომ კარგად გაიგოს, საკონსტიტუციო სასამართლომ დაახლოებით ასეთი რამ გვითხრა: - პოლიციელს არ უნდა ჰქონდეს მაგალითად, ტაბელური იარაღი, რადგან იარაღია და შესაძლებელია ის გამოყენებულ იქნას ვინმეს წინააღმდეგ, ამიტომ პოლიციელს იაღარი უნდა ჩამოვართვათ, რადგან თეორიულად გარკვეული რისკი არსებობს. ასევე, უნდა ავკრძალოთ ოჯახებში პურის დანა, რადგან ამ დანით შეიძლება ვინმემ დანაშაული ჩაიდინოს. ჩემი აზრით, ეს არის არასწორი მიდგომა. არ არსებობს არანაირი რეგულაცია, რისკების გარეშე. ჩვენ, პროექტის ავტორებმა, საზოგადოებას რეგულირების ე.წ. ორგასაღებიანი სისტემა შევთავაზეთ, რაზეც სასამართლოც მიუთითებს, რომ დიახ, არსებობს ორგასაღებიანი სისტემა და ის გარკვეულწილად იყო პრევენცია იმისა, რომ ეს საშუალება ვინმემ ბოროტად არ გამოიყენოს.

თუ სამართალდამცავ ორგანოებს წავართმევთ ყველა საშუალებას ადექვატურად მოახდინონ დანაშაულის პრევენცია, ადეკვატურად იბრძოლონ ტერორიზმის წინააღმდეგ, მაშინ საზოგადოების პრეტენზიებზე, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებასთან იქნება დაკავშირებული, პასუხისმგებლობა საკონსტიტუციო სასამართლომ აიღოს, - აცხადებს ირაკლი სესიაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

# „ოცნების“ ხელისუფლება ისე გათავხედდა, სიგარეტი კიდევ უნდა გაგვიძვიროს...

## ტაქსის მძღოლებს კი, თავის მანქანაში მოწევისთვისაც დააჯარიმებენ!

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



**როგორც ჯანდაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ განაცხადა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოწევაზე რეგულაციები უახლოეს მომავალში ამოქმედდება:**

– მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონი არსებობდა (თუ არ ვცდები, 2010 წლიდან), არ იყო განსაზღვრული ამ კონტროლის ადმინისტრირების საკითხები. ამ მხრივ, რამდენიმე ათეული, შეიძლება 100-მდე საკითხი იყო დასაზუსტებელი – ვის, როგორ, გარდამავალი შეზღუდვა, ნაწილობრივი შეზღუდვა და ა.შ. უკლებლივ ყველას გაეცა პასუხი, რჩება 2 ტექნიკური საკითხი, რომელზეც, ვფიქრობ, მალე დასრულდება მუშაობა და ეს რეგულირება უკვე ამოქმედდება, – აცხადებს დავით სერგეენკო.

**მოსალოდნელი რეგულაციების ირგვლივ, „ალიას“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, ლელა სტურუა ესაუბრა:**



**— მინისტრმა სერგეენკომ განაცხადა, ორი ტექნიკური საკითხი რჩება, რომელზეც მალე დასრულდება მუშაობა და ეს რეგულირება უკვე ამოქმედდებაო. რა საკითხები იგულისხმა?**

– ვერ გეტყვით, ბატონმა მინისტრმა რომელი ორი იგულისხმა და ამაზე კომენტარს ნამდვილად ვერ გავაკეთებ. რაც შეეხება შეზღუდვებს: ნაწილობრივი შეზღუდვა ნიშნავს, თუკი მოწევას ნაწილობრივ შევზღუდავთ, ესე იგი, ვთქვათ, 50 პროცენტი 50-ზე მწეველების და არამწეველების, ან 70/30-ზე და ა.შ. ჩვენ თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციაზეც გვაქვს ხელი მოწერილი, 2011 წელს უნდა დაგვემთავრებინა ეს რეგულაციები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები თამბაქოსგან თავისუფალი უნდა გაგვეხადა, თუმცა ჯერჯერობით ვერ განვახორციელეთ.

**— საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილად ითვლება ქუჩაც, უბანიც... იქაც ვერ მოწევენ?**

– ღია ადგილები არა, აქ დახურული სივრცეები იგულისხმება, მაგალითად, ბარები, რესტორნები... ასევე, მოწევა არ იქნება შესაძლებელი ისეთ ღია ადგილებში, სადაც ბავშვები არიან (ბავშვთა დასასვენებელ სკვერებში ახლაც არ შეიძლება); ასევე, არ უნდა მოვწიოთ ტრანსპორტში, სადაც არიან 18 წლამდე ბავშვები. შემდეგ ეტაპზე გვინდა, სტადიონებზეც აიკრძალოს თამბაქოს მოწევა, მაგრამ ეს დღეს და ხვალ არ იქნება, თანდათანობით გვაქვს გაწერილი, რომელ წელს რა უნდა გაკეთდეს.

**— მაგალითად, სამარშრუტო ტაქსის მძღოლი, მგზავრთა გადაყვანის დროს, ხშირად ეწევა სიგარეტს. ველარ მოწევს?**

– რა თქმა უნდა, ეს მომენტიც შევა რეგულაციებში და ამაზე ჯარიმა დაწესდება, თუმცა ჯარიმის ოდენობაზე ახლა ვერაფერს გეტყვით. ასეთ შემთხვევაში, სავარაუდოდ, სამარშრუტო კომპანია დაჯარიმდება და არა კონკრეტული მძღოლი. ბევრი საკითხი ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია და ამიტომ ასე დაზუსტებით ვერ გეტყვით.

**— კერძო კომპანიის ტაქსის მძღოლებიც დაჯარიმდებიან, თუ მგზავრების გადაყვანის დროს მოწევენ? და თუ მგზავრი მოწევს სიგარეტს ტაქსით გადაადგილების დროს, მაშინ ვინ დაჯარიმდება?**

– კი, ბატონო, კერძო კომპანიის ტაქსის მძღოლებზეც შეგვიძლია იმავეს თქმა. რაც შეეხება თვითდასაქმებულ ტაქსის მძღოლებს – ასეთ დროს, სავარაუდოდ, თავად მძღოლი დაჯარიმდება, თუმცა იმდენი ნიუანსია, როგორც გითხარით, დაწვრილებით ახლა ვერ გეტყვით, კონკრეტულად რა როგორ იქნება.

**— კერძო დაწესებულებებში, კომპანიებშიც იმოქმედებს რეგულაციები თამბაქოს მოწევაზე, თუ ხელმძღვანელობა თავად გადაწყვეტს, როგორ მოაგვაროს ეს საკითხი საკუთარ კომპანიაში?**

– ეს რეგულაცია ყველგან იმოქმედებს, ნებისმიერი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას დახურულ სივრცეში.

**— როგორ უნდა შემოწმდეს, რომელი კომპანია როგორ ასრულებს თამბაქოს მოწევაზე არსებულ რეგულაციებს?**

– ბევრნაირად შეიძლება შემოწმდეს. გარკვეულწილად, ვინც იქნება ეს შემმოწმებელი, ის მივა და ნახავს, ხომ არ არის თამბაქოს კვამლი, ან სუნი, ან საფერფლე ხომ არ დევს და ა.შ. შეიძლება პატარა გამოკითხვაც ჩატარდეს... ერთი სიტყვით, შემოწმება პრობლემა არ იქნება.

**— იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებისას დარღვევა აღმოჩნდება დაწესებულებაში, რა სახის ჯარიმაზე შეიძლება იყოს საუბარი და თუ ჩაითვლება ეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად?**

– ადმინისტრაციული სამართალდარღვევა იქნება. ჯარიმა არ იქნება პატარა და დაჯარიმდება არა კერძოდ მწეველი პიროვნება, არამედ იმ კონკრეტული კომპანიის ხელმძღვანელი, სადაც აღნიშნული პიროვნება იმუშავებს. იქნება ეს რაიმე კომპანია, ბარი თუ რესტორანი – არ აქვს მნიშვნელობა, დაჯარიმდება დაწესებულების ხელმძღვანელი, მეპატრონე, რადგან მან უნდა უზრუნველყოს, მის დაწესებულებაში შექმნას საჭირო გარემო. ჯარიმის ოდენობაზე ამ წუთას დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ეს 5-10 ლარი არ იქნება, საუბარია ასეულობით ლარზე. თუ წლის განმავლობაში ერთხელ დაჯარიმებულმა კომპანიამ მეორედაც დაარღვია, ამ მხრივ, კანონი, ასეთ დროს ჯარიმის ოდენობა გაიზრდება.

**— კი, მაგრამ ასეთი მკაცრი შეზღუდვები მწეველების უფლებებს არ დაარღვევს?**

– თამბაქოს მოწევაზე რეგულაციების საკითხის მტკივნეულად წარმოჩენას ბიზნესი ცდილობს, რომ თითქოს ამას პრობლემები მოჰყვება და ჩვენ ძალიან ბევრი კვლევა გვაქვს ჩატარებული, რომლებიც ადასტურებს იმას, რომ ყველა – მწეველიცა და არამწეველიც – მომხრეა, იყოს თამბაქოსგან თავისუფალი საზოგადოებრივი სივრცეები, მათ შორის, რესტორნები და ბარები. მონაცემები, ასევე, გვიჩვენებს, რომ სადღაც 75 პროცენტი ამბობს, რომ ისევ იმავე სიხშირით ივლის რესტორანში, დაახლოებით, მხოლოდ 7 პროცენტი ამბობს, რომ არ ივლის იმავე სიხშირით და 10 პროცენტი ამბობს, რომ კიდევ უფრო ხშირად ივლის.

**— აღნიშნული კანონპროექტები სიგარეტზე ფასების ზრდას ითვალისწინებს?**

– რა თქმა უნდა, კანონპროექტი ფასების ზრდის მომხრეა. ზოგადად, ჩვენ გვაქვს სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და მას მივყვებით, რომელსაც მთლად კარგად ვერ მივყვებით და ჩამორჩენა გვაქვს სწორედ იმიტომ, რომ ეს კანონპროექტები ვერ იქნა აქამდე დამტკიცებული. თამბაქოზე ფასების ზრდა არის ერთ-ერთი მიმართულება, რომ თამბაქოს პროდუქტების ხელმისაწვდომობა შევამციროთ, განსაკუთრებით, ბავშვებში და ახალგაზრდებში. თქვენც იცით, უკვე სამჯერადად განხორციელდა ეს ზრდა და კიდევ უნდა განხორციელდეს. ჩვენ ახლა ვმუშაობთ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დოკუმენტზე, რომელიც ზუსტად ასახავს, როგორ უნდა მოხდეს ფასების ზრდა გარშემო ქვეყნებში ფასებთან მიმართებაში, საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით და ასე შემდეგ. ფასების ზრდა, ცალკე აღებული, ყველაზე ეფექტური მეთოდია მოწევის დაწყების პრევენციისთვის.



**— გასაგებია, რომ უმჯობესია, საერთოდ არ მოწიოს ადამიანმა სიგარეტი, მაგრამ, თუ ეწევა და ძალიან გააძვირებ სიგარეტს, ეს რამდენად სწორია? კოლოფზე გამაფრთხილებელი წარწერის გამო მოწევას თავს იშვიათად თუ ანებებს ვინმე.**

– შეიძლება წარწერის გამო თავს არავინ ანებებს მოწევას, მაგრამ როდესაც ფასები იზრდება, ბევრი ანებებს. როდესაც ეკონომიკურ მდგომარეობაზე ვსაუბრობთ, რომ სიდუხჭირეა და მეც გეთანხმებით ამაში – ასეთ ვითარებაში თამბაქოში გადაყრილი თანხა რომ მოხმარდეს მწეველის ოჯახს, ბევრად უფრო უკეთესი იქნება.

**— ბევრი მწეველი მოგიტრიალდებათ და გეტყვით, ეს ჩემი გადასაწყვეტია და არა ხელისუფლების, ოჯახს თავად მივხედავ, სიგარეტის გაძვირება კი ჩემს ბიუჯეტს სერიოზულ ზიანს მიაყენებსო!**

– ეკონომიკურ მდგომარეობასა და სიდუხჭირეს ნამდვილად არ ვთვლი იმ არგუმენტად, რომ თამბაქოზე ფასი არ მოემატოს. ეს არ არის პირველადი მოხმარების საგანი, ეს არის არაჯანსაღი, არაპირველადი მოხმარების პროდუქტი.

**— როგორ ფიქრობთ, რა პერიოდში შეიძლება ამოქმედდეს აღნიშნული რეგულაციები?**

– აქამდეც ამოქმედებული უნდა იყოს, მაგრამ ბატონი მინისტრის განცხადება იმაზე მეტყველებს, რომ პროცესები უფრო დაჩქარდება და შესაძლოა, არჩევნებამდე უკვე მოხდეს ამ რეგულაციების მიღება და ახალი საკანონმდებლო ბაზა ამოქმედდეს.

## პარტიებს ექნებათ ადგილი, სად შეძლებენ განაცხადონ თავიანთი წუხილების შესახებ - წულუკიანი



საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, აგვისტოში იგი უწყებათაშორის კომისიას შექმნის. მისივე თქმით, პოლიტიკურ პარტიებს ექნებათ ადგილი, სადაც თავიანთი წუხილის შესახებ განაცხადებებნ:

– 2016 წლის პირველ აგვისტოს, როგორც კანონით მევალება, მაგრამ თუკი პრეზიდენტის ნება იქნება, პირველ ივლისს, იმის მიხედვით, როგორი იქნება პრეზიდენტის პოზიცია, შევქმნი უწყებათაშორის კომისიას. პარტიებს ექნებათ ადგილი, სადაც შეძლებენ განაცხადონ თავიანთი წუხილების შესახებ, - განაცხადა თეა წულუკიანმა. (ნიუპოსტი)

## აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის დე ფაქტო საზღვარზე ორი ქართველი დააკავეს



აფხაზეთის ე.წ რესპუბლიკის დე ფაქტო საზღვარზე ორი ქართველი დააკავეს. ამის შესახებ აფხაზური მედია წერს. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულები არიან ზუგდიდის მცხოვრებლები - შოთა ბულია და ირაკლი ჯაპავა. ისინი ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა დე ფაქტო საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო დააკავეს.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულები ნარკოტიკული ნივთიერება „მეტადონის" ზემოქმედების ქვეშ იმოფებოდნენ და აფხაზეთის ტერიტორიაზე არაერთი დანაშაულის ჩადენას გეგმავდნენ.

სოხუმის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბულიას და ჯაპავას 15 დღიანი პატიმრობა შეეფარდათ. ისინი აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან. (ინტერპრესნიუსი)

## ეროვნულმა ბანკმა 10 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 10 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა. სებ-ი ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონის შედეგის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს.

– 2016 წლის 14 აპრილს გამართულ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე სებ-მა 10 000 000 აშშ დოლარი შეისყიდა. საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 2,2558 შეადგინა, - ნათქვამია განცხადებაში. (bpn.ge)

## კახა კალაძე ირანის მიმართულებით ელექტროენერგიით ვაჭრობის შესაძლებლობას არ გამორიცხავს



ენერგეტიკის მინისტრი ირანის მიმართულებით ელექტროენერგიით ვაჭრობის შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

როგორც კალაძემ განაცხადა, ამას ითვალისწინებს საქართველოს, რუსეთს, ირანსა და სომხეთს შორის ხელმოწერილი თანამშრომლობის მემორანდუმი.

– ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი და მოხარული ვარ, თუ შევძლებთ სრულყოფილად განვახორციელოთ იგი. ეს ითვალისწინებს ელექტროენერგიით ვაჭრობის შესაძლებლობას ირანის მიმართულებით. ირანი არის ძალიან მნიშვნელოვანი ბაზარი, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანას სანქციები მოეხსნა. ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ამ ქვეყნის რესურსები და შესაძლებლობები. დღეს ჩვენ ელექტროენერგიით ვაჭრობა გვაქვს თურქეთის მიმართულებით; ასევე, პატარა მოცულობებით, თუმცა მაინც ხორციელდება ელექტროენერგიით ვაჭრობა სომხეთთან; გვაქვს ძალიან მჭიდრო, კარგი ენერგეტიკული კავშირები რუსეთთან, აზერბაიჯანთან, თუმცა კარგი იქნებოდა, თუ უფრო გავაძლიერებდით ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის კუთხით გარკვეულ პროექტებს, - განაცხადა კალაძემ.

„რია ნოვოსტის" ინფორმაციით, საქართველო, რუსეთი, სომხეთი და ირანი ენერგოსისტემების სინქრონიზაციას გეგმავენ. მიმდინარე კვირას ერევანში ოთხი ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს „საგზაო რუკას" ენერგოსისტემების ერთობლივი მუშაობის მომზადების შესახებ, ასევე, მემორანდუმს ენერგეტიკის სფეროში ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ. (bpn.ge)



ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33

# საქართველოში წამლების ფასები, თურქეთთან შედარებით თითქმის 300-400%-მდე ძვირი ღირს

## „ყველა ლაპარაკობს, რომ „ოცნებას" „ფარმადეპო" და „პსპ", ხოლო „ნაცმოძრაობას" — „ავერსი" და „ჯიპისი" აფინანსებს"

### რას უყვება ჯონდი ბაღათურია „ალიას" საფთიაქო მონოპოლიებზე



„ქართული დასი" პრემიერ-მინისტრს ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული სიტუაციის შესწავლისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, მათ შეისწავლეს საააფთიაქო ბაზარზე არსებული მდგომარეობა, საქართველოში და მეზობელ თურქეთში ერთი და იგივე ფარმაცევტული პროდუქციის საკონტროლო შესყიდვა განახორციელეს და საქართველოში წამლების ფასები, თურქეთთან შედარებით თითქმის 300-400%-მდე ძვირი ღირს.

**„საქართველოში ადგილი აქვს ოლიგარქებს შორის ფარულ გარიგებას. უმდიდრესი ადამიანები იმყოფებიან ფარულ გარიგებაში... ეს არის ოთხი ძირითადი ოპერატორი კომპანია, აქედან ორი აფინანსებს „ქართულ ოცნებას", ხოლო ორი — „ნაციონალურ მოძრაობას". მათ შორის არსებობს კარტელური შეთანხმება, რომელზეც მტკიცებულებები გვაქვს. პრემიერისგან მოვითხოვთ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თხოვნით მასალები პროკურატურას გადაეგზავნოს". — განაცხადა ბაღათურიამ.**

**„ალიას" ჯონდი ბაღათურია ესაუბრა:**

– საქართველოს საააფთიაქო ბაზის შიდა ვითარების შესწავლის მიზნით, დავიწყეთ მეზობელ სახელმწიფოებში საააფთიაქო ბაზარზე შექმნილი ვითარების შესწავლა. განვახორციელეთ საკონტროლო შესყიდვები თურქეთში, ქალაქ რიზეში არსებულ აფთიაქებში. აღმოჩნდა, რომ ერთი და იგივე კომპანიის მიერ წარმოებულ წამლებზე საქართველოში ფასები 300, ზოგ შემთხვევაში 400 პროცენტით უფრო მაღალია, ვიდრე თურქეთში.

**მაგალითად, ფრანგული წარმოების წამალი „არისეფტი", რომელიც სისხლის მიმოქცევას არეგულირებს, ძირითადად მას ასაკოვანი ადამიანები მოიხმარენ და ის ადამიანებს ენიშნებათ არა მხოლოდ პროფილაქტიკისთვის, არამედ მკურნალობისთვის, როდესაც მათ გადატანილი აქვთ ტვინის ინსულტი, ტვინის იშემია, ტვინის ანევრიზმა და ა.შ. რიზეში ეს წამალი ღირდა 37 ლარის ეკვივალენტი ლირებში, აქ კი, უკლებლივ ყველა აფთიაქში, ღირს 125 ლარი და განსხვავება არის, თითქმის, 400 პროცენტი. მეორე წამალიც შემიძლია გითხრათ — წამალი „კარტანი", რომელიც რიზეში ღირდა 8.15 ლარის ეკვივალენტი ლირებში, საქართველოში კი ის ღირს 28-30 ლარის ფარგლებში, აქ ფასში სხვაობა 320 პროცენტია.**

ჩვენ ასევე გამოვიყენეთ საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევები. პრემიერ-მინისტრს მივაწოდეთ არსებული ინფორმაცია, თურქეთის აფთიაქებში განხორციელებული საკონტროლო შესყიდვის ქვითრების დედნები და მოვითხოვეთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

**— ამბობთ, ოთხი ფარმაცევტული კომპანიიდან ორ „ქართულ ოცნებას", ორი კი „ნაციონალურ მოძრაობას" აფინანსებსო. აქ ხომ ახალი არაფერია. ყველა ლაპარაკობს, რომ „ოცნებას" „ფარმადეპო" და „პსპ", ხოლო „ნაცმოძრაობას" — „ავერსი" და „ჯიპისი" აფინანსებს. თქვენ სხვა ინფორმაცია გაქვთ?**

– არა, მეც მაგას ვგულისხმობ.

**— გახსოვთ, გაპრემიერების მერე ბიძინა ივანიშვილმა ფარმაცევტული კომპანიების მფლობელებს რომ დაუცაცხანა, გაბერილი ფასები გაქვთ და ეს საქმე მოაწესრიგეთო? ამის შემდეგ ცოტა ხნით წამლები გაიაფდა, მაგრამ მალევე ისევ გააძვირეს. რა მოხდა მაშინ, გაქვთ რამე ინფორმაცია?**

– აი, რა კარგი შეკითხვა დასვით... როცა ივანიშვილმა დატუქსა ფარმაცევტული კომპანიები, მაშინ „ქართული ოცნება" არ იმყოფებოდა ფარულ კორუფციულ გარიგებაში „ნაციონალურ მოძრაობასთან" ფარმაცევტული ბაზრის ირგვლივ. დღეს კი არც ივანიშვილი და არც „ქართული ოცნება" წამლების მაღალ ფასებზე ხმას აღარ იღებს. ეს პირდაპირი მტკიცებაა იმისა, რომ „ოცნება" გარიგებაში შევიდა „ნაციონალურ მოძრაობასთან", გადაინაწილეს ფარმაცევტული ბაზარი, შეხმატკბილებულები იყოფენ მილიარდებს, რომლებიც ხალხის გატყავების გზით არის ნაშოვნი.

**მე პირადად ბიძინა ივანიშვილს ვერ დავდებ ბრალს, რომ თვითონ მონაწილეობს ამაში, არ მაქვს ასეთი ინფორმაცია, მაგრამ კომპანიების ნაწილი რომ „ოცნებას" აფინანსებს და ნაწილი „ნაცმოძრაობას", ეს ხომ ცნობილი ამბავია? აქ მთავარი დამნაშავეა ხელისუფლება, რომლებიც აძლევს ამ კომპანიებს საშუალებას, ასეთი უკანონო, დანაშაულებრივი გზით იშოვონ მილიონები, ხალხის ძარცვის ხარჯზე.**

**— თავად ამბობთ, ხელისუფლებაა დამნაშავეო და რაღას მიმართეთ პრემიერ-მინისტრს, რა აზრი აქვს? ამ საქმის მოგვარება რომ სდომებოდა, აქამდე თქვენს გარეშეც მიხედავდა...**

**— აბსოლუტურად გეთანხმებით, მაგრამ საქმე ისაა, რომ პრემიერს ჩუმად ხომ არ მივეცი ეს მასალები? გავახმაურე და მერე პასუხის მოთხოვნას დავიწყებთ. მსგავსი ტაქტიკა გამოვიყენეთ ბენზინის ბიზნესში შექმნილ ვითარებაშიც. მათაც ფასები უკიდურესად გაზრდილი ჰქონდათ. მაშინაც ასე ხმაურით გადავეცით ინფორმაცია მაშინდელ პრემიერს, რომელმაც მერე დაავალა კონკურენციის სააგენტოს ვითარების შესწავლა. როგორც კი ეს პროცესი გაჯანჯლდა, დავიწყეთ აქციები, გადავკეტეთ გზა და მთავრობის სხდომის დროს კანცელარიის პიკეტირება მოვახდინეთ. შედეგი კი აღმოჩნდა ის, რომ ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა დაადასტურა ჩვენი ინფორმაცია და დააჯარიმა საწვავის ოპერატორი კომპანიები 55 მილიონით და ფასებიც შემცირდა.**

ახლაც, წესით, იგივე პროცესები უნდა დაიწყოს, რაც საწვავის შემთხვევაში მოხდა. ვფიქრობ, კვირიკაშვილი ამ კომპანიების მხრიდან დაფინანსების მიუხედავად, შეძლებს ამ ბარიერის გადალახვას და კონკურენციის სააგენტოს საკითხის შესწავლას დაავალებს. თუ არა და, აუცილებლად „დავეხმარებით" ქუჩის აქციებით, საზოგადოებრივი აქტივობით და ა.შ.

**— მასალები პრემიერ-მინისტრს გადაეცით და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა სთხოვეთ. პარალელურად, თავადაც ხომ არ შეიტანეთ ისინი პროკურატურაში?**

– მიუხედავად იმისა, რომ მე პრემიერის ოპონენტი ვარ და ბევრ რამეში არ ვეთანხმებით მის პარტიას, მინდა, ბოლომდე კორექტულები ვიყოთ და რაღაც გონივრულ ვადაში დაველოდოთ პრემიერ-მინისტრის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. წინა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა განახორციელა ქმედებები ბენზინის ბიზნესში არსებულ ვითარებასთან მიმართებაში, ღარიბაშვილმა ამდენი „გაქაჩა", ამიტომ ახლაც დაველოდები ამჟამინდელ პრემიერს, რას მოიმოქმედებს. მერე პროკურატურასაც გადავცემთ ამ მასალებს და თავის საქციელზე ყველა აგებს თავის დროზე პასუხს.




ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უკრაინის ახალი პრემიერმინისტრი ვლადიმერ გროისმანი გახდა

უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატებმა ქვეყნის ახალი პრემიერმინისტრის პოსტზე ვლადიმერ გროისმანი დაამტკიცეს.

390 დეპუტატიდან გროისმანის კანდიდატურას მხარი 257-მა დაუჭირა.

უკრაინის ახალმა პრემიერმა მადლობა გადაუხადა დეპუტატებს მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ ერთიანი ძალებით ისინი უკრაინის სასარგებლოდ იმოქმედებენ.

შეგახსენებთ, რომ უკრაინის ყოფილმა პრემიერმა არსენი იაცენიუკმა თანამდებობის დატოვების შესახებ 10 აპრილს განაცხადა. (pia.ge)



## NDI არჩევნებამდე კიდევ ერთ კვლევას ჩაატარებს

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელ ლორა ტორტონის განცხადებით, NDI მორიგ კვლევას, სავარაუდოდ, ივნისის თვეში ჩაატარებს.

მისი განმარტებით, თარიღმა შეიძლება ოდნავ გადაიწიოს, თუმცა არჩევნებამდე კვლევის შედეგები გამოქვეყნდება. (pia.ge)

## თვითონ ხო გაინაღდა უკვე და სხვებსაც გზას ულოცავს...



– უფრო არსებითია ჩვენ ვნახოთ არჩევნებზე წამსვლელებს შორის რა რიცხვებია, ამ რიცხვებს თუ გადავათამაშებთ, საერთო რაოდენობიდან არჩევნებზე წამსვლელებზე, ვნახავთ, რომ მართლაც „პატრიოტთა ალიანსსა" და „ლეიბორისტულ პარტიას" შანსი აქვთ, პარლამენტში მოხვდნენ, - ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა NDI-ის კვლევის შედეგებთან დაკავშირებით განაცხადა.

– ჩვენ ამაზე არანაირი კომენტარის გაკეთება არ შეგვიძლია, გარდა იმისა, რომ ქართველი ხალხის არჩევანს პატივი უნდა ვცეთ, ვისაც ირჩევს ქართველი ხალხი პარლამენტში, მას უნდა ჰქონდეს წარმომადგენლობა, - აღნიშნა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

მისი შეფასებით, „პატრიოტთა ალიანსი" პრორუსულია და ისინი პარლამენტში „ქართული ოცნების" მოკავშირეები იქნებიან.

– ახლა ეს პარტიები რა კურსს გაატარებენ... ვიცით, რომ „პატრიოტთა ალიანსი" არის პრორუსული ძალა, ბუნებრივია, ჩვენ გვაქვს სრული წინააღმდეგობა ერთმანეთთან აბსოლუტურად ყველა ფუნდამენტურ საკითხში. ამიტომ, ჩვენ ვხედავთ რომ „პატრიოტთა ალიანსი" და „ქათული ოცნება" იქნებიან მოკავშირეები პარლამენტში, მაგრამ ეს ვერ უშველის ბიძინა ივანიშვილს, მას ვერ უშველის „პატრიოტთა ალიანსის" ან ბურჯანაძის მხარდაჭერა, ვერ გადაარჩენს, იმიტომ, არა მარტო „ნაციონალური მოძრაობის", არამედ სხვა პატარა პარტიების პროდასავლური ძალების უპირატესობა პარლამენტში იქნება ძალიან მაღალი, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას, რომ ახალმა მთავრობამ, რომელიც დაკომპლექტდება, გააგრძელოს ქვეყნის პროდასავლური კურსი, - აცხადებს ზურაბ ჭიაბერაშვილი. (ipress.ge)

## თბილისში „ტკბილი გემოს“ საკონდიტრო საცხობს საწარმოო პროცესი შეუჩერდა



სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს ინსპექტორებმა თბილისში, კრწანისის ქ. №3 განთავსებულ საკონდიტრო საცხობს საწარმოო პროცესი შეუჩერეს.

როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, ი.მ. „ლალი არუნაშვილის“ საკონდიტროში დამზადებული სურსათი სარეალიზაციო ობიექტში „ტკბილი გემოს“ დასახელებით იყიდებოდა.

არაგეგმური ინსპექტირებისას 30-მდე არაკრიტიკული და 2 კრიტიკული შეუსაბამობა გამოვლინდა.

კერძოდ, შენობა არ იძლევა დასუფთავებისა და დეზინფიცირების საშუალებას, დარღვეულია ტექნოლოგიური პროცესების ნაკადურობა და შენობა საჭიროებს რეკონსტრუქციას; ოთახში, სადაც მიმდინარეობს საწარმოო პროცესი, არ ხდება იმ აღჭურვილობების და მოწყობილობების რეცხვა-დეზინფექცია, რომელიც უშუალო შეხებაშია სურსათთან. ამ კრიტიკული და სხვა არაკრიტიკული შეუსაბამობების გამო ბიზნესოპერატორს აეკრძალა საქმიანობის გაგრძელება და კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმდა. (kvira.ge)

## კობახიძე: უკეთესი იქნებოდა პრემიერის შეთავაზება ყოფილიყო გაზიარებული



პრეზიდენტის განცხადებას არჩევნების თარიღის შესახებ განკარგულებაზე პრემიერის შენიშვნებთან დაკავშირებით, პარლამენტის ვიცესპიკერი გამოეხმაურა.

– უკეთესი იქნებოდა ამასთან დაკავშირებით არ ყოფილიყო ორაზროვნება და პრემიერის შეთავაზება ყოფილიყო გაზიარებული, ვინაიდან ბუნებრივია, რაც უფრო ადრე ხდება საარჩევნო კამპანიის დაწყება, ბიუჯეტსაც უფრო მეტი ხარჯები აქვს, გამომდინარე საარჩევნო კომისიის წევრების დაფინანსებიდან და მთელი რიგი სხვა საკითხებიდან. ამიტომ, ალბათ, ესეც გასათვალისწინებელი იყო, თუმცა, როცა არ უნდა გამოქვეყნდეს ეს აქტი და როცა არ უნდა შევიდეს ძალაში, ბუნებრივია ჩვენ, სახელმწიფო და ხელისუფლება ვართ ვალდებული, რომ ეს კამპანია ვაწარმოოთ კანონის ფარგლებში“,- განაცხადა კობახიძემ. (news.ge)

# „ნიკორა“ ალუჩას განვადებით ყიდის?!



ლაურა აბრამია
591 97-67-09

სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, რომ სუპერმარკეტ „ნიკორას“ ქსელის მაღაზიებში, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, 1 კილოგრამი ალუჩა... 49.00 ლარი ღირებულა, რაც ქვეყანაში არსებული საარსებო მინიმუმის 1/5-ს უტოლდება.

ცოტა არ იყოს, დავიბენით, ჯერ ხუმრობა გვეგონა, მაგრამ კარგად თუ დააკვირდებით ფოტოზე აღბეჭდილ გასაყიდად გამზადებულ ხილს, ყველაფერი გადასარევად იკითხება, მით უმეტეს, იქვეა „ნიკორას“ ლოგოც.

ჰო, ის მართალია, რომ თავისუფალი სავაჭრო პოლიტიკის პირობებში ვერავის აუკრძალავ ფასების დაწესებას, მაგრამ 1 კილო ალუჩა მთელი 49 ლარი? ხილი, რომელიც განურჩევლად ყველას უყვარს, არც ისე ძნელად მოსაპოვებელია, რომელიც საქართველოშიც დიდი რაოდენობით მოდის და ბაზარზეც სულ მალე გამოჩნდება, „ნიკორას“ ქსელში 49 ლარი ღირდეს, სულ ცოტა, მამაძაღლობაა. მით უმეტეს, როცა ადამიანების საარსებო მინიმუმი კრიტიკულ ზღვარზეა, ალუჩა კი არა, ადამიანებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტის შეძენაა პრობლემა.

მოკლედ, ბევრი რომ არ გვემკითხავა, გადავწყვიტეთ, ეს ამბავი „ნიკორას“ ქსელის დისტრიბუტორებთან გადაგვემოწმებინა. რამდენიმემ დაადასტურა ეს ფაქტი და გვითხრა, მეც ვიკითხეო იმ დღეს ალუჩა, მითხრეს, ჯერ მხოლოდ თურქულია შემოსული და 45 ლარი ღირსო და თავს ამის ფუფუნება ნამდვილად ვერ მივეციო...




„ალია“ „ნიკორას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელ ანი ადუაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც კითხვაზე: რამ განაპირობა ასეთი მაღალი ფასის დაწესება კონკრეტულ პროდუქტზე და სხვა პროდუქტებზეც ხომ არ ვრცელდება მსგავსი შეუსაბამო ფასები? – შემდეგი განმარტება გააკეთა:

– ფასწარმოქმნისას სავაჭრო ქსელები, რა თქმა უნდა, მომწოდებლებზე ვართ დამოკიდებულები. ამ ეტაპზე, იმპორტირებული ალუჩის ფასი, მისი არასეზონურობიდან გამომდინარე, ძალიან მაღალია. სეზონთან მიახლოების პარალელურად, ალუჩის ფასი ყოველდღიურად იკლებს.

აღნიშნული პრინციპი არა მხოლოდ ალუჩაზე, არამედ ნებისმიერ დეფიციტურ თუ არასეზონურ პროდუქტზე მოქმედებს.

ვერ დაგეთანხმებით, დიდად პატივცემულო „ნიკორა“, მომწოდებელი თუ ცეცხლის ფასად განვდის, სულაც არაა აუცილებელი, დაეტაკო და შემოიტანო, ისედაც შეჭირვებული მოსახლეობა გააღიზიანო ამ უმსგავსო ფასებით. ისიც გასათვალისწინებელი გაქვთ, რომ ეს ხილი მალფუჭებადია და ისე არ მოგივიდეთ, არც თვითონ ჭამოთ, არც სხვას აჭამოთ, უფრო დაზარალდებით, მგონია.

მოკლედ, საქმე ასე დაგვიდგა, ჩვენს რეალობაში პორნომასალები ყრია კონა ათ შაურად, თორემ ალუჩა, ჰოი, სასწაულო, ისეთი ფასი ღირს, მისკენ გახედვა არ მოგინდება ადამიანს.

მოდით, შევთანხმდეთ, რომ არ ღირს არაქართული ალუჩით კბილის მოკვეთა ამ ფასად, დაველოდოთ გლეხურ ბაზარს, თუმცა ჩვენი გლეხობა რომ გაიგებს, „ნიკორამ“ ასეთი ოქროს ფასი დაადო თურქულ ალუჩასო, შეიძლება მათაც მიახლოებული ფასი დააწესონ და დავრჩენილვართ ალუჩის გარეშე და ეგაა!..

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დავიწყებია ოდესელ სააკაშვილს პეტრე ცისკარიშვილი და „ბადაგონი“...



ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი პოლიციის უფროსთან და ჟურნალისტებთან ერთად ზაპოროჟიეში ჩავიდა, სადაც შემოსავლების სამსახურმა, ყოველგვარი ნებართვის გარეშე ერთ-ერთი ექსპორტიორის მიერ შესყიდული 70 ტონა თხილი (180 ათასი აშშ დოლარის ღირებულების) დააყადაღა და მისი გატანა დაიწყო.

ქალაქ იუჟნიში მისულ გუბერნატორს ფირმის კუთვნილი ტერიტორია სპეცრაზმელების მიერ ალყაშემორტყმული, თხილი კი სათავსოდან გატანილი და სატვირთო მანქანებში ჩატვირთული დახვდა.

დამხვდურები სააკაშვილს გაეცნენ, როგორც გამომძიებლები, რომლებმაც განუმარტეს, რომ სასამართლოს დადგენილების საფუძველზე მოქმედებდნენ:

– მეც იურისტი ვარ, თქვენ სასამართლომ მოგცათ ნებართვა, შეხვიდეთ საწარმოში და ამოიღოთ დოკუმენტაცია, სხვადასხვა ტექნიკა, მეხსიერების ბარათები... სად წერია სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომ თქვენ საწყობიდან თხილის გატანისა და სხვაგან გადატანის უფლება გაქვთ?, - ამ შეკითხვაზე სააკაშვილმა პასუხი ვერ მიიღო, ხოლო ადგილობრივი ფირმის ხელმძღვანელობამ განმარტა, რომ იმ პირთან, ვის საწარმოშიც თითქოსდა ხდებოდა ამოღებული თხილის გადატანა, დაკავშირება ვერ ხერხდებოდა, ამასთან, დოკუმენტებში დიდი რაოდენობით თხილის დროებითი მოთავსების ადგილად მითითებული იყო საწყობი, რომელიც რუსეთის მიერ ანექსირებულ ყირიმში მდებარეობს:

– ეს არის კლასიკური თხილის მაფია, რომელშიც სახელმწიფო სტრუქტურები არიან ჩარეული: ყოველგვარი ნებართვის გარეშე მათ გადატვირთეს მანქანებში დასაწყობებული თხილი, გაიტანენ ყირიმში და ის გაქრება, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ზაპოროჟიეში მომხდარი ინციდენტის ამსახველი ვიდეო მიხეილ სააკაშვილმა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზეც გამოაქვეყნა. (fmabkhazia.com)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბათუმში აქცია გაიმართება: „კმარა ქუჩაში ლოცვა, მოგვეცით უფლება ავაშენოთ მეჩეთი“



– კმარა ქუჩაში ლოცვა, მოგვეცით უფლება ავაშენოთ მეჩეთი“-ამ ლოზუნგით ბათუმში აქცია გაიმართება.

როგორც მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ტარიელ ნაკაიძე აცხადებს, აქცია სანქცირებულია და ის პარასკევის ლოცვის შემდეგ 14:30 საათზე გაიმართება.

– აქცია ეხება ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის მოთხოვნას და მუსლიმთა მიმართ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე განხორციელებულ უსამართლო ქმედებებს. აღნიშნულთან დაკავშირებით მუსლიმებმა ღია წერილით მიმართა პრემიერმინისტრს შეხვედრისა და საკითხის მოგვარების მოთხოვნით, რაც სამწუხაროდ არ შედგა, - ნათქვამია საინიციატივო ჯგუფის განცხადებაში.

ბათუმში მეჩეთისთვის ტერიტორიის გამოყოფისა და მეჩეთის მშენებლობის ნებართვა, ქობულეთის ბავშვთა პანსიონატის საკითხის დაუყონებლივ მოგვარება და მუსლიმი მრევლის კონსტიტუციური უფლებების აღდგენისათვის ღიად ბრძოლის დაწყების დაანონსება - ეს სამი ძირითადი საკითხია, რომელსაც აქციაზე მუსლიმი თემი კიდევ ერთხელ დააყენებს. (argumenti.ge)

## ქართველ „კანონიერ ქურდს“ კრასნოდარში 11 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს



ქართველ „კანონიერ ქურდ“ კობა ძიძიშვილს, რომელიც კრასნოდარის ციხეში სასჯელს იხდის, დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრობისთვის 11 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

რუსეთის სამართალდამცველების ინფორმაციით, ძიძიშვილმა, რომელიც ასევე „კობა კრასნოდარსკის“ სახელით არის ცნობილი, ერთ-ერთ პატიმარს 1 მილიონი სურული რუბლი გამოსძალა. დანაშაულებრივი დაჯგუფების სხვა წევრები რუსეთიდან გააძევეს. კობა ძიძიშვილი კრასნოდარის ციხეში სასჯელს 2008 წლიდან იხდის. იგი ყაჩაღურ თავდასხმებშია ბრალდებული. (kvira.ge)

## ვლადიმერ პუტინი - სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენობაში შესვლის საკითხი არ განიხილება

ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთის შემადგენობაში სამხრეთ ოსეთის შესვლის საკითხი არ განიხილება.

ამის შესახებ პუტინმა მოსახლეობასთან „პირდაპირი ხაზის“ დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

– ჩვენ ასეთ კონტექსტში სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობებს არ განვიხილავთ, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

ამავე დროს, ვლადიმერ პუტინმა შეახსენა ჟურნალისტებს, რომ რუსეთმა სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა.

– ვფიქრობ, ეს არის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის კარდინალური სტარტეგიული შეცდომა. მან უცნობი, შეიარაღებული, სრულიად უსაფუძვლო აქცია დაიწყო და შედეგად დაკარგა ეს ტერიტორია. ეს მისი დანაშაულია, - განაცხადა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, ოკუპირებული რესპუბლიკის დე ფაქტო ლიდერთან სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხი დეტალურად არ განხილულა.

– მან გამოთქვა თავისი დამოკიდბეულება ამ პრობლემისადმი. თქვა, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას ასეთი რეფერენდუმის ჩატარება სურს. ჩვენ ამას ვერ შევეწინააღმდეგბით, - აღნიშნა ვლადიმერ პუტინმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ჯერ უცნობია, როგორი იქნება რეფერენდუმის კითხვის ფორმულირება.

– ამის მიხედვით საბოლოოდ მოვიფიქრებთ, - დასძინა რუსეთის პრეზიდენტმა. (2030.news)

## გრიგოლია: უნდა გვაფიქრებინონ, რომ პრემიერმინისტრი კარგი კაცია და პრეზიდენტი ცუდი?



არჩევნების თარიღთან დაკავშირებულ განკარგულებაზე პრემიერისა და პრეზიდენტის განცხადებებს ჟურნალისტი ინგა გრიგოლია „ფეისბუკის“ გვერდზე ეხმაურება:

– პრემიერმინისტრმა ისე დაუბრუნა უკან პრეზიდენტს განკარგულება არჩევნების დანიშვნის შესახებ, გეგონება კვირიკაშვილი არაფერ შუაში იყო, მარგველაშვილის ამ განკარგულებასთან... თუ ტვინი არ მატყუებს, პრემიერთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა სწორედ განცხადება არჩევნების დანიშვნაზე საქართველოს პრეზიდენტმა, ანუ უნდა გვაფიქრებინონ, რომ პრემიერმინისტრი კარგი კაცია და პრეზიდენტი ცუდი? - წერს გრიგოლია. (news.ge)

## „ეს ნიშნავს იმას, რომ ოქტომბრის შემდეგ უნდა გადაიწიოს არჩევნების თარიღმა და საკანონმდებლო ორგანოს აღარ ექნება კონსტიტუციური მანდატი“

– თუ მხარეები ახლა ვერ შეთანხმდნენ, მომდევნო 6 თვის განმავლობაში პრეზიდენტს არ ექნება უფლება, რომ მიმართოს იმავე აქტით მთავრობას, - ამის შესახებ საიას თავმჯდომარემ არჩევნების დანიშვნის პროცედურის განმარტებისას განაცხადა.

– როდესაც 6 თვე გავა, პრეზიდენტი თავიდან გადაწყვეტს არჩევნების თარილის გამოცხადებას და თავიდან უნდა დაიწყოს პროცედურა, მათ შორის კონტრასიგნაციის პროცედურა. მაგრამ ეს გამოიწვევს იმას, რომ თარილი შეიცვლება არჩევნების და ამავე დროს გარკვეული სამართლებრივი ვაკუუმი შეიქმნება. ეს ნიშნავს იმას, რომ ოქტომბრის შემდეგ უნდა გადაიწიოს არჩევნების თარიღმა და საკანონმდებლო ორგანო არ იქნება ფუნქციური, იმიტომ, რომ მას აღარ ექნება კონსტიტუციური მანდატი. პარლამენტს ამოეწურება კონსტიტუციით დადგენილი ვადა და ვერ ჩაინიშნება შესაბამის დროში არჩევნები, -განაცხადა ნაცვლიშვილმა. (news.ge)

## „NDI-ს პოლიტიკური ანეკდოტები“



**NDI**-ის კვლევებს სოციალურ ქსელში აქტიური გამოხმაურება მოჰყვა. სოციოლოგი ვალერიან გორგილაძე „ფეისბუკის“ პირად გვერდზე კვლევის შედეგებს „**NDI**-ს „პოლიტიკურ ანეკდოტებს“ უწოდებს:

„1. პირველი ანეკდოტი - ეროვნული დისკუსია იმის შესახებ, ვინ არის ყველაზე სიმპათიური, მოსაწონი პოლიტიკოსი საქართველოში დასრულდა **NDI**-ის დასკვნით. აღმოჩნდა, რომ ჩვენი ეპოქის მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი არის დევიდ ბაქრაძე. ამ დროიდან ბაქრაძეს თამამად შეიძლება ვუწოდოთ „სიმპათიური“!

2. მეორე ანეკდოტი - **NDI** თეორიულად უშვებს იმ შესაძლებლობას, რომ საპარლამენტო არჩევნებზე შეიძლება გაიმარჯვოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“!

3. უკბილო ხუმრობები - „ლეიბორისტები“, რომლის რეიტინგიც მხოლოდ „ვანოს შოუს“ სტუდიაში იზომება, ისიც შალვა ნათელაშვილის იქ ყოფნის დროს, უსწრებენ ნინო ბურჯანაძის მოძრაობას და პატრიოტთა ალიანსს!

4. ქეროლ ლიუისის სტატისტიკური პარადოქსი - „საქართველოს მოსახლეობა ძალიან უკმაყოფილოა ქვეყნის განვითარების კურსით და მოსახლეობის 75% მიიჩნევს, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით ან საერთოდ ვერ ვითარდება. ამავე დროს საქართველოს პრემიერ მინისტრის საქმიანობას მხოლოდ 5% აფასებს ნეგატიურად, და ამის მიუხედავად გიორგი კვირიკაშვილი მაინც არ არის ყველაზე მოსაწონი პოლიტიკოსი.

5. სერგეენკო, რომლის დარგიც ყველაზე პოზიტიურად ფასდება ენდიაის გამოკითხულთა შორის, მოსწონს რესპონდენტების მხოლოდ 3%. ეტყობა, ძალიან არა სიმპათიურია, ნუ ბაქრაძეზე ნაკლებად სიმპათიური.

პრინციპში ენდიაის დასკვნის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის პროფილი შემდეგნაირად გამოიყურება: საქართველოს მოსახლეობა იმყოფება ღრმა დეპრესიაში, ის აგრესიულად არის განწყობილი ხელისუფლების მიმართ და არის სოციალური აფეთქების ზღვარზე, მოსახლეობას აღარ აინტერესებს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, მას მოსწონს დავით ბაქრაძე და არ მოწონს სერგიენკო, ერთადერთი რაც ახარებს ჩვენს მოსახლეობას ეს არის მოსალოდნელი ვიზალიბერალიზაცია. მშიერი, გაბოროტებული, უთავმოყვარეო, ბაქრაძეზე შეყვარებული ერი, რომელიც ნატრობს ამ ქვეყნიდან გაქცევას ევროპაში! იქნებ ასეც არის?! - წერს გორგილაძე. (politcommersant.ge)

# განათლების მინისტრმა — ამ თვეში პედაგოგები გაზრდილ ხელფასებს მიიღებენო



**რეალურად, რა ხელფასებს აიღებენ მასწავლებლები კატეგორიების მიხედვით?**



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



განათლების მინისტრის, თამარ სანიკიძის განცხადებით, აპრილის ბოლოს პედაგოგები გაზრდილ ხელფასს მიიღებენ, 50 ლარით გაიზრდება საბაზო ხელფასიც.

„ცვლილების შედეგად, საბაზო ხელფასი 405 ლარი გახდება, რაც არის დაახლოებით 65%-იანი ზრდა. 2016 წლის აპრილიდან, პრაქტიკოსი მასწავლებლის საშუალო ხელფასი უკვე დაახლოებით 600 ლარია, ხოლო 2012 წელს იყო 360 ლარი. უფროსი მასწავლებლის საშუალო ხელფასი არის 800 ლარი, 2012 წელს იყო 450 ლარი. წამყვანი მასწავლებლის ხელფასი არის 965 ლარი, 2012 წელს დაახლოებით 500 ლარი იყო. პრაქტიკოსი მასწავლებლის შემთხვევაში გვაქვს 67%-იანი ზრდა, 78%-იანი ზრდა – უფროსი მასწავლებლის შემთხვევაში და წამყვანი მასწავლებლის შემთხვევაში – 93% ზრდა“, – განაცხადა სანიკიძემ.

მინისტრის თქმით, მასწავლებელთა ხელფასის მომდევნო ზრდა 2017 წელს 1-ლი იანვრიდან განხორციელდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ პერიოდიდან მასწავლებლის საშუალო ანაზღაურება 800-900 ლარი უნდა იყოს. მისივე თქმით, სახელფასო ზრდისთვის სახელმწიფომ ვაუჩერული დაფინანსება გაზარდა და მასწავლებელთა ხელფასის გასაზრდელად დამატებით 90 მილიონი ლარი მიმართა.

რამდენად საფუძვლიანი იყო მინისტრის განცხადება? სად ტყუის თამარ სანიკიძე?

**„ალიას“ „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ თავმჯდომარე, დავით ფერაძე ესაუბრა:**

– მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე, ჯერ უნდა გამოიცეს მინისტრის ბრძანება, რომლითაც რეგულირდება, რომელი განათლებისა და კვალიფიკაციის მასწავლებელზე რა ოდენობის ანაზღაურება გაიცემა. ამ ეტაპზე, საბაზო ხელფასი შეადგენს 355 ლარს, მაგრამ ეს არის სრული დატვირთვის შემთხვევაში, ოღონდაც დაქვითვის გარეშე. რეალურად ეს ნიშნავს ხელზე ასაღებ 284 ლარს. თუ საბაზო ხელფასი გაიზრდება 405 ლარამდე, მისი რეალური მაჩვენებელი იქნება 324 ლარი. მაგრამ განათლება-კვალიფიკაციის მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი სახის მასწავლებლები – დოქტორები, მაგისტრები, ბაკალავრები, პროფესიული განათლების მქონეები, ზოგადი განათლების მქონეები. აქ მოქმედებს სტაჟი და სხვა სისტემები. ყველაზე კარგი შემთხვევა გვექნება მაშინ, როდესაც მასწავლებელი არის სრული დატვირთვით (18 საათი კვირაში), არის დოქტორი და სკოლაში მუშაობს 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ისე ხელზე აიღებს 440 ლარს. თუ ის უფროსი მასწავლებლის სტატუსსაც ატარებს, მაშინ მას დაემატება კიდევ 128 ლარი და აიღებს 568 ლარს. თუ ის დამრიგებელია და ასეთი შემთხვევა იშვიათი გამონაკლისია, მისი ხელზე ასაღები ხელფასი მიაღწევს დაახლოებით 640-650 ლარს.

სულ ესაა, რაც იქნება მატება აპრილიდან და ეს არ არის დაანონსებული 900 ლარი. მასწავლებლისთვის უფრო უკეთესად გასაგები რომ იყოს, ეს ყველაფერი გადმოვეცი ცხრილით, სადაც ნაჩვენებია, როგორი ანაზღაურება ექნებათ მასწავლებლებს სხვადასხვა საათობრივი დატვირთვის შემთხვევაში, თუ ის 5 წელზე მეტი სტაჟისაა. ცხრილში, შესაძლოა, იყოს რამდენიმეთეთრიანი მეტნაკლები ცდომილება.

| საათების რაოდ | დოქტორი | მაგისტრი | ბაკალავრი | პროფესიული განათლები სმქონე | ზოგადი განათლების მქონე |
|---|---|---|---|---|---|
| 18 | 440 | 407 2 | 375 12 | 342 4 | 309 6 |
| 17 | 415 5556 | 384 5778 | 354 28 | 323 3778 | 292 4 |
| 16 | 391 1111 | 361 9556 | 333 44 | 304 3556 | 275 2 |
| 15 | 366 6667 | 339 3333 | 312 6 | 285 3333 | 258 |
| 14 | 342 2222 | 316 7111 | 291 76 | 266 3111 | 240 8 |
| 13 | 317 7778 | 294 0889 | 270 92 | 247 2889 | 223 6 |
| 12 | 293 3333 | 271 4667 | 250 08 | 228 2667 | 206 4 |
| 11 | 268 8889 | 248 8444 | 229 24 | 209 2444 | 189 2 |
| 10 | 244 4444 | 226 2222 | 208 4 | 190 2222 | 172 |

**— რა ანალიზი შეიძლება გამოვიტანოთ ამ ცხრილიდან?**

– თუ მასწავლებელს 5-დან 10 წელზე ნაკლები სტაჟი აქვს, დაემატება 13 ლარამდე, ხოლო თუ 10-ზე მეტი აქვს – 17 ლარამდე. ესაა სულ, რაც ემატებათ. შესაბამისად – სანიკიძის განცხადებები არის მორიგი სიცრუე, მორიგი ფანდი. მისი სიცრუეები წაქეზებულია პრემიერის მიერ. როგორც ვიცით, პრემიერმა მხარდაჭერაც კი გამოუცხადა თავის დროზე, როდესაც სკოლებში ახალი საგნის „მე და საზოგადოების“ შემოღებაზე იყო საუბარი, რასაც სასულიერო პირების და მშობლების დიდი ნაწილი აპროტესტებს. სანიკიძის გაიძვერობა, დანაშაული, პოლიტიკური დევნის ორგანიზება, დირექტორთა დაშინება-დაშანტაჟება დასასრულისკენ არ მიდის და ეს წაქეზებულია ასევე მასწავლებელთა კორპუსის გარეგნული სიმშვიდით, მორჩილებით, სასკოლო საზოგადოების, მშობლების ინდიფერენტულობით.

**— რამდენიმე დღეა, თამარ სანიკიძის წინააღმდეგ აქციებს მართავთ. რას ითხოვთ?**

– სკოლის მანდატური, ალექსი ბლიაძე სამსახურიდან უკანონოდ გაანთავისუფლეს. გვყავს პოლიტიკური დევნის კიდევ ერთი მსხვერპლი. ცივსისხლიანმა, ყველა დროის უბოროტესმა ადამიანმა – სანიკიძემ მისი ნათესავის, სასკოლო ჟანდარმერიის „ოდეერ“ ხელმძღვანელის განკარგულებით სრულიად უკანონოდ სამსახურიდან გაუშვა ალექსი ბლიაძე და ახლა მისი ოჯახი დატოვეს შიმშილის საფრთხის წინაშე. გაუშვეს იმიტომ, რომ ბლიაძემ ამხილა მანდატურთა კორუმპირებული ხელმძღვანელობა. მოვითხოვთ სანიკიძის გადაყენებას და პასუხისგებაში მიცემას. მინდა მოვუწოდო პედაგოგებს – ახლა სოლიდარობა სინდისის საქმეა. დუმილი სირცხვილია, ბოლოს და ბოლოს! ვინც ამას არ აკეთებს, ის ძალაუნებურად დამნაშავე სანიკიძის გვერდითაა! საყოველთაო გაფიცვა! აი, გამოსავალი და აი, გამარჯვება.

ახლა ერთ ამბავს მოგიყვებით. მატყუარა სანიკიძე 64-ე სკოლას ესტუმრა „იუესაიდის“ ხელმძღვანელ პირებთან ერთად. კოკეტობა-თავმოწონებას აპირებდა, მაგრამ არ გამოუვიდა. შეძახილებით დავხვდით. ამას ხედავდნენ და ისმენდნენ უცხოელი სტუმრები. გამწარებული შეძვრა სკოლაში და გამოსვლას აღარ აპირებდა. გამოვიდნენ სტუმრები. ელოდებიან ქუჩაში, სანიკიძე არ გამოდის. იცოდა, რომ ისევ საპროტესტო შეძახილებით დავხვდებოდით. სტუმრები ელოდებოდნენ. სირცხვილი იყო. ჰოდა, გამოვაცხადე, გამოდით, ქალბატონო მინისტრო, ქართული სტუმართმოყვარეობა მაინც გამოიჩინეთ და გააცილეთ სტუმრები-მეთქი. რადგან არ გამოდიხართ, სტუმრებს მე გავაცილებ-მეთქი. მადლობა გადავუხადე უცხოელებს სტუმრობისთვის და გავაცილე. გვიან გამოიძურწა სანიკიძე სკოლიდან. უნდა გენახათ პედაგოგების ბედნიერი სახეები. ზოგი ფანჯრიდან იყურებოდა, ზოგიც ქუჩაში იყო. აი, სადამდე დაეცა ეს მინისტრი, წასვლას მაინც არ აპირებს, მაგრამ მე გპირდებით, რომ წავა.

არ ვაპირებთ აქციების შეწყვეტას, სანამ არ გავაგდებთ ქვეყნის დამაქცევარ მინისტრს. ჯერ არ გამოდიან მასწავლებლები, მაგრამ, ადრე თუ გვიან, მათი მოთმინების ძაფიც გაწყდება და გამოვლენ. მე ვიცი, ძალიან განიცდიან. დირექტორებიც ისეთ დღეში არიან, ლამისაა თავად ჩაუდგნენ პედაგოგებს სათავეში და შემოგვიერთდნენ. აქციას ჰქვია „სინდისის აქცია“. მაჰათმა განდის ვესესხე. ერთი იმიტომ, რომ იმედია, პრემიერს ეყოფა სინდისი და ამ საძულველ მინისტრს გააძევებს, მეორე იმიტომ, რომ მასწავლებლები დაუჯერებენ საკუთარ სინდისს, რომელიც მუდმივად ჩასძახის მათ, რომ პროტესტს შეუერთდნენ.

## წერილი პუტინს - ევროპარლამენტარები ნადეჟდა სავჩენკოს გათავისუფლებას ითხოვენ



ევროპარლამენტარებმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს წერილი მისწერეს და უკრაინელი მფრინავი ქალის, ნადეჟდა სავჩენკოს გათავისუფლებისკენ მოუწოდეს.

წერილს 46 პარლამენტარი აწერს ხელს, რომლებიც ხუთ პოლიტიკურ ჯგუფს წარმოადგენენ. მათი თქმით, სავჩენკოს წინააღმდეგ რუსეთის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამარცხვინო და პოლიტიკურად მოტივირებულია.

შეგახსენებთ, რუსეთის ქალაქ დონეცკის სასამართლომ ნადეჟდა სავჩენკო, რუსი ჟურნალისტების მკვლელობაში დამნაშავედ ცნო და მას 22 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სავჩენკოს მშრალი შიმშილობა აქვს გამოცხადებული. (ნიუპოსტი)

## „ე.წ. გასაღები სუს-ისა და შსს ხელში 2017 წლის მარტიდან აღარ იქნება“



– ე.წ. გასაღები სუს-ისა და შსს ხელში 2017 წლის მარტიდან აღარ იქნება, - ამის შესახებ „ღია საზოგადოება საქართველოს“ წარმომადგენელმა გია ბურჯანაძემ განაცხადა.

– პარლამენტს მოუწევს ახალი რეგულაციების მიღება და ამ გადაწყვეტილების გათვალისწინება, რაც ნიშნავს ჩვენი უფლებების დაცვას. არასამთავრობოები ვმუშაობთ რეკომენდაციებზე, რა ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს და ამ რეკომენდაციებს პარლამენტს მივაწვდით, - აღნიშნა გიორგი ბურჯანაძემ. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო პირადი ხასიათის ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვებისა და მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირებისა და შენახვის წესები.

მოსარჩელეები იყვნენ: სახალხო დამცველი, მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე, „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და „ადამიანის უფლებათა ცენტრი“. (accent.com.ge)

## „მთავრობამ ხელი შეახოცა პრეზიდენტს“



ექსპერტი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ არჩევნების თარიღთან დაკავშირებული განკარგულება პრეზიდენტმა ისე შეადგინა, როგორც მთავრობამ სთხოვა. იგი გაკეთებულ განცხადებებს შეცდომის პრეზიდენტისთვის გადაბრალების მცდელობად მიიჩნევს.

– ეს შორიდან ჩანს, როგორც პოლიტიკური თამაში, ბუნებრივია, იმიტომ, რომ ის განკარგულება, რაც პრეზიდენტმა გამოსცა, ეს იყო ზუსტად ის, რაც მას სთხოვა მთავრობამ. მთავრობამ თავისივე შეცდომა გადააკისრა და ხელი შეახოცა მთლიანად პრეზიდენტს და ამაში გამოიყენა პრეზიდენტის კეთილი ნება, რომ ყოფილიყო კონსტრუქციული.

ჩემი აზრით, პრეზიდენტმა შეცდომა დაუშვა მაშინ, როდესაც ჩაწერა 8 აგვისტოს თემა ამ განკარგულებაში. მას უბრალოდ უნდა გამოეცხადებინა არჩევნები და ძალაში შესვლის თარიღთან დაკავშირებით არგუმენტებზე უკვე უნდა ეზრუნა პრემიერმინისტრს. ჩემი აზრით, ეს არის არაკეთილსინდისიერი საქციელი. ახლა გამოდის და სახელმწიფო ინტერესებზე ლაპარაკობს ზოგიერთი არასერიოზული ადამიანი უმრავლესობიდან, - აცხადებს გია ხუხაშვილი. (პირველი რადიო)

## თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე 5 კანდიდატი დარეგისტრირდა



თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე კანდიდატების რეგისტრაციის ვადა ამოიწურა. არჩევნები 20 აპრილს გაიმართება. კომისიაში 7 კანდიდატის განცხადი შევიდა, 2 მათგანის – ინესა მერაბიშვილისა და მერაბ ელიაშვილის კანდიდატურები კომისიამ რეგისტრაციიდან მოხსნა. კომისიის მდივან დემეტრე ეგნატაშვილის განცხადებით, მათ ვერ დააკმაყოფილეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონით დადგენილი ნორმა ასაკობრივ ზღვართან დაკავშირებით.

საარჩევნო კომისიამ უკვე დაარეგისტრირა ორი კანდიდატი: ცირა ბარამიძე და ლევან გორდეზიანი, სამი კანდიდატის - დარეჯან თვალთვაძის, ალექსანდრე ჩხიტაურისა და გიორგი ანდრიაძის განაცხადი განხილვის პროცესშია. (პირველი რადიო)

# რის გამო ჩაცხრილეს ფონიჭალაში ორი მამაკაცი

ქვემო ფონიჭალაში 13 აპრილს მომხდარმა ორმაგმა მკვლელობამ სოფლის მოსახლეობა გვარიანად შეაშფოთა. დანაშაული ავტოსახელოსნოში მოხდა. ადგილობრივები ამბობენ, რომ მათი სოფელი ლამის მაფიოზური გარჩევებისა და მკვლელობების ადგილად იქცეს. გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელობას გამიზნული მსხვერპლის გარდა, კიდევ ერთი შემსწრე შეეწირა, ერთი კი - მძიმედ დაიჭრა. ის საავადმყოფოში მკურნალობის კურსს გადის.

დანაშაული დაახლოებით დღის 2 საათზე, ავტოსახელოსნოში მყოფი ადამიანების თვალწინ მოხდა.

თვითმხილველთა თქმით, ავტოსახელოსნოს ეზოში „ოპელის“ მარკის მწვანე მანქანა ნელი სვლით შევიდა და გაჩერდა. მისთვის დიდი ყურადღება არავის მიუქცევია. მანქანიდან გადმოსულმა ახალგაზრდა კაცმა იარაღი ამოიღო და სროლა მიჯრით ატეხა, რის შემდეგაც სროლის მიმართულებით მყოფი სამივე ადამიანი მიწაზე ჩაიკეცა. თავდამსხმელმა იარაღი ჯიბეში ჩაიდო და მანქანა ელვისებურად მოწყვიტა ადგილს. ავტოსახელოსნოში მყოფმა დანარჩენმა ხელოსნებმა მხოლოდ ამის შემდეგ გაბედეს თავიანთი სამუშაო ადგილებიდან გამოსვლა. ადგილობრივები პრესასთან ურთიერთობას ერიდებიან, თუმცა პირად საუბარში ყველა თითქმის ერთ ვერსიას ყვება, მკვლელობა შესაძლოა, ნარკოტიკებს უკავშირდებოდეს.

ჩვენი რესპონდენტი ავტოსახელოსნოსთან, სადაც დანაშაული მოხდა, ახლოს ცხოვრობს. აი, რას მოგვიყვა ადგილობრივი აზერბაიჯანელი, რომელმაც გვთხოვა მისი გვარსახელი არ დაგვესახელებინა:

– კიდევ კარგი, რომ თავდასხმისას ეზოში მეტი არავინ იყო, თორემ კიდევ უფრო მეტი ადამიანი ემსხვერპლებოდა ამ ტრაგედიას. ხელოსნები თავის საქმეს სახელოსნოში აკეთებდნენ, საიდანაც მას შემდეგ გაბედეს გამოსვლა, რაც მკვლელი მანქანაში ჩაჯდა და მიიმალა. ეს სახელოსნო ძირითადად რუსეთიდან ჩამოყვანილი სატვირთო მანქანებს ემსახურება. ჩვენი სოფლის აზერბაიჯანული მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთშია დასაქმებული, საიდანაც მეორადი „კამაზები“ ჩამოჰყავთ, არემონტებენ და ყიდიან. გარდაცვლილებიდან იმ კაცს, ვის მოსაკლავადაც პროფილაქტიკაში მკვლელი შევიდა, სწორედ მანქანა ჰყავდა სარემონტოდ მოყვანილი, უნდოდა ენახა, რემონტის საქმე როგორ მიდიოდა და თან მეგობარიც მიჰყვა. ამბობენ, რომ ის მეგობარი სულ არაფერ შუაში იყო და შემთხვევით მოკლა. ასევე, შემთხვევის მსხვერპლია ამ სახელოსნოს ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც იმ დროს ეზოში იყო და იქ მისულ კლიენტებს ელაპარაკებოდა.

– როგორც ამბობენ, გარდაცვლილები ადგილობრივები არიან.

– კი, აქაურები არიან. ის კაცი, რომლის მოსაკლავადაც სახელოსნოში მკვლელი მივიდა, რუსეთში მწვანილის ბიზნეში იყო ჩართული და სოფელში წლების განმავლობაში არ ჩამოდიოდა. ახლაც შვილის ქორწილისთვის იყო თურმე ჩამოსული.

– გავრცელებული ინფორმაციით, ის, ფაქტობრივად, მილიონერი იყო, ეს მწვანილის ბიზნესით მოახერხა?

– ეს სისულელეა იმიტომ, რომ ვინც ამ საქმეში ჩახედულია, იცის, რომ ის მწვანილი, რომელსაც ჩვენი აზერბაიჯანელები რუსეთში ყიდიან, რუსეთში ირანიდან შედის; მას კი „სხვა რამეც“ მოჰყვება.

– ნარკოტიკებს გულისხმობთ?

– დიახ. ეს საშინელება აუბედურებს ადამიანებს. ნაროტიკით ნაშოვნი ფული სიკვდილის ფულია; ამბობენ, რომ ამ ნარკოტიკებში აღებული ფულის გაყოფის გამო მოხდა ეს ორმაგი მკვლელობა, თუმცა საბოლოოდ სამართალდამცავებმა უნდა დაადგინონ სიმართლე. გული მტკივა ახალგაზრდების სიკვდილის გამო, ორივე 45 წელზე მეტის არ იყო თურმე. კაცი შვილის ქორწლისთვის ემზადებოდა და ამ დროს მკვლელის ტყვიამ იმსხვერპლა... (kvirispalitra.ge)







ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაანახა ქართულ საზოგადოებას, რომ ის არის არასერიოზული ადამიანი“ - მიხეილ მაჭავარიანი



პრემიერ-მინისტრის მიერ არჩევნებთან დაკავშირებით განკარგულების პრეზიდენტისთვის მოტივირებული შენიშვნებით უკან დაბრუნებას მიხეილ მაჭავარიანი აფასებს, როგორც „გამოსავალს ცუდსა და უარესს შორის“.

– პრეზიდენტმა და პრემიერმა ხალხი მოატყუეს, როცა ვითომ ყარაბახის თემაზე სამსჯელოდ შეიკრიბნენ და რეალურად, ყველამ იცის, რომ იქ კონკრეტულად არჩევნების თარიღის დანიშვნაზე იყო საუბარი. იურიდიული გაუგებრობისა და უცოდინრობის გამო პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის თხოვნით განცხადების გაკეთება მოუწია. ამის შემდეგ გააანალიზეს, რომ მთავრობა მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა. ფაქტობრივად, აღმასრულებელი ხელისუფლება საარჩევნო რეჟიმში გადადიოდა, რაც ნიშნავს ადმინისტრაციული რესურსის შეზღუდვას, საჭირო იყო საარჩევნო ოლქებში წევრების დანიშვნა, სიების გამოქვეყნება და ა.შ. ეს „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს, რადგან ბოლო კვლევის შედეგად, ყველა ხედავს, რომ ისინი არჩენებს აგებენ, - განაცხადა მაჭავარიანმა.

მაჭავარიანის თქმით, საარჩევნო კამპანია დღეს ფაქტობრივად, მიმდინარეობს, მაგრამ არჩევნების თარიღის გამოცხადებას თავისი იურიდიული ნორმები აქვს.

– პრეზიდენტმა არჩევნების შესახებ განცხადება უკვე გააკეთა და ეს არის გამოსავალი ცუდსა და უარესს შორის. პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაანახა ქართულ საზოგადოებას, რომ ის არის არასერიოზული ადამიანი, რომელიც ასრულებს იმ თხოვნებსა და დავალებებს, რაც „ქართული ოცნებიდან“ მოდის. საქართველოს მთვრობამ კი ამით საზოგადოებას დაანახა, რომ ისინი ჩვენი მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესებაზე კი არ ფიქრობენ, არამედ დაინტერესებულები არიან, რომ სკამები დიდხანს შეინარჩუნონ. მე ამ პროცესს ტაკიმასხარაობა დავარქვი და სამწუხაროდ, ეს ხალხი ამასვე აგრძელებს. მთავარი სამიზნე არის ქართველი ხალხი, რომლის კეთილდღეობაზეც უნდა ზრუნავდეს პრემიერმინისტრიც, პრეზიდენტიც და არა იმ გამოსავალსა და ტაკიმასხარაობაზე, რაც ახლა ჩაატარეს, - განაცხადა მაჭავარიანმა. (ambebi.ge)

## წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მიმდებარედ საავტომობილო მოძრაობა შეიზღუდება



15 აპრილიდან 16 აპრილის ჩათვლით, დილის 09:00 საათიდან, საგზაო სამუშაოების გამო, კ. ხეთაგუროვის ქუჩაზე (წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მიმდებარედ) საავტომობილო მოძრაობა შეიზღუდება.

15 აპრილს, დილის 09:00 საათიდან, საგზაო სამუშაოების გამო, საავტომობილო მოძრაობა გადაიკეტება ი. ჯავახიშვილის ქუჩაზე. აღნიშნულ მისამართზე სრულდება ასფალტის საფარის დაგება.

ასევე, 21 აპრილის ჩათვლით, 23:00 საათიდან დილის 08:00 საათამდე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, საავტომობილო მოძრაობა შეიზღუდება ვახუშტის სახელობის ხიდის გვირაბის მიმდებარე ტერიტორიაზე. (ნიუპოსტი)

## რაც ადრე დაიწყება კამპანია, მით უკეთესია პოლიტიკური ძალებისთვის - ირაკლი ალასანია



საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას წინასაარჩევნო კამპანიის არჩენებამდე 3 თვით ადრე დაწყებასთან დაკავშირებით, „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანია ეხმაურება:

– მიუღებელია ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება საქმის მიმართ. არაერთხელ ავღნიშნე, რომ როდესაც ორი პოლიტიკური ლიდერი აცხადებს გარკვეულ თარიღს არჩევნებთან დაკავშირებულს, აქ უფრო მეტი შრომა ჩაედოთ აპარატებს, იმ ადამიანებს ვისაც სამართლებრივი მხარე უნდა შეემოწმებინათ. ახლა ბუნებრივია, ჩემთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული იყოს რაც შეიძლება ადრე თარიღი არჩევნების და რაც ადრე დაიწყება კამპანია, მით უკეთესია პოლიტიკური ძალებისთვის, რომ მოემზადონ და ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიაწოდონ ხალხს ინფორმაცია და ხალხმა შემდეგ ინფორმირებული არჩევანი გააკეთოს, - აცხადებს ალასანია. (ნიუპოსტი)

## „იმასთან შედარებით, რაც ქადაგიძის ხელში იყო, ლარი საგრძნობლად დასტაბილურდა“



20:30-ის წევრის, ეკონომიკის ექსპერტ მიხეილ დუნდუას განცხადებით, ოპოზიციონერი ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ ლარი წარმოუდგენლად მაღალ ნიშნულს მიაღწევდა, თუმცა ასე არ მოხდა.

დუნდუას თქმით, ლარი განაგრძნობს გამყარებას და მისი დიაპაზონი სავარაუდოდ 2-დან - 2.30-მდე იმერყევებს.

– „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრე ექსპერტები თვლიდნენ, რომ კურსი 2,50 ასცდებოდა, 3 და 4-ს მიაღწევდა. ქადაგიძემ იმდენი გააკეთა, რომ კურსმა 2,50-ს მიაღწია, მაგრამ წავიდა თუ არა, კურსი დასტაბილურდა და ახლა ის 2,25-ის მიდამოებში მერყეობს. შეიძლება დიაპაზონი იყოს 2-სა და 2,30-ს შორის, მაგრამ თანდათანობით ის დასტაბილურდება და იქნება გაცილებით უკეთესი, ვიდრე ის იყო შარშან, - განაცხადა დუნდუამ.

შეკითხვაზე, რა განაპირობებდა ეროვნული ვალუტის ცვლილებას, დუნდუამ განაცხადა, რომ ქადაგიძის ფაქტორი მართლაც ხელისშემშლელი პირობა იყო, თუმცა ახლა ის ხაზს უსვამს იმ ცვლილებებს, რომლებიც ეროვნულმა ბანკმა უნდა განახორციელოს, მათ შორის, გაამარტივოს ბიზნესსესხების აღების პროცესი.

– ქადაგიძის შემდეგ კურსმა ერთბაშად ამოისუნთქა. შემდგომი ნაბიჯები არის ეროვნული ბანკის ნაბიჯები, რომლებიც დაწმუნებული ვარ, გადაიდგმება. ისინი ბიზნესსესხების ხელმისაწვდომობას გაზრდაზე იქნება ორიენტირებული. ნაკლებად იქნება ისეთი სავალალო წნეხი მოსახლეობაზე, როგორც ეს ქადაგიძის პერიოდში იკვეთებოდა. მაშინ რიგითი მოქალაქის სესხის გადახდის რაოდენობა შემოსავლის ნახევარზე მეტი იყო. როდესაც ეს პრობლემები დარეგულირდება და როდესაც ეკონომიკის შექმნას მეტი სესხი მოხმარდება, ვიდრე საიმპორტო მოხმარების გაძლიერებას, მაშინ ორი ხელით შეგვეძლება, რომ ეკონომიკა რთული მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ, - განაცხადა დუნდუამ. (pia.ge)

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# კულტურის მინისტრი გიორგაძე 29 მილიონიან პროექტ „Check in Georgia“-ს გადაყვება?

„უკვე კორუფციული სქემით დაინტერესებულია საგამოძიებო უწყება... საპრომოუტერო კომპანიებთან იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი და კორუფციის ნიშნები...“




საქართველოს მთავრობისა და კულტურის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროექტის **„Check in Georgia“** დაანონსების შემდეგ, „ალია“ ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მეგავარსკვლავების ჩამოსაყვანად და 30-მდე ფესტივალისთვის გამოყოფილი 29 მილიონის არამიზნობრიობასა და კულტურის მინისტრ, მიშა გიორგაძის საეჭვო ინტერესებზე წერდა. როგორც ირკვევა, 4 ცნობილი მეგავარსკვლავის ჩამოყვანა, საბოლოო ჯამში, 10 მილიონამდე ჯდება. როგორ და რაზე გადანაწილდება დანარჩენი თანხები, ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, „ნაცმოძრაობამ“ გაასაჯაროა და ცნობილი გახდა მიხეილ გიორგაძესთან დაახლოებული იმ პირების სია, რომელიც პროექტის ძირითად ნაწილს გაუწევენ ორგანიზებას.

მათი გვარები და რეგალიები კი შემდეგნაირად გამოიყურება: პროექტ „ჩექინ ჯორჯიას“ ხელმძღვანელია სამინისტროს სსიპ-ების ხელმძღვანელი დავით მენაბდე, რომელიც ამავე დროს „ისთერნ პრომოუშენის“ დამფუძნებელიცაა. ამჟამინდელ მინისტრ მიშა გიორგაძესთან ერთად, სწორედ ამ კომპანიის ეგიდით ტარდება წლებია ჯაზფესტივალი და მეგავარსკვლავების ჩამოყვანაც „ისთერნ პრომოუშენს“ უფეშქაშეს. მენაბდის სიძე ირაკლი შენგელია კომპანია „ვიზარდ ივენთის“ დამფუძნებელია, რომელიც თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზს მართავს, სადაც ბილეთების გარკვეული ნაწილი გაიყიდება. მისივე მეჯვარე და „ვიზარდ ჯორჯიას“ მენეჯერი ვაჟა ხაჩიძე კი კომპანია „თიქეთ ჯორჯიას“ დამფუძნებელია, რომელიც ყველა ამ კონცერტზე ბილეთებსაც გაყიდის და მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელსაც მიიღებს. ეს არასრული ჩამონათვალია იმ ადამიანებისა, რომელთა ხელშიც გაივლის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი მილიონები.

როგორც „ალიასთვის“ კულტურის სამინისტროს კულუარებიდან ხდება ცნობილი, უკვე დამტკიცებული 29 მილიონი ორგანიზატორებს არ ჰყოფნით და თანხის 34 მილიონამდე გაზრდას ითხოვენ. თუმცა სანამ ამას ოფიციალურად დაადასტურებს სამინისტრო, მანამდე კიდევ ერთი სკანდალური ამბავი შეგვატყობინეს, რომელსაც შესაძლოა, მინისტრი გიორგაძეც შეეწიროს. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო კანცელარიიდან კულტურის სამინისტროსა და მასთან არსებულ სსიპ „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდს“, რომელიც პროექტის ოფიციალური კურატორი და ორგანიზატორია, უკვე მოსთხოვეს დაანონსებული თანხის, 29 მილიონის ხარჯთაღრიცხვა, თუმცა, როგორც ამბობენ, სამინისტრო ხარჯთაღრიცხვის სრულ ვარიანტს ვერ აწვდის კანცელარიას. ამიტომ გაუგონარი ამბები ხდება თურმე სამინისტროში. სიტუაციიდან გამოსაძრომად გიორგაძესა და მის დამქაშებს განუზრახავთ, რომ რამდენიმე ფესტივალი, რომელიც ისედაც იჯდა კულტურის სამინისტროს ბიუჯეტში, მათ შორის ლიანა ისაკაძის ფესტივალი და სხვა, ახლა „ჩექინ ჯორჯიას“ ნაწილად გაასაღონო. ასევე, კულტურის სამინისტროს არ ჰქონია ჯერჯერობით პასუხი კანცელარიისთვის, სად წავა სხვადასხვა კონცერტებიდან თუ ფესტივალებიდან შემოსული თანხა, რომელიც რამდენიმე ათეული მილიონი მაინც იქნებაო. სავარაუდოდ, კანცელარია ფინანსების გამჭვირვალობით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც 29-მილიონიან პროექტს საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთება მოჰყვა და რამდენიმე საპრომოუტერო კომპანიამ ხარჯების ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით მიმართა კიდეც კანცელარიას. როგორც „ალიასთან“ საუბარში ერთ-ერთი საპროდიუსერო კომპანიის წარმომადგენელი ამბობს, 29-მილიონიანი პროექტის ფინანსების გამჭვირვალობით და კორუფციული გარიგებების ღია ნიშნებით უკვე საგამოძიებო სტრუქტურებიც დაინტერესდნენ.

პრომოუტერმა, კულტურის სამინისტრო კანონის დარღვევაშიც დაადანაშაულა, რადგან მსგავსი სიდიდის და დაფინანსების პროექტი პირდაპირი შერჩევის წესით არ უნდა გადასცემოდა განსახორციელებლად არც ერთ კერძო კომპანიას: „სამინისტრომ და მასთან არსებულმა სრულიად გაუგებარმა და ბუნდოვანმა სსიპ-მა დაარღვიეს კანონი, როცა კონკურენციის გარეშე, ყოველგვარი ტენდერის გვერდის ავლით კონკრეტულ კომპანიებს დაუკვეთეს მომღერლებისა თუ სხვადასხვა ფესტივალების მოწყობა. არსებობს ბევრი საპრომოუტერო კომპანია და კონკურენციის პირობებში, შესაძლებელი იყო რობი უილიამსისა თუ სხვა შემსრულებლების თუნდაც 50-100 ათასით ნაკლებად ჩამოყვანა. ძალიან ბევრია კითხვისა და უფრო მეტი დანაშაულის ნიშანი. ნორმალურ, დემოკრატიულ სახელმწიფოში შეიძლება, რომ მინისტრმა ბიზნესი გააკეთოს? როგორც გავიგე, ბიძინადან დაწყებული, კვირიკაშვილით დამთავრებული არიან აბსოლუტურ შოკში, რადგან თავდაპირველად კულტურის სამინისტრომ და მასთან არსებულმა „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდმა“ თქვა, რომ თავად მოიპოვებდნენ ინვესტიციებით ფულს ამ პროექტის ჩასატარებლად, მაგრამ შემდეგ სახელმწიფოს მოსთხოვეს ფული, ჩააგდეს უხერხულ სიტუაციაში. ამას მოჰყვებოდა სახელმწიფო სკანდალი, რადგან უკვე მომღერლებთან შეთანხმება ჰქონდათ და გამოვიდოდა, რომ სახელმწიფომ გადააგდო მეგავარსკვლავები. გიორგაძემ კი, თავის გარემოცვის გარდა, ყველა სხვა კომპანია დაბლოკა, თან ასე ღიად, ფორმალურადაც კი არ გამოაცხადეს ტენდერი. ანუ საქმე გვაქვს კორუფციულ სქემასთან, რომლის სათავეში დგას კულტურის მინისტრი, მისი მოადგილეები და მათი ახლობელი პირები. რამდენჯერმე ვცადეთ ინფორმაციის გამოთხოვა ამ გაუგებარ „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდზე, მაგრამ უშედეგოდ, რადგან ეს იმდენად ჩახურული სისტემაა, ამის გამოფენა არავის არ უნდა. თან რომ იძახიან სიმბოლურ ფასად გაიყიდება ბილეთებიო, 135 ლარი სიმბოლური ფასია? არადა უმეტესი ასეთი ბილეთები იქნება, ესეც დიდი აფიორაა. ხან ტურიზმს აზრალებენ პროექტის აუცილებლობას, ამბობენ, 50 ათას ვიზიტორს ველოდებითო. რომ დათვალო, ბათუმში 50 000 საწოლი მთლიანად არ არსებობს, დათვლილი გვაქვს და 10 000-ზე მეტს არ აღემატება საშუალო და ნორმალურ სასტუმროში საწოლების რაოდენობა. ასე რომ, ესეც ბლეფია. კულტურის მინისტრი მთელი თავისი „შაიკით“ არის „ნაციონალური მოძრაობა“ და წინასაარჩევნოდ კიდევ ერთ გემრიელ ლუკმას აძლევენ თავისიანებს „ოცნების“ სალანძღავად. ეს არის მთელი შინაარსი.

ახლახან გავიგე, რომ უკვე კორუფციული სქემით დაინტერესებულია საგამოძიებო უწყება, ძირითადად კი, გარდა იმისა, რომ უშუალოდ სამინისტროს, მასთან არსებულ სსიპ-სა და მათთან დაახლოებულ საპრომოუტერო კომპანიებთან იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი და კორუფციის ნიშნები, ასევე, უმეტეს შემთხვევაში, იმისთვის რომ არტისტის ფასი აწიონ, ეკვრებიან აგენტებს, ვინც „ყიდის“ მომღერალს. ასევე, ისმის კითხვა: ბილეთებიდან შემოსული თანხა სად მიდის? მაშინ როცა სახელმწიფო 100%-ით აფინანსებს მომღერლის ჩამოყვანას, მის ჩამოფრენას, აქ ცხოვრებას, კვებას და ა.შ. ე.ი. გაყიდული ბილეთების 100-ვე პროცენტი არის მოგება. ანუ ღიად ჩანს, რომ ეს არის „ისთერნ პრომოუშენისა“ და გიორგაძის მაფია. კულტურის სამინისტრო იქცა „ისთერნ პრომოუშენის“ დანამატად. იქ აღარაფერი აღარ ფინანსდება სხვა. ასევე, ვსვამ კითხვას, მე რატომ უნდა აღვნიშნო საქართველოში 30 აპრილს ბიუჯეტის ხარჯზე ჯაზის დღე? ვინმე სადმე აღნიშნავს ქართული ფოლკლორის დღეს? რატომ უნდა დახარჯოს სახელმწიფომ ამაზე 270 ათასი ლარი? ვინმემ აგვიხსნას ეს გაუგებრობა. მაშინ როცა თეატრის დღის აღსანიშნავად გამოყოფილი იყო შარშან მხოლოდ 40 ათასი, ჯაზის დღისთვის მიზანშეწონილია ამხელა თანხების გასროლა? მხოლოდ ჯაზფესტივალი წელს დაახლოებით 1 800 000-მდე ჯდება, როგორც ვიცი. ასევე, გიორგაძეს, რაც მინისტრია, 18 მილიონი აქვს „თავისივე“ ჯაზფესტივალებზე გადარიცხული. აქ არის მაფია“, – ამბობს პრომოუტერი.

რატომ არ გამოცხადდა ტენდერი მომღერლების ჩამოყვანასა და კონცერტების ორგანიზებაზე? რატომ აკეთებენ პირდაპირი წესით ორგანიზებას მინისტრ გიორგაძესთან დაახლოებული პირები? მოითხოვეს თუ არა პროექტისთვის ბიუჯეტიდან დამატებით 5 მილიონი? „ალიამ“ ამ კითხვებით კულტურის სამინისტროს მედიაკომუნიკაციის სამმართველოს მიმართა (ტელ. 299 63 77) სადაც გვითხრეს, რომ პასუხებისთვის გარკვეული დრო სჭირდებოდათ და პირად ნომერზე დაკავშირებას დაგვპირდნენ, თუმცა, სამინისტროს პასუხისთვის თავი არ შეუწუხებია.

## „სოციოლოგიური კვლევები გვაძლევს საშუალებას, ჩვენი საქმიანობა უფრო ადეკვატურად დავნიშნოთ“



საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ის ნებისმიერი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევებს ყურადღებით აკვირდება. ქვეყნის პირველი პირის განმარტებით, სოციოლოგიური კვლევები პოლიტიკოსებს აძლევს საშუალებას, თავიანთი საქმიანობა ადეკვატურად წარმართონ.

– ყოველთვის ყურადღებით ვაკვირდები ხოლმე ნებისმიერი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევებს. რა თქმა უნდა, ასეთი კვლევები გვაძლევს საშუალებას, ჩვენი საქმიანობა უფრო ადეკვატურად დავნიშნოთ, - აღნიშნა პრეზიდენტმა. (pia.ge)

## პუტინი პირად ცხოვრებაზე ალაპარაკდა



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი საკუთარი პირადი ცხოვრებით კმაყოფილია. ამის შესახებ მან „პირდაპირი ხაზის“ დროს განაცხადა.

რუსეთის პირველ პირს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე ჰკითხეს, რომლის მიხედვითაც მისი ყოფილი მეუღლე - ლუდმილა გათხოვდა.

„თქვენ როდის გაგვაცნობთ ქვეყნის პირველ ლედის?“, - ჰკითხეს პუტინს.

– ჩვენ ხანდახან ერთმანეთს ვხვდებით, თუმცა, ხშირად არა. გვაქვს ძალიან კარგი ურთიერთობა, შესაძლოა, უკეთესიც, ვიდრე ადრე, - აღნიშნა პუტინმა.

მისივე თქმით, მის ყოფილ მეუღლეს ყველაფერი რიგზე აქვს

– ის თავისი ცხოვრებით კმაყოფილია, მეც ჩემი ცხოვრებით კამყოფილი ვარ, ყველაფერი რიგზე მაქვს, მაგრამ იქნებ, ოდესმე, თქვენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო, - განაცხადა პუტინმა. (info9.ge)

## ოღონდ შენ გადაშენდი და!..



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე დანიშნული სუსტი სქესის წარმომადგენლები გარკვეულ პრობლემებს მამაკაცზე უკეთესად მოაგვარებენ.

„შესაძლებელია თუ არა, რუსეთის პრეზიდენტი ქალი გახდეს, თორემ მამა ამბობს, რომ ამერიკასთან გამკლავება მხოლოდ პუტინს შეუძლია", - ამ კითხვით პირველი კლასის მოსწავლე ალინა ახმატოვამ „პირდაპირ ხაზის" დროს რუსეთის პრეზიდენტს მიმართა.

– ჩვენ უნდა ვიფიქროთ არა იმაზე, როგორ წყდება ეს საკითხი ამერიკაში, ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ უნდა მოგვარდეს შიდა საკითხები და პრობლემები - გზები, ჯანდაცვის პრობლემები, განათლება, ეკონომიკის განვითარება და მისი აღდგენა, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, ყველა ამ პრობლემას სუსტი სქესი უკეთესად მოაგვარებს.

– რაც შეეხება იმას, შესაძლებელია თუ არა ქალი სახელმწიფოს მეთაური იყოს, ამ პრობლემებს ქალი ყველაზე უკეთესოდ მოაგვარებს, - განაცხადა პუტინმა. (ipress.ge)

## ნაჭყებია: საქართველოში კვლევებთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება ცოტა კურიოზულია



„ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელი მანანა ნაჭყებია მიიჩნევს, რომ პოლიტიკოსები კვლევებს უნდა ენდონ და შედეგებს ყურადღება მიაქციონ. ამ კუთხით, საქართველოში არსებულ ვითარებას იგი კურიოზულს უწოდებს.

– პოლიტიკოსი, რომელიც არ აფასებს კვლევებს, რომელიც სერიოზულად არ უდგება კვლევებს, რომელიც მუდმივად საუბრობს, რომ კვლევები გაყალბებულია, ვიღაცის ინტერესი დევს, ცდება. პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს, რომ კვლევები არის ძალიან მნიშვნელოვანი მისთვის და ის წაგებული დარჩება, თუ ამ კვლევებს ხელს აუქნევს და იტყვის, რომ ეს არის ვიღაცის ინტერესი. რაც შეეხება საქართველოში დღეს შექმნილ ვითარებას კვლევებთან დაკავშირებით, მეჩვენება, რომ ცოტა კურიოზულია, - განაცხადა ნაჭყებიამ. (news.ge)

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კრიტიკული ანგარიში საქართველოზე

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ადამიანის უფლებების შესახებ მორიგი ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიში 2015 წელს ადამიანის უფლებების მხრივ არსებულ ვითარებას ეხება და მასში საქართველოზეც არის საუბარი.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 2012 წელს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მთავრობის გადაცემა დემოკრატიული გზით პირველად მოხდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თუმცა, ქვეყანაში ჯერ კიდევ არის რიგი პრობლემები.

– 2015 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებების მხრივ არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოადგენდა: ოკუპირებულ ტერიტორიებთან ადმინისტრაციულ საზღვარზე რუსეთის, ან დე ფაქტო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქეების თვითნებური დაკავებები; მნიშვნელოვანი ხარვეზები მართლმსაჯულებაში, მათ შორის სასამართლოზე ზეწოლა საქმეების შერჩევისას, საეჭვო სასამართლო დანიშვნები, ძალადობისა და შეურაცხყოფის შემთხვევებზე მთავრობის შეუსაბამო რეაგირება, დაუსრულებელი გამოძიებები, სასამართლო პროცესის დაწყებამდე შეუსაბამო დაპატიმრებები; ქალების, ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მთავრობის არასაკმარისი მცდელობები, - წერია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია სხვა პრობლემებიც, მათ შორის, პოლიტიკური ზეწოლა დამოუკიდებელ ტელემაუწყებელზე, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვა, პოლიტიკური ოპოზიციიის წინააღმდეგ ძალადობა, კორუფცია, ოჯახური ძალადობა ქალების წინააღმდეგ, ნაადრევი ქორწინებები, სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებზე რეაგირების არაეფექტური მექანიზმი.

გარდა ამისა, დოკუმენტში საუბარია ოკუპირებულ რეგიონებზეც, რომლებიც ცენტრალური მთავრობის კონტროლს მიღმაა დარჩენილი.

– რუსმა მესაზღვრეებმა შეუზღუდეს ადგილობრივ მოსახლეობას გადაადგილების უფლება. მცირე ოფიციალური ინფორმაცია არსებობს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული ვითარების შესახებ, ვინაიდან შეზრუდული წვდომაა ამ რეგიონებზე, - აღნიშნულია დოკუმენტში.

ანგარიშში საუბარია ასევე ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო საქმეების შესახებ.

– მარტში გენერალურმა პროკურატურამ ყოფილ პრეზიდენტ სააკაშვილს, ყოფილ პრემიერმინისტრ და შინაგან საქმეთა მინისტრ, ივანე მერაბიშვილთან, ასევე, იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადეიშვილთან, თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილთან და თბილისის ყოფილ მერ გიორგი უგულავასთან ერთად ბრალი წაუყენა 2007 წელს ანტისამთავრობო აქციების ძალადობრივი გზით დაშლაში მონაწილეობაში, ძალაუფლების გადაჭარბებასა და ტელეკომპანია „იმედში" ჩატარებულ სპეცოპერაციაში მონაწილეობასა და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი აქციების კონფისკაციაში. გენერალური პროკურატურის მიხედვით, სააკაშვილმა აქციის დაშლის ბრძანება გასცა და მთავრობის ლიდერებს პატარკაციშვილის ქონების - მთაწმინდის პარკისა და ტელეკომპანია „იმედის" საკუთრების წართმევა დაავალა მთავრობის ქმედებების კრიტიკულად გაშუქების გამო, - ნათქვამია ანგარიშში.

დოკუმენტში ასევე საუბარია ციხეებში პატიმრების წამებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის შესახებ ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ არსებულ საქმეებზეც.

– დეკემბერში გენერალურმა პროკურატურამ ბრალი წაუყენა თავდაცვის მინისტრის ყოფილ მოადგილე დავით ახალაიას, გენშტაბის უფროსის ყოფილ მოადგილე გიორგი კალანდაძეს, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ უფროს მეგის ქარდავას, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროს რომან შამათავას ციხეში წამებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის საქმეებზე. გენერალური პროკურატურის მიხედვით, ახალაიამ, კალანდაძემ, ქარდავამ და შამათავამ 2012 წელს ელბერტ კობერიძეს სცემეს და მის წინააღმდეგ მხუთავი აირი გამოიყენეს იმ მიზნით, რომ მას ეღიარებინა ტერორისტული აქტის მომზადება, - აღნიშნულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

გარდა ამისა, ანგარიშში საუბარია ასევე, საქართველოში მედიის თავისუფლების მხრივ არსებულ ვითარებაზე. დოკუმენტში აღნიშნულია ტელეკომპანია „იმედში" პოლიტიკური ტოქ-შოუების დახურვის ფაქტი.

– 29 აგვისტოს, ქვეყნის რიგით მეორე წამყვან ტელეკომპანია „იმედმა" მოულოდნელად გამოაცხადა ორი პოპულარული პოლიტიკური გადაცემის შეჩერება და შოუების კარგად ცნობილი წამყვანის ინგა გრიგოლიას გათავისუფლება. გრიგოლიამ გადაცემების დახურვას და მის გათავისუფლებას პოლიტიკურად მოტივირებული უწოდა, - წერია ანგარიშში.

დოკუმენტში საუბარია „რუსთავი 2"-ის საქმეზეც: „შემაშფოთებელი იყო მთავრობის ჩარევა ქვეყნის ყველაზე ყურებადი სატელევიზიო არხის, „რუსთავის 2"-ის საქმეებში".

ანგარიშში აღნიშნულია ჟურნალისტების მიმართ პოლიციის მიერ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებიც.

– 2015 წლის 15 სექტემბერს ქალაქ ოზურგეთში პრემიერმინისტრის ვიზიტის დროს, სამართალდამცველმა „მაესტროს" ჟურნალისტი აიძულა განზე გამდგარიყო იმისთვის, რომ მან პრემიერმინისტრს „უხერხული" შეკითხვა დაუსვა, - წერია ანგარიშში.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ მაღალჩნოსნები აგრძელებდნენ მედიაზე სიტყვიერ ზეწოლას. მაგალითად, გასული წლის მარტში გამართულ პრესკონფერენციაზე პრემიერმა წამყვანი მედიასაშუალებები სამთავრობო პროექტების არასაკმარისად გაშუქებასა და „აბსოლუტურად განსხვავებული რეალობის შექმნაში" დაადანაშაულა. (ambebi.ge)



## ფიქრია ჩიხრაძე: თუ „რესპუბლიკელებს" უნდათ, თანამდებობებზე დიდხანს დარჩნენ, ეს ამ პარტიის პრობლემაა

– თუ „რესპუბლიკელებს" ის პრობლემა აქვთ, რომ არჩევნებში ცალკე გადიან, მაგრამ მაინც უნდათ, თანამდებობებზე დიდხანს დარჩნენ, ეს ამ პარტიის პრობლემაა და მთელი პოლიტიკური სპექტრის პრობლემა ვერ იქნება, — აღნიშნული განცხადება პრეზიდენტის მრჩეველმა პოლიტიკურ საკითხებში ფიქრია ჩიხრაძემ გადაცემა „2030"-ში გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, „რესპუბლიკური პარტია" არჩევნების თარიღის გაცხადებას წინა ხელისუფლებისაგან ყოველთვის ითხოვდა, ეს პარტია კოალიციაში აღარ არის და მათი პოზიცია ცოტა გაუგებარია. (kvira.ge)

## ნიშნიანიძე: მე ახლაც ვთვლი, ადრეც ვთვლიდი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო აშკარად არის პრონაცური



საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ეგრეთ წოდებულ მოსმენების გასაღებთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ომარ ნიშნიანიძე პოლიტიკურად ანგაჟირებულად მიიჩნევს. დეპუტატის აზრით, საკონსტიტუციო სასამართლო „ნაციონალური მოძრაობის" ინტერესებს ატარებს.

– მე ახლაც ვთვლი, ადრეც ვთვლიდი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო აშკარად არის პრონაცური, თუმცა არ ვეხებით მის საქმიანობას და არც ვერევით მის საქმიანობაში, მაგრამ ამ ორგანოსაგან პოლიტიკურად ანგაჟირებული გადაწყვეტილებების მიღება მე არ გამიკვირდება, დანარჩენი იურისტებმა შეაფასონ ეს საკითხი, - განაცხდა ნიშნიანიძემ.

შეგახსენებთ, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სუს-ის მიერ სატელეფონო მოსმენების განსახორციელებლად ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის ფლობის და ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების შესაძლებლობა - საკონსტიტუციო სასამართლომ ფარული მოსმენების წვდომასთან დაკავშირებით კამპანია „ეს შენ გეხებაში" ჩართული ორგანიზაციების სარჩელი დააკმაყოფილა. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პირველად საქართველოში, გორში, ქარის ელექტროსადგური შენდება

როგორც ვიცე-პრემიერმა და ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა, ქარის ელექტროსადგურები საქართველოში პირველად შენდება და პროექტი, სავარაუდოდ, სექტემბეროქტომბერში დასრულდება. მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია, აგრეგატები კი აგვისტოში ჩამოვა.

– სიმართლე გითხრათ, ძალიან მიხარია, ჩვენ ამ პროექტს სული ჩავუდგით და მოუთმენლად ველოდები პირველ შედეგს. პირველი ქარის ელექტროსადგური, რომელიც საქართველოში განხორციელდება, იქნება გორთან ახლოს, დაახლოებით იქ, სადაც გვირაბი და „ვისოლის" ბესნზინგასამართი სადგურია. წარმოიდგინეთ, გამოჩნდება ეს ზემოდან და ძალიან ლამაზი იქნება.

თვითმფრინავით როდესაც ევროპაში ჩადიხარ, მაგალითად გერმანიაში, ავსტრიაში, უყურებ ამ ქარის სადგურებს და ჩანს, რომ ევროპაა... მე ძალიან მეამაყება, რომ საქართველოში იქნება ქარის სადგურები, და კიდევ ერთხელ გამოჩნდება, რომ ჩვენ ვართ ევროპა, ევროპის ნაწილი.



ვფიქრობთ, რომ სექტემბერ-ოქტომბერში დავასრულებთ ამ პროექტის განხორციელებას, აგვისტოში უნდა ჩამოვიდეს აგრეგატები, მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია, საძირკველი ჩაყრილია და დავიწყებთ ამ პროექტის მშენებლობას და დასრულებას. (ipress.ge)

## ერევანში რუსეთის საელჩოს კვერცხები დაუშინეს



ერევანში რუსეთის მიერ აზერბაიჯანისთვის საბრძოლო იარაღის მიწოდება გააპროტესტეს. ასობით ადამიანი რუსთის საელჩოსთან შეიკრიბა და შენობას კვერცხები დაუშინა, რაც პოლიციასთან დაპირისპირებაში გადაიზარდა.

მომიტინგეთა განცხადებით, აზერბაიჯანისთვის იარაღის მიყიდვამ გამოიწვია შეიარაღებული დაპირისპირება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტურ ზონაში.

საპროტესტო აქციის ორგანიზატორებმა პეტიცია შეიმუშავეს, სადაც რუსეთისგან აზერბაიჯანთან შეიარაღებით ვაჭრობის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვენ. (ნიუპოსტი)

## „პრეზიდენტი სახელმწიფოს ინტერესებიდან უნდა გამოდიოდეს და არა თავისი სიჯიუტიდან ან პრინციპულობიდან“



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩევნების თარიღთან დაკავშრებით გიორგი მარგველაშვილის განცხადებას ეხმაურება და ფიქრობს, რომ პრეზიდენტი სახელმნიფოს ინტერესებიდან უნდა გამოდიოდეს და არა თავისი სიჯიუტიდან.

– პრეზიდენტი თუ ნებისმიერი უმაღლესი პირი, სახელმწიფოს ინტერესებიდან უნდა გამოდიოდეს და არა თავისი სიჯიუტიდან ან პრინციპულობიდან. ვფიქრობ, რომ 4 თვე საკმაოდ ადრეა წინასაარჩევნო რეგულაციების დაწესებისთვის. პრეზიდენტმა კარგად იცის, რომ ვინაიდან კოალიცია აღარ იქნება წინასაარჩევნო ბლოკში, ერთობლივად, მათ ბევრი კანონი აქვთ კიდევ მისაღები უმრავლესობის ფორმატში და არ იქნება სასურველი ჩვენი თაანამშრომლობა პარლამენტში შეჯიბრებითობის ფონზე მიმდინარეობდეს. ძალიან მიკვირს, რომ არაფერი გაითვალისწინა და უფრო გამიკვირდება და გულდასაწყვეტი იქნება თუ ეს ყველაფერი გაითვალისწინა და მაინც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. ვიდრე კონტრასიგნება გაკეთდება, ვფიქრობ, კონსულტაციები მართებს, - აცხადებს გია ვოლსკი. (პირველი რადიო)

# იუნა შაფათავა: „ამ „ოცნების“ უტვინო ბოზებმაც აიწყვეს ცხოვრება...“

**„ეს ბიძინა ენდო ათ კაცს, იმ ათმა მოიყვანა ასი ახვარი, იმ ასმა მოიყვანა ათასი ახვარი და ვიძირებით ჭაობში... „პაშლი ანი ვსე“... ხვალ რომ მიშა მობრუნდეს, მუხლებში ჩაუვარდებიან!“**

**რა გაუმხილა იუნამ „ალი**







გელა ზედელაშვილი
555 48-48-61


იუნა შაფათავა აბობოქრდა. მან „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ასეთი პოსტი გამოაქვეყნა: „ვოცნებობ სამსახურზე. ამდენ დებილ ბოზში მარტო ჩემი სექსიმიჯი ადარდებს დამსაქმებელს? მე სექსიც ვიცი დაუვიწყარი, მაგრამ მუშაობა და პახაობა – 24/7 უფრო მაგარი. 2012-დან, რაც პოლიტნიშნით დედა მიტირეს – გინდა თუ არა „ოცნებისტიაო“, ამ „ოცნების“ უტვინო ბოზებმაც აიწყვეს ცხოვრება... იუნა ბოზიაო, როდის გავხდი ბოზი? პორტირებულმა ბოზებმაც აიწყვეს ცხოვრება, იმპოტენტებმაც და ფარულმა გეებმაც. მარტო მე დავრჩი. დისკრიმინაცია არაა, სექს-თემაზე სამსახურში არ მიიღო? სექსროლზე? თქვენ რომ ფარულად დაბოზაობთ, რა გგონიათ, არ ვიცით, ვინ ვის ლოკავს? რა ისტერიკაში ხართ ვიდეო-ჩანაწერებზე? მოგხადეს ნიღბები? მე კი, რაც კი უტვინო დებილი კომპანია იყო, ყველგან ვიმუშავე 350 და 500 ლარად. მომბეზრდა. არ უნდათ საჯარო სისტემაში იმიტომ, რომ ჩემი მძიმე ხასიათით დებილს დებილს ვუწოდებ და კრეტინს – კრეტინს, პრასტიტუტკას კი – პრასტიტუტკას. არ უნდა არავის, შიდა სამზარეულოში ჩამახედოს იმიტომ, რომ ჭამთ და სადაც ჭამთ, იქ იმას შვრებით. არც 50-ლარიანი გადასაღები დღე მინდა, ნუ მირეკავთ, ტილიან დებილ სერიალებზე. ცოტა ჩააჩოჩეთ თქვენი ბოზები. სასწრაფოდ, ბოზების მფარველებო, მჭირდება სამსახური! არა რეკლამის აგენტი, არა თქვენთვის საიმიჯოდ, იუნა გაყიდის ნაგავსაც – არა! მენეჯმენტი, მარკეტინგი. ჯანდაბას, საჯარო სისტემა იყოს. პროტოკოლით ჩაცმას მაინც გასწავლით, დებილებო. მიპოვეთ რამე. ჟურნალისტებს – არც ერთ არხს და გამოცემას არ გაძლევთ ინტერვიუს, არ მაინტერესებს, რას წერთ, არც ერთს არ გცემთ პატივს, ყველანი გაყიდულები ხართ. მხოლოდ ჩემი სარეკლამო მასალით ვარ დაკავებული. კი, სექსი და კიდევ სექსი. თქვენზე მაგარი, თან უანგარო, სიამოვნებისთვის. მხოლოდ გასართობი შოუები და კარგი განწყობა. მინიმალური სასტარტო ხელფასი – 1500 ევრო. ეს არის დისკრიმინაცია!!! აბსოლუტური და კრიმინალური! მარტო დეა (იუნას ტყუპისცალი. – გ.ზ.) მუშაობს ამდენი წელია ამ ოჯახში და იმასაც ჭამენ ბოზები და შურიანები, ჩემკენ იშვერენ თითს – შენი და ბოზია!!! ეს თქვენ ხართ ბოზები და პრასტიტუტკები!!! „ხალიავშიკები“ და უნახავები!!! მე ვიცი ჩემი თავის ფასი და თუ არ ვიპოვი სამსახურს, კარიკატურად გაქცევთ ყველას; მომბეზრდა ყველას სიჩუმე!!! რატომ იცავთ პრასტიტუტკებს? ყველასი გამოჩნდეს, ახია!!! ბოზი ჩინოვნიკის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს ჩემი ცხოვრება! გაეთრიეთ, მე მუშაობა მენატრება, ბიუჯეტის მათხოვარო აფერისტო მლიქვნელო პრასტიტუტკებო“!!!

**ამ პოსტის გამოქვეყნების შემდეგ იუნა შაფათავა „ალიას“ ესაუბრა:**

**— იუნა, რა გჭირს, რა გალიზიანებული ხარ, სად იყავი, რომელ ორგანიზაციებში, საიდან გამოგიშვეს უარით და გითხრეს ბოზი ხარო?**

– ჯერ დავიწყებ სერიალებით, თუ სადმე გადაგიღებენ, ეს არის დამცირება, თუნდაც დონე ავიღოთ, თუნდაც ანაზღაურება. რომელ ხელოვნებაზეა ლაპარაკი საერთოდ? რაც შეეხება სხვა სფეროებს, ყველგან ერთნაირი სიტუაციაა. დეა „ქართუ ჯგუფში“ მუშაობს 2006 წლიდან, 2012 წელს მე გამომიშვეს სამსახურიდან, „მეიდან ჯგუფში“ ვიყავი, დეველოპერული კომპანიაა, ძველი თბილისის ტერიტორიაზე მუშაობს. ძალიან სერიოზული კომპანიაა და ძალიან ბედნიერიც ვიყავი... ბიძინა ივანიშვილმა გადაარჩინა ეგენი გაკოტრებას, მაგრამ მაინც „ნაციონალების“ მხარდამჭერები არიან და მომიშორეს. ყველა დონეზე ერთი და იგივე ხდება – სამინისტრო იქნება, საგარეო უწყებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არავის არ აწყობს ჩემი ტვინის გამოყენება. როგორც კი რაღაცაზე იწყება საუბარი, ეგრევე მიდიან დეასთან და ყურში ეჩურჩულებიან: დეა, ხომ იცი შენი დის ამბავი, მისი იმიჯი, ცხოვრებაშიც ასეთივეა... თქვენი დედა ვატირე, მე ვარ ეგეთი?! ვერ გავიგე, დეას რატომ ეუბნებიან, მამა ღმერთია, თუ რა ხდება?!

**— შენ რა განათლება გაქვს მიღებული?**

**— საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, ბიზნეს-ადმინისტრირება, იურიდიული და უცხო ენები, ოთხ ენაზე ვლაპარაკობ. ჩემი პროფესიით მიმუშავია ძალიან სერიოზულად. შევარდნაძის დროიდან ბევრ სამთავრობო მოლაპარაკებაზე ვარ ნამყოფი, გაეროს რეზოლუციებსა და რაღას არ ვთარგმნიდი. ახლა, ბოდიში, ნარმანიებმა და ვიღაც სანიკიძეებმა არ მიკადრონ, ისევ მაგათი მინუსია!**

**— როგორც ვიცი, ბიძინა ივანიშვილის ვაჟმა, ცოტნემ მონათლა დეას ბავშვი, ფაქტობრივად, ნათესაობა გაკავშირებთ, შენ სამსახური უნდა გიჭირდეს?**

– ჰო, ცალკე დეა ჰყავთ შეჭმული, ივანიშვილთან მისი ახლოს ყოფნა ვერ გადახარშეს ვიღაც-ვიღაცებმა. შენ ვერ ხვდები? დეას ებოდიშებიან, შენს დას სხვანაირი იმიჯი აქვსო, ასეთი და ისეთიაო. მეტიც, არავის არ უნდა, რამეში ჩავიხედო, მე თუ სადმე უსამართლობას ვნახავ, ეგრევე ვიყვირებ, არ გავჩუმდები. სინამდვილეში კოჰაბიტაცია რას ნიშნავს? ჩუმ-ჩუმად შევჭამთ, არ დავიკარგებით, მომავალშიც კარგად ვიქნებით. მე ჯანდაბას, მე შემიძლია, არ ვჭამო და საერთოდ არ ვიარსებო, ჩემს მეორე დას, რომელიც საქართველოში პირველი ჩოგბურთელია, მწვრთნელიც კი არ ჰყავს.

**როგორც კი რაღაცას ვიტყვი, მაშინვე იწყებენ: აი, დეა ივანიშვილთან მუშაობს. ვერ გავიგე, რაკი ეს გოგო მუშაობს „ქართუში“, მთელი ოჯახი მაგან უნდა გვარჩინოს?! თუ ვინმეს რამეს ვეტყვი, ეგრევე მპასუხობენ, წადი ბიძინასთან. ყველაფერზე ამ კაცთან რატომ მაგზავნიან?**

მე აღარაფერი მიკვირს, ეს საქართველოა, მაგრამ გაჩუმებასაც არ ვაპირებ!

**— ამ სექსმარკეტს რომ უკეთებ რეკლამას, იქიდან არ გაქვს შემოსავალი?**

– ეს არის მცირე სარეკლამო შემოსავალი, ღონისძიებიდან ღონისძიებამდე. საქართველოში ეს სფეროც განუვითარებელია, არ არის სერიოზული ბრუნვა. ეს ჩვეულებრივი, საშუალო დონის ბიზნესია. ასეთივეა ყვავილების რეკლამა, წელიწადში რამდენიმეჯერ. მე ვლაპარაკობ მუდმივ სამსახურზე. ასევე, კარგი თარჯიმანი ვარ, გაეროს კონტრაქტები და მსოფლიო ბანკის დოკუმენტები მაქვს ნათარგმნი.

**— რატომ ითხოვ ხელფასის სახით მაინც და მაინც 1500 ევროს და არა მეტს ან ნაკლებს, რის მიხედვით დაითვალე?**

**— ამას წინათ ვიღაცა ქალმა რომ დაგვითვალა ხელისუფლებიდან, კვებისთვის დღეში 1 ლარი და 18 თეთრი საკმარისიაო, ეს ხომ დაცინვაა? ცხოვრება მარტო ჭამა არ არის, ადამიანს გჭირდება კინო, თეატრი, ჩაცმა... მშობლები გყავს, მეგობრები გყავს, მოგზაურობა გჭირდება, ზღვაზე წასვლა და ასე შემდეგ. ძალიან „დააჩმორეს“ ეს ხალხი. რაკი მე ხმა ამოვიღე, ბარემ ვიტყვი ისე, რომ ყველას წაადგეს, მარტო ჩემთვის არ ვლაპარაკობ. ხშირად მეუბნებიან, მოიცა, მოგცლია, რა, დაიკიდე, ყველა თავის თავს მიხედავსო. ასეთი მიდგომა ღუპავს საქართველოს! გამაგებინეთ, საიდან ხვდებიან „ვერხუშკაში“ გოიმები, საიდან?!**

სალომე ზურაბიშვილი არ უნდათ, უნდათ გოიმი? ჰოდა, უყურონ ახლა გოიმებს!!! სექტანტების შემოსევაა, თუ ესენი მომძლავრდნენ, დარხეული აქვს საქართველოს. ლევან ვასაძეს რომ დასცინიან, რა სჭირს ამ კაცს ამათი დასაცინი?! ვაიმე, შენი და ივანიშვილთან მუშაობსო... რა ვქნა, რომ მუშაობს? ეს ბიძინა ენდო ათ კაცს, იმ ათმა მოიყვანა ასი ახვარი, იმ ასმა მოიყვანა ათასი ახვარი და ვიძირებით ჭაობში. ამის თქმა შემიძლია მარგველაშვილის მაგალითზეც, საერთოდ არ მეშინია. ალასანია კიდევ, ფანჯიკიძეების ოჯახის წევრი... „პაშლი ანი ვსე“... ხვალ რომ მიშა მობრუნდეს, მუხლებში ჩაუვარდებიან!

**— ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ჩვენგან რაღა გინდა, რომ წერ, ყველა გამოცემა გაყიდულიაო?**

– „ალიაზე“ რამე ვთქვი?

**— ყველაო და იმ ყველაში ჩვენც არ შევდივართ?**

**— კარგი, მაშინ ახლა დავასახელებ: „რუსთავი 2“, „მაესტრო“, „იმედი“... მე გაზეთებთან პრეტენზიები არ მაქვს, ისევ ისინი თუ ეუბნებიან ხალხს სიმართლეს. მოკლედ, ბოზებს პასუხი უნდა გაეცეთ, არ გავჩერდები, რატომ უნდა გავჩერდე?**

**— არ უნდა გაჩერდე.**

– მე სიამოვნებით ვიმუშავებდი იგივე მერიაში, ქალაქის მოწყობის სამსახურში, მაგრამ ვინ მიშვებს, ვინ? ყველგან სხედან ეს პატარა „გოგოშკები“, აზრზე რომ არ არიან. კი, ადრე თუ გვიან, რამეს ისწავლიან, მაგრამ მე რა დავაშავე? თუ ასე გაგრძელდება, წავალ საზღვარგარეთ და მოგშორდებით!

**„ვაიმე, შენი და ივანიშვილთან მუშაობსო... რა ვქნა, რომ მუშაობს? ეს ბიძინა ენდო ათ კაცს, იმ ათმა მოიყვანა ასი ახვარი, იმ ასმა მოიყვანა ათასი ახვარი და ვიძირებით ჭაობში. ამის თქმა შემიძლია მარგველაშვილის მაგალითზეც, საერთოდ არ მეშინია. ალასანია კიდევ, ფანჯიკიძეების ოჯახის წევრი... „პაშლი ანი ვსე“... ხვალ რომ მიშა მობრუნდეს, მუხლებში ჩაუვარდებიან!“**

## „ეს ჯიუტობა ძვირი დაგვიჯდება“



„მრეწველი“ გოგი თოფაძე მიიჩნევს, რომ რაც უფრო მალე გადაწყდება წინასაარჩევნო ვადა, ქვეყნისთვის უკეთესი იქნება.

– ეს ჯიუტობა ძვირი დაგვიჯდება, არ ვეთანხმები ამ ჯიუტობას, მთავრობა არის მთავრობა, მას თავისი უფლებები აქვს, ამას თავისი და რაც უფრო მალე გადაწყდება ეს თემა, უმჯობესია, - განაცხადა „მრეწველების“ ლიდერმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ, ომარ ნიშნიანიძის განცხადებით, პრეზიდენტი სხვის ჯიბეში არ უნდა იხედებოდეს.

– მთავრობამ უფრო უკეთესად იცის, რამდენი აქვს და რა შესაძლებლობა აქვს. მე უფრო გამართლებულად მიმაჩნია, რომ არათუ როგორც ადრე ხდებოდა, ორი თვით ადრე დაგვეწყო საარჩევნო კამპანია, არამედ, სამი თვით ადრე. პრემიერმა თავისი პოზიცია გამოხატა ნათლად. ერთმანეთის ჯინაზე საქმის გადაწყვეტა, ვფიქრობ, არ წაადგება არც საარჩევნო პროცესს და არც ქვეყანას, - განაცხადა ნიშნიანიძემ.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტმა არჩევნების 8 ოქტომბერს დანიშვნის თაობაზე განკარგულება 5 აპრილს გამოსცა, 6 აპრილს კი კონტრასიგნაციისთვის პრემიერ-მინისტრს გადაუგზავნა. შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად მთავრობას და მის მეთაურს 10 დღიანი ვადა ჰქონდა. 14 აპრილს კი, პრემიერმა კვირიკაშვილმა არჩევნების თარიღთან დაკავშირებული განკარგულება პრეზიდენტს მოტივირებული შენიშვნებით უკან გაუგზავნა. პრემიერს მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო პერიოდად 3 თვე უნდა გამოიყოს.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით აქტს მაისის დასაწყისში გამოსცემს. მისი თქმით, საარჩევნო კამპანია არჩევნებამდე 5 თვით ადრე დაიწყება და თუ ფინანსური მხარდაჭერა გახდება საჭირო, პრეზიდენტის ფონდი არჩევნების ადმინისტრირებისთვის მთავრობას დაეხმარება. (pia.ge)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია — როგორ შეუძლია ტანსაცმელს, მილიარდერად გაქციოთ



მაშინ, როდესაც ცხოვრების ტემპი სულ უფრო მატულობს, თანამედროვე მოდა ცდილობს, მაქსიმუმი წარმოადგინოს.

სტილი იმდენად რადიკალურად იცვლება, რომ სულ უფრო რთულია იმაზე ფიქრი, რა იქნება მომავალში. ყველაზე ბუნებრივი პასუხი კი ამ კითხვაზე ის არის, რომ მოდა სულ უფრო უბრალოვდება.

ამ სტილის ერთგვარი ელჩები კი – სტივ ჯობსი, მარკ ცუკერბერგი და სერგეი ბრინი არიან. როგორც ჩანს, ერთფეროვან ტანსაცმელს შეუძლია, თქვენს მომავალსა და წარმატებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინოს.

დილით, ტანსაცმლის შერჩევას მამაკაცებისთვის დაახლოებით 15 წუთი სჭირდება. ეს დრო შესაძლებელია უფრო სასარგებლო საქმიანობაში დახარჯოთ, მაგალითად, ვარჯიშში.



სტილის სტანდარტები ნიშნავს მკაცრად განსაზღვრულ ტანსაცმელს, რომლის ჩაცმაც ყოველდღიურად შეგიძლიათ.

ცვალებადობისთვის თვალ-ყურის დევნება ყველაზე აქტიური მიმდევარისთვისაც კი რთულია. უბრალოდ, უარი თქვით მასზე – სიტუაციიდან ლოგიკური გამოსავალია.

ხარჯების ეკონომია – გამოიყურებოდე ყოველდღე ერთნაირად, შესაძლოა, საკმაოდ მოკრძალებულ ფინანსებში მოაქციო. თუ რამდენიმე შავ მაისურს იყიდი, ეს თქვენს ჯიბეს დიდად არ შეეტყობა, სამაგიეროდ თანამედროვე ვიზიონერივით იქნები.

მდიდარი ადამიანები ძვირფასი ნივთების მიმართ გულგრილად არიან განწყობილნი. მათთვის მარტივია მსგავს იარლიყზე უარის თქმა, მაშინ, როდესაც სხვები მთელი მონდომებით ცდილობენ, ხაზი საკუთარ სტატუსს გაუსვან, რომელიც სინამდვილეში მათ არც ეკუთვნით.

***daijesti.pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## იუპიტერს ამოუცნობი ობიექტი შეეჯახა



მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტის დისკოზე კაშკაშა ნათება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად რამდენიმე დღის წინ ორმა მოყვარულმა ასტრონომმა დააფიქსირა.

„3 აპრილს, დაახლოებით 20 საათსა და 31 წუთზე გრინვიჩით, იუპიტერზე დიდი ცეცხლოვანი სფერო გამოჩნდა", – იტყობინება თავის საიტზე ავსტრალიელი ასტრონომი ენტონი უესლი. მან და მისმა კოლეგამ ფილიპინებიდან ქრისტოფერ გოუმ, ნათელი ლაქის სურათებისა და მოკლე ვიდეორგოლის გადაღება შეძლეს.

„ვერ დამიჯერებია, რომ შევძელი, პირდაპირ ეთერში გადამეღო ციური სხეულის იუპიტერზე დაცემა", – ამბობს გოუ. ჯერ კიდევ გაუგებარია, რომელმა ციურმა სხეულმა გამოიწვია ეს აფეთქება, ასტეროიდმა თუ კომეტამ.

მსგავსი მოვლენა ასტრონომებმა 2009 წლის ზაფხულში დააფიქსირეს და მის შესახებ პირველმა უესლიმ განაცხადა. შემდეგ საიდუმლოებით მოცული შავი ლაქის შესწავლას ასტრონომების ჯგუფი შეუდგა, რომელიც კოსმოსურ ტელესკოპ „ჰაბლზე" მუშაობდა. იუპიტერის შეჯახებას სხვა ციურ სხეულებთან 15 წლის წინათაც აკვირდებოდნენ, როდესაც გაზური გიგანტის გრავიტაციულმა ველმა კომეტა „შუმეიკერ-ლევი 9" ჩაიჭირა. შეჯახების შედეგად კომეტა რამდენიმე მსხვილ ნაწილად დაიმსხვრა და პლანეტის ზედაპირზე შავი ლაქების წარმოქმნა გამოიწვია.

***pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მოძრაობის ტემპი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გავლენას ახდენს?



მაინც რა ხალხია რა, ეს მეცნიერები, წყალსა და ცეცხლს ისე დააკავშირებენ ერთმანეთთან, თვალსაც არ დაახამხამებენ.

აგერ ახლა მოძრაობის ტემპსა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის ისეთი კავშირი იპოვეს, რომ არ დაუჯერო, თავს ვერ აპატიებ კაცი.

თურმე, გრძელვადიანი კვლევა ჩაატარეს, რომელშიც 30 ათასმა პენსიონერმა მიიღო მონაწილეობა და როგორ ფიქრობთ, რა აღმოჩნდა? რა და დროა, ტემპს მოვუმატოთ.

მაგალითად, ქალები, რომლებიც ნელა გადაადგილდებოდნენ, 75 წელსაც ვერ აღწევდნენ, ხოლო კაცები, რომლებიც სწრაფად მოძრაობდნენ 85 წლამდე ცოცხლობდნენ.

საბოლოოდ კი ასეთი დასკვნა გამოიტანეს – ტემპი არა მხოლოდ კარგ ემოციურ მდგომარეობას განაპირობებს, არამედ ჯანმრთელობასაც რგებს, მაააშ!..

***globalscience.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ექთანი მოხუც პაციენტს ფულის სანაცვლოდ მკერდს აჩვენებდა




რა ვიცი, „შერეკილებში" მარგალიტას გულზე დაკიდებულ ხატზე დაფიცებაზე ერთი გაწევ-გამოწევაა და ბრიტანეთში პირიქით ყოფილა. თურმე, ესექსის საგრაფოს ერთ-ერთ საავადმყოფოში მედდა 92 წლის პაციენტს იქით სთავაზობდა, მკერდს გაჩვენებ და შენი მსხვილი ბიუჯეტიდან პაწა დამასპონსორეო.

55 წლის შერონ უაიტ-ჰარისონი თავად გამოტყდა, რომ პაციენტის საკრედიტო ბარათს პირადი მიზნებისთვის იყენებდა. მაგალითად, საოცნებო აიპადი შეიძინა. როგორც გულჩვილი პაციენტი აცხადებს, ქალმა იმდენი იტირა და იჩივლა თავის ფინანსურ პრობლემებზე, დახმარება თავად შესთავაზა, მაგრამ დასახმარებელი თანხის ოდენობა 70 ათას დოლარს თუ გადააჭარბებდა, მაგდენი ველარ წარმოიდგინა.

განმეორებითი ტყუილისა და თაღლითობის ბრალდებით შერონი სამსახურიდან დროებით გაათავისუფლეს, სანამ საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება არ დადგინდება.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მავნე საკვები ადამიანს აზარმაცებსო



ასეთი ფრაზაც გამიგია – ვრცელ წერილს ვერ ვკითხულობ, მეზარება. რატომ გაზარმაცდნენ ადამიანები? თურმე, ნუ იტყვით და ყველაფრის თავი და თავი მავნე საკვები ყოფილა. არაჯანსაღი კვება, ადამიანს აზარმაცებს და მეცნიერული და ტექნიკური კუთხით ინტერესს უკარგავს.

კვლევის თანახმად, სწრაფი კვება და მიკროტალღოვან ღუმელში მომზადებული სადილი ადამიანის ემოციურ დესტაბილიზაციას იწვევს.

მაგალითად, სხვადასხვანაირი ფუნთუშა, ჰამბურგერი და ჩიზბურგერი პირდაპირ ანელებს თქვენს შრომისმოყვარეობას.

მეცნიერები საუბრობენ იმ მავნე საკვებზე, რომელსაც რესტორნებსა და სწრაფი კვების ობიექტებში გვთავაზობენ.

ცუდ საკვებზე უარის თქმა ჯანმრთელობის აღდგენაში, სიზარმაცის განდევნასა და ემოციური სტაბილურობის შენარჩუნებაში დაგვეხმარება.

***globalscience.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩელიაბინსკელმა კაცმა სახლში ლუდსადენი შეიყვანა



ერთი ამბობს, ოცნებები ხდებაო, მეორე კიდევ ეკამათება, ოცნებასაც გააჩნია, ძმაოო. მაგალითად, ლუდის წვიმა და ნაყინის თოვლი რომ გინდოდეს, არ გამოვაო. პრინციპში, გინდ წვიმა ერქვას და გინდ ონკანის წყალი, თუ უწყვეტი რეჟიმით იქნება.

მაგალითად, ანდრეი ერმეევს გარეთ გასვლა და ლუდის წვიმის ლოდინი არ სჭირდება – სახლში ონკანს მოუშვებს და საოცნებო სითხე მის კათხაშია.

თურმე, ერმეევს, როგორც სხვებს – მფრინავ ხალიჩასა და უჩინმაჩინის ქუდზე, მისი დღე და მოსწრება ლუდის უწყვეტ ნაკადზე უოცნებია. ერთ მართლაც მშვენიერ დღეს კი, ჰოი, საოცრებავ, მისი სახლის პირველ სართულზე ჩამოსასხმელი ლუდის მაღაზია გაიხსნა. ანდრეიც ადგა და უფროსობას მოელაპარაკა, ჩემთან ღმერთმა გამოგაგზავნათ, ახლა ისღა დაგვრჩენია, ონკანამდე მილები გავიყვანოთ და მერე ერთი დიდი სანთელი და ლოცვა ჩემზეაო. მაღაზიაც დასთანხმდა მეოცნებე კაცს და დღეს ანდრეის, როცა მოესურვება და რამდენიც მოესურვება, იმდენი ლუდის დალევა სახლიდან გაუსვლელად შეუძლია.

უცნობია, რა თანხა უჯდება ლუდის მოყვარულს მუდმივი ლუდი, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, მიზანი ხარჯებს ამართლებს.

***anekdot-dnya.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბენ აფლეკი ბეტმენზე ფილმს იღებს



მსახიობი ბენ აფლეკი ბეტმენის შესახებ ფილმს იღებს. მთავარ როლში თავად ჰოლივუდის ვარსკვლავი მოგვევლინება.

ოფიციალურად ეს ინფორმაცია კომპანია **Warner brothers**-ის გენერალურმა დირექტორმა კევინ ცუძიჰარამ დაადასტურა. წინასწარი ინფორმაციით, ფილმი 2018 წლის ოქტომბერში გამოვა. ცნობილია, რომ ფილმის სცენარი თავად ბენ აფლეკს ეკუთვნის.

***plus.kvira.ge***

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. უდაბნო აფრიკაში
2. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
3. მსახიობი შონ ...
4. კუდიანი ამფიბია
5. მონათა აჯანყების მეთაური
6. ნათურის აჟურული საფარი
7. მაგიდის ჩოგბურთი
8. ლაიზა მინელი ფილმში
9. სახორცე ქათმის ჯიში
10. ზღვის ძუძუმწოვარი
11. კომპოზიტორი ... მორიკონე
12. ჭაობის მცენარე
13. მხ/ფ „... სანტროპედან"
14. მომღერალი ... მარტინი
15. ...-კლარჯეთი
16. ... პუგაჩოვა
17. ორგანო მუცლის ღრუში
18. ხორცის ნაჭერი
19. დაგროვილი საჭმელი
20. გასაღები
21. ვერცხლის ათცენტიანი
22. ბია
23. მსახიობი ... ბროუდი
24. ქალაქი სამეგრელოში
25. ტბა თბილისში
26. ელდარ შენგელაიას ფილმი
27. ხერხემლის დაავადება
28. მისი დედაქალაქია ბელგრადი
29. მეცნიერება მონაცემების შეგროვების და დამუშავების შესახებ
30. გაერთიანება რაიმე დარგში
31. შერლოკ ჰოლმსის დეტექტიური კვლევის მეთოდი
32. შრეკის სატრფო
33. გრძელი კარავი
34. სუბტროპიკული მცენარე. იკეთებს პრიალა ყვავი-ლებს
35. უკმაყოფილების ენერგიული გამოხატვა
36. მსახიობი ... ზელვეგერი
37. ვენერიული დაავადება
38. ცელქი
39. ზამბახი
40. მომღერალი ... ლავინი
41. ოსური ცეკვა
42. ცირკის ტანმოვარჯიშე
43. ავიტამინოზის ფორმა
44. ნადირობის ქალღმერთი
45. „იდიოტი" ავტორი
46. შვეიცარიის დედაქალაქი
47. კომპ. ... ბაბაჯანიანი
48. სახიდან თმების მოცილება
49. ქალის შიდა სამოსი
50. მსახიობი ... ტაილერი
51. მსახიობი ზურაბ ...
52. ქალაქი იტალიაში
53. შხამიანი ობობა
54. დედამიწის გუმბათი
55. წვიმისგან დამცავი აქსესუარი
56. კონტინენტი
57. ექს-პრეზიდენტი ჰარი ...
58. ნაგვის ასაღები
59. ხელწერის სტილი
60. დოდე. „ტარტარენ ..."
61. უქორწო თუთიყუში
62. თამაში ვოლანით
63. ბიჭუნა ჰიუგოს მოთხრობაში
64. მხატვარი ... ახვლედიანი
65. მომღერალი მირეი ...
66. რელიგიის მსახური ძველ ეგვიპტეში
67. სახელმწიფო დოკუმენტი
68. ტაძარი კახეთში
69. ყურძენ ალექსანდროულის ღვინო
70. კახური ტკბილი პური
71. ქართველების დასახლება ირანში
72. მამლის ჯიღა
73. გულის დაავადება
74. დაესმის არსებით სახელს
75. ცეცხლსასროლი იარაღი
76. ხარის გამრეკი
77. ნაკურთხი წყალი
78. სწორი, ბალახიანი ადგილი
79. ღვინო პოეტურად
80. მსახიობი დაიან ...
81. სასმელი ჯინი და ...
82. ჰოლანდიელი მხატვარი
83. უკრემო ნამცხვარი
84. გიტარის მავთული
85. რასელ კროუ ფილმში
86. მსახიობი ... ბელუჩი
87. მსახიობი ... კერტისი
88. შტატი აშშ-ში
89. ფირმა „...-პარი"
90. იგავი
91. კუნძული ოხოტის ზღვაში
92. ზღვის კომბოსტო
93. მომღერალი ... კუტუნიო
94. ფრანგი მხატვარი
95. ლეონარდო დიკაპრიო ფილმში
96. მსახიობი მონიკა ...
97. მოჭადრაკე ქეთევან ...
98. ოცკაპიკიანი ძველად
99. მსახიობი ... მუტი
100. წმალი ენის ქვეშ
101. ჯუჯა გერმან. ზღაპრებში
102. ამერიკული სამგზავრო თვითმფრინავი
103. სანელებელი
104. ძაღლის ჯიში -...- პინჩერი
105. მე ვარ და ჩემი ...
106. მსახიობი ... ფაროუ
107. სახედარი
108. შტატი აშშ-ში
109. იოლი, ანუ ...
110. მთის გამოძახილი
111. სამკაციანი ანსამბლი
112. კაქტუსის წანა-ზარდი
113. ძაფზე გამობმული საჰაერო სათამაშო
114. დასახლება ბამ-ზე ...-გრუზინსკაია
115. მსახიობი ... კრუზი
116. მწყემსის მოსასხამი
117. ავი ძაღლი
118. ლუდის მასალა
119. მწერალი ... დე მოპასანი
120. ... ხრენნიკოვი
121. ბალერინა ... ნიორაძე
122. გამაგრილებელი სასმელი
123. კურორტი ხაშურთან
124. ტაბლეტი
125. თევზის ძვალი
126. დიდი ჩაქუჩი
127. უნივერსიტეტი ... მატერი
128. ქართ. ფულის ერთეული
129. ჭამის სურვილი
130. მხ/ფ „ქალაქი ..."
131. მსახიობი ... მერფი
132. სკოტი. „რობ ..."
133. „ნატვრის ხე" თაყაიშვილი
134. მსახიობი ... გარდნერი
135. მწერალი დენი ...
136. მუსიკალური ინტერვალი
137. ნიშნავს ცხოველურს
138. ჰუნების ბელადი
139. არამისის როლში იგორ ...

პასუხები: 1. კალაჰარი; 2. მემ; 3. კონერი; 4. სალამანდრა; 5. სპარტაკი; 6. აბაჟური; 7. პინგ-პონგი; 8. „კაბარე"; 9. ბროილერი; 10. დელფინი; 11. ენიო; 12. ლელქაში; 13. ჟანდარმი; 14. რიკი; 15. ტაო; 16. ალა; 17. ელენთა; 18. არტალა; 19. ხორაგი; 20. კლიტე; 21. დაიმი; 22. კომში; 23. ედრიან; 24. აბაშა; 25. ლისი; 26. „შერეკილები"; 27. ოსტეოქონდროზი; 28. სერბეთი; 29. სტატისტიკა; 30. ასოციაცია; 31. დედუქცია; 32. ფიონა; 33. სეფა; 34. მაგნოლია; 35. პროტესტი; 36. რენე; 37. ათაშანგი; 38. ანცი; 39. ირისი; 40. ავრილ; 41. „სიმდი"; 42. აკრობატი; 43. სურავანდი; 44. დიანა; 45. დოსტოევსკი; 46. ბერნი; 47. არნო; 48. ეპილაცია; 49. ლიფი; 50. ლივ; 51. ლაფერაძე; 52. პადუა; 53. ტარანტული; 54. ცა; 55. ქოლგა; 56. აზია; 57. ტრუმენი; 58. აქანდაზი; 60. ტარასკონელი; 61. არა; 62. ბადმინტონი; 63. გავროში; 64. ელენთა; 65. მატიე; 66. ქურუმი; 67. ქარტია; 68. ალავერდი; 69. „ხვანჭკარა"; 70. 70. ნაზუქი; 71. ფერეიდანი; 72. ბიბილო; 73. მანკი; 74. ვინ; 75. „ბერეტა"; 76. მეხრე; 77. აიაზმა; 78. მინდორი; 79. ნუნუა; 80. ლეინი; 81. ტონიკი; 82. რემბრანდტი; 83. ბისკვიტი; 84. სიმი; 85. „გლადიატორი"; 86. მონიკა; 87. ტონი; 88. ილინოისი; 89. ისი; 90. არაკი; 91. სახალინი; 92. ლამინარია; 93. ტოტო; 94. მილე; 96. ვიტი; 97. არახამია; 98. აბაზი; 99. ორნელა; 100. ვალიდოლი; 101. გნომი; 102. „ბოინგი"; 103. ილი; 104. დობერმან; 105. ნაბადიო; 106. მია; 107. ვირი; 108. ალაბამა; 109. ადვილი; 110. ექო; 111. ტრიო; 112. ეკალი; 113. ფრანი; 114. ნია; 115. ტომ; 116. ნაბადი; 117. ქოფაკი; 118. ალაო; 119. გი; 120. ტიხონ; 121. ირმა; 122. ლიმონათი; 123. სურამი; 124. აბი; 125. ფხა; 126. ურო; 127. ალმა; 128. ლარი; 129. მადა; 130. ანარა; 131. ედი; 132. როი; 133. მარადია; 134. ავა; 135. დიდრო; 136. კვარტა; 137. ზოო; 138. ატილა; 139. სტარიგინი. იკითხება: ჰამბურგერი.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## სირბილი... ნაოჭების გაჩენის პროცესს აჩქარებს?



ნამდვილად გასაკვირია და კიდევ ერთხელ გაგვაკვირვეს ადამიანებმა, რომლებიც მუდმივად კვლევა-ძიებაში არიან.

ამერიკელ პლასტიკურ ქირურგებს თუ დავუჯერებთ, სირბილი სასარგებლო სულაც არ ყოფილა ჩვენი ჯანმრთელობისთვის, როგორც ეს აქამდე მიიჩნეოდა.

თურმე, ვარჯიშის ეს ყველაზე პოპულარული სახეობა ნაოჭების გაჩენის პროცესის აჩქარებას უწყობს ხელს.

სპეციალისტების თქმით, კალორიების დაწვით, სირბილი ადამიანს დათვურ სამსახურსაც უწევს.

კერძოდ, ამცირებს კანქვეშა ცხიმების რაოდენობას, რაც თავისთავად, კანზე დადებითად ვერ იმოქმედებს.

ჰოდა, ნაოჭებიც ამის „საჩუქარია“.

განსაკუთრებით დიდ პრობლემებს უქმნის სირბილი ადამიანებს, რომლებმაც 40 წელს გადააბიჯეს, რადგან კანქვეშა ცხიმები მათ გაცილებით ნაკლები რაოდენობით გამოუმუშავდებათ.

ამდენად, სირბილი მხოლოდ აღრმავებს ასაკობრივი ცვლილებების პრობლემებს.

კვლევის ავტორი პლასტიკური ქირურგები იმასაც ამბობენ, რომ მათი პაციენტების 25 პროცენტი სწორედ სირბილისგან არიან დაზარალებულები.

– სირბილი ნაადრევ დაბერებას იწვევს, რასაც სიგარეტის კვამლი და მზის სხივების გავლენაც ეხმარება, – განმარტავენ სპეციალისტები.

***myjane.ru***

## სპეციალურად ცხოველების დასაცავად, ჰოლანდიაში პოლიცია შეიქმნა



დარწმუნებულები ვართ, „ხალადეცი“ რომ გასინჯონ, სიამოვნებისგან კრუტუნს დაიწყებენ, მეორე დღეს კი ჯარიმას დაგიწერენ, საცოდავ ღორს ყელი როგორ გამოჭერიო.

პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ ჰოლანდია არის ერთადერთი ქვეყანა, რომლის პარლამენტშიც „ცხოველების მცველების პარტია“ შედის.

მართალია, პარლამენტში პარტია სულ ორი პოლიტიკოსითაა წარმოდგენილი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ისინი საზოგადოების ძალიან დიდი მხარდაჭერით სარგებლობენ. აქედან გამომდინარე, ცხოველთა დამცველებმა არაერთი უცნაური კანონის დამტკიცება შეძლეს. მათ შორისაა პოლიციის სპეციალური განყოფილების შექმნაც, რომელიც მხოლოდ ცხოველებზე იზრუნებს.

განყოფილებაში უკვე შედის 125 პოლიციელი, რომლებიც მუშაობას მიმდინარე წლის ოქტომბრიდან შეუდგებიან.

ცხოველების უფლებების შელახვის გამო, რაც გულისხმობს მაგალითად, მათ წამებას, მოკვლას, სახლიდან გაგდებას და ასე შემდეგ, პოლიციელები უზარმაზარ ჯარიმებს გამოწერენ, რიგ შემთხვევებში კი კანონდამრღვევებს ციხეც ემუქრებათ.

***zveryuga.ru***

## დედამიწის ყველაზე „მოხუცი“ ცხოველი 507 წლის იყო



ტყუილად იფიქრეთ, რაღაც განსაკუთრებული ზომების მქონე გიგანტური არსება თუ იცოცხლებდა ამდენ ხანსო – „პატარა და მუშაო“, ხომ გაგიგიათ, არა?

2005 წელს მეცნიერებმა ისლანდიაში „არქტიკა ისლანდიკას“ სახეობის ორსარქვლიანი მოლუსკი აღმოაჩინეს, რომელსაც პლანეტის ყველაზე ხანდაზმული ცხოველი უწოდეს: ნიჟარის შიდა ნაწილის დახმარებით, სწავლულებმა განსაზღვრეს, რომ მინი (მოლუსკს სახელი ჩინეთის იმპერატორთა დინასტიის პატივსაცემად უწოდეს, რომელიც იმპერიას 1368-1644 წლებში მართავდა) სამყაროს 405 წლის წინათ მოევლინა.

გავიდა დრო და სულ ცოტა ხნის წინ მეცნიერები მიხვდნენ, რომ ანგარიშში შეცდნენ - ცდომილებამ დაახლოებით 102 წელი შეადგინა.

შეცდომა სპეციალისტებმა იმით ახსნეს, რომ ნიჟარაზე ზოგიერთი რგოლი ძალიან თხელი, თითქმის შეუმჩნეველი იყო და ყველა ნაჭდევი მაშინვე ვერ დაინახეს.

ცნობილია, რომ მეცნიერების დასკვნა მტკიცდება რადიონახშირბადის ანალიზითაც: მინს 5 საუკუნეზე მეტხანს უცოცხლია, რაშიც მას ხელი ძალიან ნელმა მეტაბოლიზმმა შეუწყო.

სამწუხაროდ, მოლუსკი 2006 წელს „გარდაიცვალა“ და ვეღარ მოესწრო იმ დღეს, როცა მეცნიერებმა მისი ზუსტი ასაკი განსაზღვრეს, თუმცა კვლევითი სამუშაოები ჯერ კიდევ არ დასრულებულა: მინის ნიჟარის შესწავლის წყალობით, სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ბოლო საუკუნეებში მსოფლიო ოკეანის ტემპერატურის ცვალებადობას დაადგენენ. გარდა ამისა, გრძელდება „არქტიკა ისლანდიკას“ სახეობის შესწავლა, რათა მინის მსგავსი სხვა ხანდაზმული მოლუსკებიც მოიძიონ.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***factroom.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**15 აპრილი:** ყველა საკითხში, რომელიც თქვენი პირადი პრობლემების მოგვარებას ეხება, მწვანე შუქი გექნებათ ანთებული. ამას გარდა, ფინანსურადაც წარმატებული დღე გელით.

**კურო 22.04-21.05**
**15 აპრილი:** როგორც ჩანს, დაიღლებით სახეზე ყალბი ღიმილის ტარებით და იქნებით ის, ვინც ხართ. ამით ბევრს გააოცებთ, თანაც, უფრო მომხიბვლელი გახდებით.

**ტყუპები 22.05-21.06**
**15 აპრილი:** არავითარ შემთხვევაში არ შეცვალოთ საკუთარ თავში რამე, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ვიღაცას არ მოსწონს. ისედაც ბევრი დათმეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**15 აპრილი:** თუ დღეს კომპრომისულ გადაწყვეტილებას დასთანხმდებით, ამით უფრო მეტს მოიგებთ, ვიდრე წააგებთ. კატეგორიული „ხო“, ან „არა“ სიტუაციას ვერ გამოასწორებს.

**ლომი 23.07-22.08**
**15 აპრილი:** როგორც ჩანს, დღეს იმდენი საქმე გამოგიჩნდებათ, გაგიჭირდებათ არჩევანის გაკეთება, საიდან დაიწყოთ. დაიწყეთ ყველაზე მარტივიდან.

**ქალწული 23.08-22.09**
**15 აპრილი:** სიტუაციის გაზვიადებისკენ იქნებით მიდრეკილი. არ ღირს, რადგან საქმე არც ისე ცუდადაა. თანაც, დიდი ალბათობით, ვერ გაგიგებენ.

**სასწორი 23.09-22.10**
**15 აპრილი:** ინსტრუქციებსა და ქცევის წესებზე უარი არ თქვათ. ნებისმიერი ასეთი წესის უარყოფა პრობლემებს შეგიქმნით. ნუ გაირთულებთ ცხოვრებას.

**მორიელი 23.10-21.11**
**15 აპრილი:** სიმტკიცე გმართებთ, თქვენი შინაგანი მდგომარეობა სახეზე არ აისახოთ, რადგან ვიღაც გულმოდგინედ გაკვირდებათ, რომ თქვენი სისუსტეები მოძებნოს.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**15 აპრილი:** შეეცადეთ, უარყოფითი აზრები მოიშოროთ და გონება გაისუფთაოთ. აზრები, რომლებიც წინსვლაში გაფერხებთ, არაფერში გჭირდებათ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**15 აპრილი:** როგორც ჩანს, დღეს საკუთარი საქმეების მიტოვება და ვიღაცის პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. ამაში ვერავის დაადანაშაულებთ, ცხოვრებაა ასეთი.

**მერწყული 20.01-18.02**
**15 აპრილი:** დროა, პრინციპულობა გამოავლინოთ და სადაც საჭიროა, კატეგორიული „არა“ თქვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სანანებელი გაგიხდებათ.

**თევზები 19.02-20.03**
**15 აპრილი:** როგორც არასდროს, ისე შემართული და ენერგიული იქნებით. წარმატებებით ზედმეტად არ იტრაბახოთ, მოშურნეებს გაიჩენთ.

**გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

## ცხოველთა უფლებების დამცველთა ცხელ ხაზზე შესული ყველაზე უცნაური ზარები



ადამიანების უდიდეს ნაწილს უზომოდ უყვარს ცხოველები და ფრინველები და ამაში გასაკვირი არც არაფერია, თუმცა ზოგიერთი მათგანის მიერ გამოვლენილი უჩვეულო დამოკიდებულება კი ღიმილსა და გაუგებრობას მაინც იწვევს.

სწორედ ამაზე მეტყველებს ბრიტანელების მიერ შედგენილი ერთგვარი რეიტინგიც, რომელშიც ცხოველთა უფლებების დამცველთა ცხელ ხაზზე შესული ყველაზე უჩვეულო ზარებია აღნუსხული.

მაგალითად, თურმე, ერთ აღელვებულ მოხუც ქალს ცხელ ხაზზე დაურეკავს და დახმარების აღმოჩენა „მოწყენილი თოლიასთვის“ უთხოვია, რომელიც... წვიმას სულ დაუსველებია.

არანაკლებ უჩვეულო აღმოჩნდა კიდევ ერთი სუსტი გულის მქონე ბებოს ზარი აღნიშნულ სამსახურში – ის სასწრაფოდ სპეციალისტების გამოყოფასა და იმ ობობის გადარჩენას მოითხოვდა, რომელიც მისი სამზარეულოს ნიჟარაში „იხრჩობოდა“.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცხოველთა უფლებების დამცველი ორგანიზაციის ცხელ ხაზზე, ზარი, საშუალოდ, 29 წამში ერთხელ შედის და მათი უმეტესობა, უბრალოდ, აბსურდულია.

ამის დასამტკიცებლად საკმარისია, თუნდაც უცნობი მძღოლის მიერ განხორციელებული ზარი – იგი იმის გამო წუხდა, რომ ყველა კუ ძალიან ნელა მოძრაობს და ამ „პრობლემის“ გამოსწორებაზე არავინ ფიქრობს.

კიდევ ერთი მამაკაცი აღშფოთებულა ცხოველთა უფლებების დამცველთა „უყურადღებობასა და უგულობაზე“. კერძოდ, ის მიიჩნევდა, რომ უფლებათა დამცველები არ ზრუნავენ კენგურუების ბედზე – ხომ შეიძლება, გრძელი ნახტომის შემდეგ ამ მშვენიერმა ცხოველმა... ფეხი მოიტეხოს?! – ჩიოდა აშკარად უცნაური აზროვნების მქონე ბრიტანელი.

ყველაზე ხშირად კი, ცხელ ხაზზე ხეზე ამძვრალი კატების „გადარჩენას“ მოითხოვენ და გასაკვირია, რომ ცხოველთა დამცველები ასეთ გამოძახებებზე ყოველთვის სასწრაფოდ ცხადდებიან ხოლმე...

***etotupo.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ცოლი ქმარს მობილურით ურეკავს:

– ალო, ძვირფასო, პატარა პრობლემა მაქვს.

– რა მოხდა?

– რა და მემგონი კარბურატორში წყალი შევიდა.

– მოიცა, ნუ მაცინებ, რა იცი შენ სადაა კარბურატორი?

– როგორ არ ვიცი, ჩვენს მანქანაშია.

– კარგი, მანქანა სადაა?

– სად არის და ტბაში

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**გაზეთი „ალია“**

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი **გიორგი ბრეგვაძე**

**რედაქტორი:** თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – **მიხეილ სახვაძე**
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაჭვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ზანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 110)
*E-mail: reklama@alia.ge*
®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.35